საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№42 (277)
19 - 25 ნოემბერი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

ჰენრი კისინჯერი:
## დასავლეთმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა 3

# პოლიტიკოსი ბურჯანაძე და მისი რანგი 10



ანუ რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ექსსპიკერით?

„ყველა თავის ქვეყანაზე ფიქრობს, ჩვენც ჩვენს ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ და არა იმაზე, რა ესიამოვნება ამერიკას“



# «თუ ამერიკის ელჩის გარეშე ნაბიჯის გადადგმა არ შეგვიძლია, მაშინ ვაღიაროთ, რომ დამოუკიდებლები არ ვართ!» 9

## ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარებაზე ზედმიწევნით ასრულდა 6

„ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მითუმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს.“

„საქართველო და მსოფლიო“, № 6, 20-26 თებერვალი, 2013წ.



ალექსანდრე ჭაჭია

„ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. როგორც კი ჩაიგდებენ სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას, საჭიროების შემთხვევაში, მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება.“

„საქართველო და მსოფლიო“, №31, 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.

# «სააკაშვილის მოწმეები» და მათი 13 მცნება 4



# «ილია მეორემ ამ ინტერვიუთი ეკლესიის ყველა არაკეთილმოსურნე ბექებზე დადო, მისი განცხადება ბევრისთვის გულში ლახვარივით იყო» 14



2 აურზაური «ნაცების» ოფისში

2 ჯორჯ სოროსი:
2008 წელს სააკაშვილი ჯორჯ ბუშმა წაახალისა და მასაც ეგონა, რომ ამერიკა მოვიდოდა და უშველიდა

3 მსოფლიოს ახალი ფინანსური კრიზისი ემუქრება!

12 «სინოდის კრებებს მართავდნენ სოსო თოფურიძე და გიგა ბოკერია, უგულავა კი ეპისტოლეებს აწერებდა»

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და მათი განეიტრალების 15 გზები

«დახვეწილი არამზადები 19 არიან ეს «ნაციონალები»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ხაჯიმბა: საქართველოსთან თანამშრომლობა ორი ფაქტორის არსებობის შემთხვევაში შეიძლება

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ აფხაზეთი საკუთარი გზით მიდის და საქართველოსთან თანამშრომლობა მხოლოდ ორი ფაქტორის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.** „ჩვენ საკუთარი ორიენტირები გვაქვს. როგორმე საქართველოს გარეშეც ვიცხოვრებთ. იმისთვის, რომ საქართველოსთან ვითანამშრომლოთ, საჭიროა, გადავწყვიტოთ ორი ფაქტორი — ომის ხელახლა არდაშვების საკითხის გადაჭრა და საქართველოს მხრიდან ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღიარება“, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ გამოცემა „კავკაზსკი უზელთან“ ინტერვიუში.



## გაისად კომუნალურ ვაუჩერს ყველა ოჯახი ვერ მიიღებს

**2015 წლიდან თბილისში კომუნალური ვაუჩერები ყველა ოჯახს არ გადაეცემა, — განაცხადა მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა.**

„დღეს არიან ოჯახები, რომელსაც სოლიდური შემოსავალი აქვთ და ვერ გრძნობენ ვაუჩერის დარიცხვას. სწორედ ამ მიზნით იქმნება კომისია, ვინაიდან არსებული პროგრამა არ იძლევა იმის საშუალებას, მოხდეს არასოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მიზნობრიობისა და საჭიროების განსაზღვრა. ამიტომ უნდა შეიქმნას მექანიზმები, რომლებითაც განისაზღვრება, გარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისა, რომელი ოჯახების რა სუბსიდირება უნდა მოხდეს და რა თანხით“, — აღნიშნა ჩივიაშვილმა.

ოჯახების შერჩევის კრიტერიუმი, როგორც სოციალური სამსახურის უფროსი აცხადებს, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოხდება.

კომისია, რომელიც გადაწყვეტს, რომელ ოჯახს უნდა მიეცეს კომუნალური ვაუჩერი, თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, 2015 წლის იანვარ-თებერვალში შეიქმნება.




## მექრთამეობის რისკის დონე საქართველოში დაბალი მაჩვენებლით შეფასდა

**არაკომერციულმა ასოციაცია Trace International-მა და ანალიტიკურმა ცენტრმა Rand Corporation-მა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესთან დაკავშირებული მექრთამეობის რისკების შემფასებელი ინდექსი Trace Matrix- ი გამოაქვეყნა.**

ინდექსის მიხედვით, ბიზნესთან დაკავშირებული მექრთამეობის რისკის დონე საქართველოში დაბალი მაჩვენებლით შეფასდა და საქართველომ 197 ქვეყანას შორის 27 ქულით მე-11 ადგილი დაიკავა. რეიტინგის ავტორები ქვეყნების მდგომარეობას აფასებენ ოთხი პარამეტრით: ბიზნესის ურთიერთობები მთავრობასთან; ანტიკორუფციული კანონმდებლობა და მათი აღსრულება; ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობის შესაძლებლობები, მედიის როლის ჩათვლით. ინდექსი, ასევე, მოიცავს 9 ქვეკატეგორიას.

ბიზნესის მთავრობასთან ურთიერთქმედების დონით საქართველო 17 ქულით შეფასდა, ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიხედვით, — 24 ქულით, ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობის მხრივ — 19 ქულით, საზოგადოების ზედამხედველობის შესაძლებლობით — 39 ქულით.

Trace Matrix-ის ინდექსის პირველ ხუთეულში ირლანდია, კანადა, ახალი ზელანდია, ჰონგ კონგი და შვედეთი არიან, ბოლო ხუთეულში კი — კამბოჯა, უზბეკეთი, ანგოლა, იემენი და ნიგერია არიან.

რაც შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, აზერბაიჯანი 140-ე პოზიციაზეა, სომხეთი — 87-ეზე, რუსეთი — 124-ზე, უკრაინა კი — 132-ზე.

# აურზაური «ნაცების» ოფისში

**რუსთაველის გამზირზე აქციის მიმდინარეობისას ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა „ნაცმოძრაობის“ მთავარი ოფისი წითლად შეღებეს და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის არცთუ სასიამოვნო წარწერები დატოვეს, თუმცა აეროპორტის ტრასაზე მდებარე შენობა მთავარი ამბების მომსწრე ოდნავ მოგვიანებით გახდა, როცა აქცია დაიშალა და პარტიის მესვეურთა ნაწილი ოფისში მივიდა.**






„ნაცმოძრაობის“ ლიდერებს აქციის მიმდინარეობის დროსაც ეტყობოდათ, რომ შეცბუნებული იყვნენ, რადგან პარლამენტის შენობის წინ მხოლოდ რამდენიმე ათასი ადამიანი იყო მობილიზებული, რომლებიც „ნაციონალებმა“ რეგიონებიდან ჩამოიყვანეს, დედაქალაქის მოსახლეობის აქტივობა კი ამ აქციის მიმართ, პრაქტიკულად, ნულოვანი იყო. აქციაზე ხალხის სიმცირეს ყველაზე მეტად უკრაინაში მყოფი საქართველოს ექსპრეზიდენტი გაუმწარებია და თბილისში მყოფი თანაგუნდელები გვარიანად შეუფუცხუნებია. პრეზიდენტყოფილი, თურმე, 15 ნოემბრის აქციაზე 40 ათასი კაცის მიყვანას ვარაუდობდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სააგენტო „ნიუსპრესს“ განუცხადა, რომ განრისხებული მიშას ზარები ჯერ კიდევ მაშინ დაწყებულა, როცა 16:00 საათზე, რესპუბლიკის მოედანზე რეგიონებიდან ჩამოყვანილი კოლონების მოსვლამდე, სულ რამდენიმე ასეული ადამიანი დადიოდა.

თანაგუნდელებს სააკაშვილისთვის უთქვამთ, — ქართული მენტალიტეტის ამბავია, ხალხი ზუსტად 4 საათზე ხომ არ მოვაო. მაგრამ მიშა ამას ვერ დაუმშვიდებია, — კონტრაქციის მონაწილეები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ჩვენებიო. კადრებს, რომლებიც პარლამენტის შენობასთან აქციის მონაწილეების შეკრების შემდეგ აჩვენეს, სააკაშვილი უფრო გაუცოფებია, რადგან ამ დროს უკვე სააკაშვილის ზარებს აქციის ორგანიზატორები აღარ პასუხობდნენ. თუმცა ექსპრეზიდენტის რისხვა მათ თავს მოგვიანებით, აქციის დასრულების შემდეგ დაატყდათ: მიხეილ სააკაშვილი თურმე ყვიროდა და პარტიის ელიტას უსაქმურებსა და არაფრისმკეთებლებს უწოდებდა.

**სააკაშვილს მოუთხოვია დეტალური ანგარიში იმ თანხისა, რომელიც აქციის ორგანიზებისთვის დაიხარჯა, აგრეთვე, პარტიის თბილისის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლების შეცვლა, რადგან აქციაზე დედაქალაქის მოსახლეობის აქტივობა ძალიან დაბალი იყო.** გია ბარამიძეს გაუბედავს და სააკაშვილისთვის უთქვამს, ხელისუფლების რეპრესიების ფონზე 25 ათასი კაცის გამოყვანა მაინც შევძელით და მეტი რა გვექნა, სხვა დროს უფრო მეტი ხალხი გამოვაო. მიშა უფრო გამწარებულა, — ვის ატყუებთ, 25 ათასი კაცი რუსთაველზე ისე ხალვათად როგორ იდგა, რომ პიონერთა სასახლიდან 1-ელ სკოლამდე ტერიტორია ვერ შეავსოო.

**სააკაშვილის თითქმის 20-წუთიანი ყვირილი გიგა ბოკერიას ყელში ამოსვლია და იქით შეუტევია, — უკრაინიდან და ამერიკიდან დირექტივების მიცემა ადვილია, თუ რამის გამკეთებელი ხარ, ჩამოდი და გააკეთე, თუ არა და ის მაინც დააფასე, რომ ჩვენ აქ ყოველდღე დაპატიმრების შიშის ქვეშ ვართ და მაინც რაღაცას ვაკეთებთ, 2003 წელი არ გეგონოსო.** ბოკერიას პრეზიდენტყოფილისთვის 2012 წლის შემოდგომაც შეუხსენებია, როდესაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მიხეილ სააკაშვილმა „დინამო-არენას“ ხალხით გავსება ვერ შეძლო.

**P.S. 15 ნოემბრის აქციაზე ხალხის აქტივობა ძალიან დაბალი რომ იყო, გასაკვირი არ არის, რადგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“, სააკაშვილის მეთაურობით, დასავლეთის მიერ დაკისრებული მისია უკვე ამოწურა: საქართველოში მოშალა განათლება, გაანადგურა კულტურა, სპორტი; ებრძოდა მართლმადიდებლობას; მიისაკუთრა უამრავი ადამიანის ქონება; ციხეებში გამოკეტა, სასტიკად აწამა და ცოცხებით გააუპატიურა ათასობით ადამიანი, ქვეყანას ვალად დაადო მილიარდობით დოლარი და დაკარგა ტერიტორიები...**

**„ნაცმოძრაობა“ განწირულია ისტორიის სანაგვეზე მოსასროლად, მას ვერც უზარმაზარ თანხების დახარჯვა უშველის და ვერც გოკა გაბაშვილის თვალების ბრიალი, რადგან ამერიკელი მამები ფსონს უკვე ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებსა“ და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებზე დებენ, მაგრამ, როგორც 15 ნოემბრის აქციამ და,საზოგადოდ, ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, საზოგადოება მხარს აღარ დაუჭერს საქართველოში კვლავ ისეთი ძალის გაბატონებას, როგორიც ქართველთმოძულე „ნაციონალური მოძრაობა“ იყო...**

**მომზადებულია NEWSPRESS.GE -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**

# ჯორჯ სოროსი: 2008 წელს სააკაშვილი ჯორჯ ბუშმა წაახალისა და მასაც ეგონა, რომ ამერიკა მოვიდოდა და უშველიდა

**ფონდ „ღია საზოგადოების“ დამფუძნებლის — ფინანსისტ ჯორჯ სოროსის განცხადებით, საქართველოს არ აქვს საკმარისი რესურსი, რომ რუსეთს დაუპირისპირდეს, მით უმეტეს, რომ მან ასეთი შეცდომა ერთხელ უკვე დაუშვა, — განაცხადა სოროსმა ქართველი სტუდენტებისთვის გამართულ ლექციაზე, რომლის თემაც იყო „ევროპის მომავალი“.**

„თუ სამხედრო დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, ცხადია, საქართველოს არ აქვს რესურსი, რუსეთს დაუპირისპირდეს ან, თუ ეს იქნება ტერიტორიის დაბრუნების პირდაპირი გზა, ასეთი შეცდომა სააკაშვილმა ერთხელ უკვე დაუშვა. სააკაშვილი იმ პერიოდში პრეზიდენტმა ბუშმა წაახალისა. სააკაშვილს ეგონა, რომ ამერიკა მოვიდოდა და უშველიდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა“, — აღნიშნა ჯორჯ სოროსმა და დასძინა, რომ დემოკრატიის გზაზე საქართველო უფრო მყარად დგას, ვიდრე უკრაინა.



## უგულავა, შესაძლოა, 80 მლნ ლარით დააჯარიმონ

**ონლაინკაზინო „აჭარაბეთში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა, — განაცხადა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა. გამოძიება 218-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც გადასახადებისგან თავის არიდებას ითვალისწინებს.**

ჯერ დაუზუსტებელია, რა ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს „აჭარაბეთს“, თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ საგამოძიებო სამსახური „აჭარაბეთის“ შენობის მეპატრონე თემურ უგულავას გადასახადებისგან თავის არიდებას ედავება. ამის გამო უგულავა, შესაძლოა, 80 მილიონი ლარით დააჯარიმონ.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პეტრე პოროშენკო: ნატოში უკრაინის შესვლაზე ფიქრი ნაადრევია



**უკრაინის პრეზიდენტმა გერმანულ გაზეთ Bild-ს ინტერვიუ მისცა, მან ნატოში უკრაინის გაწევრების პერსპექტივაზე ისაუბრა.** „შეგვეძლო განაცხადი გაგვეგზავნა ნატოში შესვლის შესახებ, მაგრამ ამისთვის ბლოკი არ არის მზად. მხოლოდ მაშინ, როცა რეფორმებს განვახორციელებთ და კრიტერიუმს დავაკმაყოფილებთ, შევძლებთ, ვკითხოთ მოსახლეობას, სურთ თუ არა ალიანსთან უკრაინის მიერთება“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. უფრო ადრე ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის მიღების საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

## დევიდ კემერონი: მსოფლიოს ეკონომიკას ახალი ფინანსური კრიზისი ემუქრება!



**დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა დევიდ კემერონმა „დიდი ოცეულის“ სამიტის შედეგების მიხედვით გაზეთ The Cuardian-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ მსოფლიოს ეკონომიკას ახალი გლობალური ფინანსური კრიზისი ემუქრება.**

„6 წელი გავიდა ფინანსური კრიზისიდან, რომელმაც მსოფლიო დააჩოქა და ახლა მსოფლიოს ეკონომიკის პულტზე კვლავ ციმციმებს წითელი ნათურა.

ბრისბენში „ოცეულის“ სამიტზე, როცა მსოფლიოს ლიდერებს ვხვდებოდი, პრობლემები ნათლად ჩანდა. ეკონომიკის დაქვეითების მესამე ტალღის ზღვარზე ევროზონა ცდილობს, წონასწორობა დაიცვას უმუშევრობის მაღალ დონესა და ფასების შემცირების რეალურ რისკს შორის. განვითარებულ ბაზრებს, რომლებიც მსოფლიოს ეკონომიკის ზრდის ლოკომოტივის როლს თამაშობენ, კრიზისიდან გამოსვლის პირველ ეტაპზე დინამიკა შეუმცირდათ,“ — წერს დევიდ კემერონი.




ევროპამ აქამდე ვერ დააღწია თავი 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისს: საბანკო სექტორი ჯერაც არ არის სრულად აღდგენილი; ვალები გაუსტუმრებელია; სტრუქტურულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა უკანა პლანზე გადაიწია. ასეთ ვითარებაში ევროპის ცენტრალურ ბანკს მხოლოდ დარტყმის შემსუბუქება შეუძლია და არა — მისი თავიდან აცილება.




## ჯერემი უორნერი: ევროპა მალე აღარ იარსებებს!



**„ევროკავშირი ეკონომიკურად და პოლიტიკურად კვდება და უძლურია, თავი გადაირჩინოს“, — წერს ცნობილი ჟურნალისტი, ეკონომიკის საკითხების ექსპერტი ჯერემი უორნერი პოპულარული ბრიტანული გამოცემა The Daily Telegraph-ის ფურცლებზე.**

„დიდი ბრიტანეთისთვის ახლა ლაპარაკი იმაზე კი აღარ არის, იქნება თუ არა ის ევროკავშირის ნაწილი, არამედ იმაზე, შეძლებს თუ არა ქვეყანა, თავიდან აიცილოს ნგრევის პირას მისული ევროპის ნამსხვრევების აცილებას.

თუკი კვლავაც ასე გაგრძელდება, მალე აღარ იარსებებს ევროპა, რომლის ნაწილიც ვართ. მთავარი საფრთხე არის არა ევროპული ბაზრისა და ინვესტიციების დაკარგვა, არამედ პოლიტიკური კრიზისებით პარალიზებული და მონეტარული ხელისუფლების ეკონომიკური უუნარობით დასახიჩრებული კონტინენტი.

ევროსკეპტიკოსების, ნაციონალისტებისა და მემარცხენე პოპულისტების მზარდი პოპულარობა კიდევ ერთი სიმპტომია იმისა, რომ ევროკავშირი კვდება. რაღაც აღმოცენდება მის ნანგრევებზე, მაგრამ რაც უნდა იყოს ის, სტატუს კვო უნდა დავივიწყოთ“, — წერს ჯერემი უორნერი.



## ჰენრი კისინჯერი: დასავლეთმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა

**«თუკი დასავლეთს სურს, იყოს პატიოსანი, უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა. ევროპამ და აშშ-მა ვერ გაიგეს მნიშვნელობა იმ მოვლენებისა, რომლებიც დაიწყო ევროკავშირისა და უკრაინის ეკონომიკურ ურთიერთობებზე, შემდეგ კი კიევის მაიდანში გადაიზარდა»**

**„დასავლეთმა უნდა აღიაროს, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა ჯეროვნად არ შეაფასა უკრაინის მნიშვნელობა რუსეთისთვის“, — ასეთი მოსაზრება გამოთქვა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კოსინჯერმა გერმანული ყოველკვირეული გამოცემა Der Spihel-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. კისინჯერმა აგრეთვე, აღიარა, რომ უკრაინაში სიტუაცია ვაშინგტონის სცენარით ვითარდება.**

„თუკი დასავლეთს სურს, იყოს პატიოსანი, უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა. ევროპამ და აშშ-მა ვერ გაიგეს მნიშვნელობა იმ მოვლენებისა, რომლებიც დაიწყო ევროკავშირისა და უკრაინის ეკონომიკურ ურთიერთობებზე, შემდეგ კი კიევის მაიდანში გადაიზარდა. უნდა დაეწყოთ რუსეთთან მოლაპარაკებები. უკრაინას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის. ამის გაუცნობიერებლობა საბედისწერო შეცდომა იყო. კრიზისი უკრაინაში მხოლოდ გამწვავდება, ამიტომ არ შეიძლება ახალი ცივი ომის დაწყების საფრთხის უგულებელყოფა.

ანტირუსული სანქციები კი კოტრპროდუქტიულია, ამ სანქციების გამო ბევრი დიდი სახელმწიფო მიიღებს ზომებს თავისი ბაზრების დასაცავად, ეს კი ნეგატიურად აისახება მსოფლიოს ეკონომიკაზე“, — განაცხადა ჰენრი კისინჯერმა.

## ბერძნებმა პროტესტის ნიშნად აშშ-ის დროშა დაწვეს

**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გაიმართა მრავალათასიანი მარში, რომელიც ათენის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების ამბოხების 41-ე წლისთავს მიეძღვნა. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა დაწვეს ამერიკის დროშა, რადგან 1973 წლის 17 ნოემბერს სტუდენტთა ამბოხება სასტიკად ჩაახშო „შავი პოლკოვნიკების“ ხუნტამ, რომელსაც მხარს აშშ უჭერდა.**

მსვლელობა დემონსტრანტებმა ათენის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან დაიწყეს, შემდეგ ისინი აშშ-ის საელჩოსთან მივიდნენ აშშ-ისადმი პროტესტის გამოსახატავად, რომელიც 1967-1974 წლებში მხარს უჭერდა საბერძნეთში სამხედრო დიქტატურას. კოლონის წინ აქციის მონაწილეებს მიჰქონდათ საბერძნეთის სისხლიანი დროშა, ხოლო ამერიკის საელჩოსთან მისვლის შემდეგ აშშ-ის დროშა დაწვეს.

დემონსტრანტები სკანდირებდნენ: „მსოფლიო სავალუტო ფონდი და ევროკავშირი — გაეთრიეთ საბერძნეთიდან!“, „აშშ და ნატო — გაეთრიეთ საბერძნეთიდან!“.



## ლათინური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებს კიბოს «ეპიდემიამ» შეუტია

**ლათინური ამერიკის პრეზიდენტების ონკოლოგიური დაავადებებისადმი უცნაურ მიდრეკილებაზე ჯერ კიდევ 2011 წელს ალაპარაკდა ვენესუელის აწ უკვე გარდაცვლილი პრეზიდენტი უგო ჩავესი.**

კენესუელის კომანდანტე დარწმუნებული იყო, რომ აშშ-ს აქვს ტექნოლოგიები, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, გამოიწვიოს ონკოლოგიური დაავადებები და ასე მოიშოროს თავიდან არასასურველი ლიდერები. **უგო ჩავესს** ეჭვი ჰქონდა, რომ თვითონ ის დაასხივეს ნიუ იორკის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე მონაწილეობის პერიოდში იმყოფებოდა.

2011 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებს მართლაც შეუტია ონკოლოგიური დაავადებების „ეპიდემიამ“: კიბოს დიაგნოზი დაუსვეს ბრაზილიის ექსპრეზიდენტ **ლუის იგნასიო ლულა დე სილვას;** ცოტა ხნით ადრე ონკოლოგიური დაავადების დიაგნოზი დაუსვეს ბრაზილიის ამჟამინდელ პრეზიდენტ **დელმა რუსეფსაც.** იმავე წელს ფარისებრი ჯირკვლის კიბო აღმოუჩინეს არგენტინის პრეზიდენტ **კრისტინა კირშნერს.** ერთი წლით ადრე კიბოსგან გარდაიცვალა მისი მეუღლე, არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი და უგო ჩავესის ყოფილი მეგობარი **ნესტორ კარლოს კირშნერ ოსტოიჩი.** ცოტა ხნის წინათ ონკოლოგიური დაავადება დაუდგინდა ბოლივიის პრეზიდენტ **ევო მორალესს.**

უკვე კარგა ხანია, ნაწლავების კიბოსგან იტანჯება კუბის ყოფილი ლიდერი **ფიდელ კასტრო,** რომელმაც პირველმა განაცხადა ლათინური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებისთვის ონკოლოგიური დაავადების „გადამდები ხასიათის“ შესახებ და უგო ჩავესი გააფრთხილა, რომ შემუშავებულია ამ დაავადებების გამომწვევი ტექნოლოგიები და ვენესუელის კომანდანტე შეიძლება, მათი მსხვერპლი გახდეს. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ყველა ადამიანი მემარცხენე პოლიტიკოსები არიან და ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ექსპანსიას ეწინააღმდეგებიან.


უგო ჩავესი

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როგორც ჩანს, იმ საქართველოში მიწაზე ხოხვა ჰალსტუხით კბილებში სიამაყისა და ღირსების უტყუარი ნიშანია, ხოლო პატიმრების გაუპატიურება, სავარაუდოდ, — განსაკუთრებულობის უმაღლესი გამოვლინება. ეს სხვა სამყაროა, სხვა განზომილება, სააკაშვილის მოწმეთა „სხვა საქართველო“.**

# «სააკაშვილის მოწმეები» და მათი 13 მცნება

**15 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილის სახელობის ტოტალიტარულმა სექტამ საზოგადოებაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. როდესაც საგანგებო მზადებისა და მობილიზაციის შემდეგ რუსთაველზე იმდენ მხარდამჭერს ვერ გამოიყვან, რამდენიც „ძველ ოპოზიციას“ ექსპრომტად, ასე ვთქვათ, „ცალი ხელით“ გამოჰყავდა, მრავლისმნახველი ქართული აუდიტორიის გაკვირვების პრეტენზია, ალბათ, არ უნდა გქონდეს.**
**ამ აქციის შემდეგ, სავარაუდოდ, დასრულდება კონსპიროლოგიური მონოლოგები მოსალოდნელ „ერთიან ნაციონალურ მაიდანზე“, რადგან ამ ძალებით დედაქალაქის პარალიზებას ნამდვილად ვერ მოახდენენ; მაქსიმუმ, ერთი ფსიქიატრიული საავადმყოფოს შტურმი მოაწყონ (პოტენციური მხარდამჭერების დასახსნელად).**




თუმცა აქციის მონაწილეთა მოკრძალებული რაოდენობა ამ შემთხვევაში მეათეხარისხოვანია. მისი მთავარი შედეგი კი ისაა, რომ არც ერთი სხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აშკარა სატელიტების გარდა, „ნაცმოძრაობას“ სათოფეზე არ გაეკარა და „ანექსიასთან ბრძოლის“ საქმეში მასთან თემატური თანამშრომლობის სურვილი არ გამოუხატავს. ამ თვალსაზრისით, ყოფილმა მმართველმა პარტიამ იზოლაციის გარღვევა ვერ მოახერხა. სხვათა შორის, ნებისმიერი „მაიდნის“ თუ „ფერადი რევოლუციის“ ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფის ფართო ტაქტიკური ალიანსი იზოლაციაში მოქცეული, კუთხეში მიმწყვდეული ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთი იზოლირებული პარტიის მიერ მოწყობილი „მაიდანი“ ჯერ არავის უნახავს. გასულ შაბათს ნათლად გამოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობა“ მარტოდმარტოა და მასთან მიახლოებას არავინ აპირებს. ის იზოლირებულია, როგორც ტოტალიტარული სექტა, რომელიც პირველ წინადადებაში ვახსენეთ და, ალბათ, **შემთხვევითი არაა, რომ 15 ნოემბრის შემდეგ სოციალურ ქსელებში „ნაცმოძრაობას“ „სექტას” გაცილებით ხშირად უწოდებენ, ვიდრე წინა თვეებში და აქ საქმე, სავარაუდოდ, არა მხოლოდ იმ კვაზირელიგიურ ექსტაზშია, რომლის არაერთი გამოვლინება 15 ნოემბერს ვიხილეთ.** „ნაციონალები“ თვლიან, რომ ეს შედარება შეურაცხმყოფელია, თუმცა მას საკმაოდ სერიოზული საფუძველი აქვს. უცხოელმა მეცნიერებმა და სამართალდამცავებმა ტოტალიტარული სექტების შესწავლას საკმაოდ ბევრი დრო და ენერგია დაახარჯეს და შესაძლებლობა მოგვცეს, კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ 13 პუნქტი, რომელიც ამ ფართოდ გავრცელებულ მეტაფორას ნამდვილად ამყარებს:

**1) ჯგუფის წევრები მორჩილად ემსახურებიან ლიდერს და მის სიტყვებსა და ქმედებებს ეჭვქვეშ არ აყენებენ;**

**2)** ისინი მიიჩნევენ, რომ მათ ჯგუფს და ლიდერს, აქვთ განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც სხვებისგან გამოყოფს და მათზე მაღლა აყენებს;

**3) ჯგუფის წევრები საკუთარ თავს ჭეშმარიტებას ნაზიარები ელიტის წარმომადგენლებად თვლიან, დანარჩენებს კი — შემცდარ ბრბოდ, რომელიც ჯიუტად ეწინააღმდეგება იმას, რომ ჯგუფის წევრებმა გადაარჩინონ (იხსნან);**

**4)** განსხვავებული შეხედულებების მატარებელნი არ განიხილებიან, როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები, არამედ მხოლოდ როგორც მარიონეტები, რომელთა უკან ლამის დემონური ბუნების მქონე ძალები დგანან;

**5) ჯგუფის ლიდერი არავითარ შემთხვევაში არ განიხილება როგორც წარუმატებლობის პირველწყარო; პრობლემების მიზეზად არასაკმარისი რწმენა და საზოგადოების ზოგადი „სიბნელე“ განიხილება;**

**6)** ლიდერს ზებუნებრივი ძალების რჩეულად მიიჩნევენ (ჩვენს პოლიტიკურ მითოლოგიაში ამ როლს აშშ-ს ხელისუფლება და აბსტრაქტული „,დასავლეთი“ ასრულებენ);

**7) შიდა დისციპლინა, ჯგუფის წევრების კონტაქტები გარე სამყაროსთან მკაცრად კონტროლდება, მუშაობს თვალთვალისა და დასმენის მანქანა, მიზანმიმართულად ინერგება აზრი, რომ ლიდერმა ყველაფერი იცის;**

**8)** ახალი წევრების მოზიდვისა და ძველების შენარჩუნებისთვის გამოიყენება ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპეციალური ტექნოლოგიები (ის, რასაც პროპაგანდის მიმართ „ტვინის გამორეცხვას“ უწოდებენ) და დამორჩილების სხვა საშუალებები;

**9) ჯგუფის წევრები გამუდმებით ცდილობენ, გაამარტივონ სამყაროს სურათი და ურთულესი პრობლემები მარტივი სქემების ფარგლებში („შავი-თეთრი“, „სიკეთე-ბოროტება“) მოაქციონ;**

**10)** ჯგუფის წევრებს ახასიათებთ მუდმივი, მიზანმიმართული სწრაფვა შემოსავლის ნებისმიერი წყარო ჯგუფის (და ამავე დროს პირად) ინტერესებს დაუქვემდებარონ;

**11) განდგომილები განიხილებიან, როგორც დამნაშავეები (ცოდვილები), რომელთა დასჯა ჯგუფის ნებისმიერი წევრის „წმინდა“ მოვალეობაა;**

**12)** ჯგუფის წევრები რეგულარულად, ხშირ შემთხვევაში, სრულიად უადგილოდ, იმეორებენ მოკლე, იოლად დასამახსოვრებელ ტექსტებს, ერთგვარ მანტრებს, რომლებიც მედიტაციის საშუალებას წარმოადგენს და სიხარულსაც ანიჭებთ („მიშა მაგარია“ და ა. შ. განხილულ შემთხვევაში ყურადღება, ალბათ, იმაზეც უნდა გავამახვილოთ, რომ არსებობს სიძულვილის მობილიზაციაზე ორიენტირებული ფორმულებიც, მაგალითად, „რუსეთი-რუსეთი-რუსეთი...“, „პუტინის ოლიგარქი და ჰაკიმ-ფაშა“ და სხვ.);

**13) ლიდერის ბრძანება ჯგუფის წევრებისთვის კანონზე და ნებისმიერ სხვა შემზღუდავ ნორმაზე მაღლა დგას.**

ასე რომ, ალბათ, მაინც არსებობს საფუძველი, რომ „ნაცმოძრაობა“ ტოტალიტარულ სექტას შევადაროთ და დროდადრო „სააკაშვილის მოწმეებად“ მოვიხსენიოთ. სხვათა შორის, თავად ფიგურანტმა თავის ვიდეომიმართვაში სცადა, იზოლირებულობა არა საკუთარ ჯგუფთან, არამედ მოწინააღმდეგესთან დაეკავშირებინა (პიარში აპრობირებული ხერხია): „ ივანიშვილის საქართველო მარტოა, ჩვენს საქართველოს მეგობართა დიდი არმია ჰყავს; ივანიშვილის საქართველო არის დაჩმორებული და გაბანძებული, ჩვენი საქართველო კი არის ის, რაც ყოველთვის იყო – ამაყი, ღირსეული, განსაკუთრებული ქვეყანა“. თუ პოლიტიკაზე ვისაუბრებდით, ალბათ, ვიტყოდით, რომ ეს საზოგადოების გახლეჩისა და სამოქალაქო ომის რიტორიკაა, მაგრამ ვინაიდან კვაზირელიგიაზე ვმსჯელობთ, ყველაზე საინტერესო აქ, ალბათ, ის პარალელური, წარმოსახვითი საქართველოა, რომელშიც სააკაშვილის მიმდევრები ცხოვრობენ. **როგორც ჩანს, იმ საქართველოში მიწაზე ხოხვა ჰალსტუხით კბილებში სიამაყისა და ღირსების უტყუარი ნიშანია, ხოლო პატიმრების გაუპატიურება, სავარაუდოდ, — განსაკუთრებულობის უმაღლესი გამოვლინება. ეს სხვა სამყაროა, სხვა განზომილება, სააკაშვილის მოწმეთა „სხვა საქართველო“,** რომლის შესწავლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მის ბინადრებს განსხვავებული ლოგიკა, მოტივები თუ ეთიკის კოდექსი აქვთ. ჰოლივუდურ ფილმებში (რეალურ ცხოვრებაშიც ასე ხდება), რომელიც სამართალდამცავების და ტოტალიტარული სექტების წარმომადგენლების ურთიერთობას ასახავს, ერთ-ერთი საკვანძო იდეა შემდეგია: არ შეიძლება გაშიფრო სექტანტების მოტივები, თუ მათ მიკროსამყაროს კარგად არ შეისწავლი — ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, შაბლონურმა მოქმედებებმა შეიძლება საბედისწერო შეცდომა დაგაშვებინოს. „ნაცმოძრაობასთან“ დკავშირებით, ალბათ, არა უბრალოდ პოლიტიკაზე, არამედ ძნელად გასაშიფრ, კვაზირელიგიური იმპულსებით დამძიმებულ, სხვა „პარალელურ პოლიტიკაზე“ უნდა ვიმსჯელოთ.



დღეს ხშირად საუბრობენ, რომ ხელისუფლებამ უნდა გაასაჯაროოს ყველა ვიდეოფირი, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის წლებში პატიმრების თუ სხვა პი- ▶

მოკლედ



## ინდოეთში იოგას სამინისტრო შექმნეს

**იოგა — უძველესი სულიერი და ფიზიკური პრაქტიკა, რომელიც ინდოეთში ფართოდ არის გავრცელებული, სახელმწიფო სტატუსს მიიღებს. ქვეყნის პრემიერმინისტრმა შექმნა უწყება, რომელიც მოწოდებული იქნება იოგასა და ინდური ტრადიციული მედიცინის პოპულარიზაციისთვის. მთავრობა ამ სამინისტროს 174 მლნ დოლარს გამოუყოფს.** ინდოეთის პრემიერმინისტრი ნარენდრა მოდი იოგას მიმდევარია. ამა წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე მან იოგას საერთაშორისო დღის დაწესება მოითხოვა. რეზოლუციას ხელი მოაწერეს აშშ-მა, ჩინეთმა, ნეპალმა, ბუტანმა და კანადამ. ინდოეთის პრემიერის მიერ იოგას მინისტრად დანიშნულმა შრიპად ნაიკმა განაცხადა, რომ ყველანაირად შეუწყობს ხელს ქვეყანაში იოგასა და ინდური ტრადიციული მედიცინის განვითარებას, რომლებიც ჯერ კიდევ არ სარგებლობს სათანადო პოპულარობით.



შემთხვევითი არაა, რომ 15 ნოემბრის შემდეგ სოციალურ ქსელებში „ნაცმოძრაობას“ „სექტას“ გაცილებით ხშირად უწოდებენ, ვიდრე წინა თვეებში და აქ საქმე, სავარაუდოდ, არა მხოლოდ იმ კვაზირელიგიურ ექსტაზშია, რომლის არაერთი გამოვლინება 15 ნოემბერს ვიხილეთ.

რეზონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ჯგუფი იზოლირებულია, არჩევნების მოგების არანაირი შანსი არ აქვს, ხოლო მისი კვდომის პროცესს, რომელიც სავსებით ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარეობს, სავარაუდოდ, ვერაფერი შეაჩერებს**

◀ რების არაადამიანურ წამებას ასახავს. პირადად მე ამას მხარს ვუჭერ (ცხადია, მსხვერპლთა ანონიმურობა დაცული უნდა იყოს), რადგან საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, რა ხდებოდა მის თავს 9 წლის განმავლობაში. კონსტიტუციის ოცდამეოთხე მუხლის შინაარსი (ინფორმაციის თავისუფალი მიღება და სხვ.) და ზოგადი სულისკვეთება, ალბათ, უფრო ფირების გასაჯაროებისკენ გვიბიძგებს, ვიდრე დამალვისკენ. მაგრამ, ამავე დროს, არ ვეთანხმები იმ კომენტატორებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ ფირების გასაჯაროების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ბევრ მხარდამჭერს „თვალები აეხილება“ და თავის ბელადს თუ „გურუს“ ზიზღით დაშორდებიან. უკვე გამოქვეყნდა საკმარისი რაოდენობის დოკუმენტი იმისთვის, რათა ყველა დარწმუნებულიყო, რომ 2003-12 წლებში საქართველოს სადისტური, არსებითად ფაშისტური რეჟიმი მართავდა, რომლის შემდეგაც „ნაცმოძრაობის“ არაერთი ყოფილი მხარდამჭერი შეძრწუნდა და გაეცალა მას. მაგრამ მათზე, ვინც სააკაშვილთან დარჩა, ამ ფირების გამოქვეყნება, სავარაუდოდ, სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ისინი უკვე გადასახლდნენ „პარალელურ საქართველოში“, სადაც ლოგიკის თუ ზეობის კანონები ფრიად განსხვავებულია.

ამ კონტექსტში შეგვიძლია, გავიხსენოთ ცნობილი „აუმ სინრიკე“ — მას შემდეგ, რაც მისმა თავკაცმა სეკო ასაჰარამ ტოკიოს მეტროში გაზის (ზარინის) გაშვების ბრძანება გასცა, რომელსაც ათობით უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა, დაახლოებით ათიათასკაციანი ტოტალიტარული სექტის წევრების ნახევარმა (ესეც — დაახლოებით, ექსპერტების შეფასებები განსხვავებულია) მისი რიგები დატოვა. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ დაახლოებით 5000 იაპონელი ასახარას ერთგულ მიმდევრად დარჩა! ნორმალური ადამიანისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება გაამართლო უბინძურესი ტერორისტული აქტი, მაგრამ სექტის დახშულ სივრცეში, ასახარას „პარალელურ იაპონიაში“ (საინტერესოა, ამაყს უწოდებდნენ თუ ღირსეულს?), როგორც ჩანს, ესეც შესაძლებელი იყო. შემდეგ დაიწყო „აუმ სინრიკეს“ ნელი კვდომის პროცესი, თუმცა დღესაც კი ის სხვადასხვა შეფასებით 500-დან 1500-მდე მიმდევარს ითვლის, რომელთაც ნებისმიერი ვიდეოს გასაჯაროება პოზიციას, სავარაუდოდ, არ შეაცვლევინებს.

ეს უცნაური კანონზომიერება არაერთი დასავლური ტოტალიტარული სექტის ისტორიაში ჩაიწერა. მას შემდეგ, რაც მისი წევრები შეიტყობდნენ, რომ მათი გურუ ბანალური ქურდი ან, მაგალითად, პედოფილია, წევრთა ნახევარი ტოვებდა ჯგუფს, მაგრამ ნახევარი ჩადენილი დანაშაულის გამართლებას პოულობდა და მის რიგებში რჩებოდა. მთავარი პრობლემა კი (მათთვის) ის იყო, რომ ამის შემდეგ ახალი წევრების ნაკადი მკვეთრად მცირდებოდა და იწყებოდა ჯგუფის აგონიის ნელი, დროში გაწელილი პროცესი.



საქართველო (ამ დონეზე მაინც) სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია, იწამოს ის, რაც გაუხარდება, გამოაცხადოს მიხეილ სააკაშვილი მესიად, ახალაია და მერაბიშვილი — მის წამებულ მოციქულებად, ხოლო მეგის ქარდავა — წინასწამეტყველად. კანონი ამას არ კრძალავს და, ვიდრე ქვების სროლას არ დაიწყებენ, შეუძლიათ, გააკეთონ ის, რაც მოეხასიათებათ. **პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ჯგუფი იზოლირებულია, არჩევნების მოგების არანაირი შანსი არ აქვს, ხოლო მისი კვდომის პროცესს, რომელიც სავსებით ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარეობს, სავარაუდოდ, ვერაფერი შეაჩერებს.** ალბათ, ეს კარგი მომენტია იმისთვის, რომ დავიწყოთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ეგზოტიკური კვაზირელიგიური სექტის, საფუძვლიანი შესწავლა, ხოლო პოლიტიკის კონტექსტში მასზე აღარ ვისაუბროთ, რადგან ის მის ფარგლებს აშკარად გასცდა და მიხეილ სააკაშვილის სახელობის პარალელურ საქართველოში გაიქრა.

# რატომ უჩივის ტელეკომპანია «სამეგრელოს» დირექტორი და წილის მფლობელი სახელმწიფოს

**ტელერადიოკომპანია „სამეგრელოში“ შექმნილ ვითარებაზე ამ კომპანიის დირექტორი დარეჯან კვარაცხელია და იურისტი ლევან ცალუღელაშვილი გვესაუბრებიან.**

**დარეჯან კვარაცხელია:**

— ტელერადიოკომპანია „სამეგრელო“ 1996 წელს ზუგდიდის, ხობისა და სენაკის გამგეობების, აგრეთვე, სამხარეო ადმინისტრაციის მიერ დაფუძნდა და სამეგრელოს ტერიტორიის 80 პროცენტზე მაუწყებლობდა.

ტელევიზიის მფლობელი იყო სახელმწიფო, მე კი გახლდით დირექტორი და რაღაც დროის განმავლობაში, ვინაიდან თანხები ვერ მოვიპოვეთ, ჩემი ჯიბიდან ვაფინანსებდი. ჩემ მიერ შეტანილი თანხა 5-6 წლის განმავლობაში 19 ათას ლარამდე ავიდა. მოვიწვიეთ დამფუძნებელთა კრება და გადაწყდა, რომ შეტანილი 19 ათასი ლარის სანაცვლოდ ჩემთვის დაეთმოთ ტელევიზიის წილი. 2003 წლიდან სახელმწიფო გახდა ამ ტელეკომპანიის წილების 63 პროცენტის მფლობელი, დანარჩენი კი მე მეკუთვნოდა. 2006 წელს, როდესაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი გახლდათ ზაზა გოროზია, შემომითვალეს, — ან სახელმწიფოს წილი შეიძინე, ან შენი წილი მოგვყიდეო. **ჩემი წილი 50 ათას ლარად გავყიდე, თუმცა დამტოვეს კომპანიის დირექტორად და ვმაუწყებლობდით სრული დატვირთვით.** მოგვიანებით ტელევიზიამ ხარვეზებით დაიწყო მაუწყებლობა. 2010 წელს მოვიწვიეთ კრება და გადაწყდა, რომ სახელმწიფოს წილს ათი ათას ლარად იყიდდა შპს „ინფოვესტი“. სამწუხაროდ, ამ ხელშეკრულების გაფორმებას არ დავესწრებივარ, თორემ ასეთ კაბალურ პირობებს არ დავთანხმდებოდი.

**— რა წერია ამ ხელშეკრულებაში?**

— ის, რომ **შპს „ინფოვესტს“ ამ ათი ათასი ლარის საპირწონედ წელიწადში ასი ათასი ლარის ინვესტიცია უნდა ჩაედო ტელევიზიაში, რომელიც არ გააკეთა.** ხელშეკრულებაში ასევე ეწერა, რომ, თუ „ინფოვესტი“ ასიათასიან ინვესტიციას ვერ მოიზიდავდა, სახელმწიფო უფლებას იტოვებდა, წილი დაებრუნებინა. იმხანად „ინფოვესტის“ მფლობელი იყო ზაზა არახამია, რომელმაც 77 პროცენტი დაუთმო მამუკა თოდუას, ხოლო 23 პროცენტი — გელა ჟვანიას. არც ამ ადამიანებს განუხორციელებიათ ინვესტიცია. 2012 წლის არჩევნების შემდეგ უკვე ვითხოვდი, ჩემი წილი მოეყიდათ, ტელევიზია რომ ამემუშავებინა. 2013 წლის ივნისში გადმოვიფორმე „ინფოვესტის“ ასივე პროცენტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის „სამეგრელოში“ მხოლოდ 36 პროცენტს ფლობდა. მითხრეს, სახელმწიფომ დაიბრუნა ათი ათას ლარად გაყიდული წილიო. მივედი ქონების მართვის სააგენტოსა და ეკონომიკის სამინისტროში, მაგრამ იქ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც კანონთან შორის არიან. ვკითხე, რატომ დაარღვიეთ კანონი, როგორ დაიბრუნა სახელმწიფომ ტელეკომპანიის წილი, რომელიც გაყიდეთ, ან ამ ყველაფრის შესახებ რატომ არ მკითხეთ, ბოლოს და ბოლოს, ტელევიზიის დირექტორი ვარ-მეთქი. წადი და გაასაჩივრეო. არადა, გასაჩივრების სამთვიანი ვადა უკვე გასული იყო. **პარადოქსია ის, რომ ამ ტელევიზიის მფლობელები მე და სახელმწიფო ვართ, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ ჩემი დევნა დაიწყო და 216 ათას ლარს მე მომედავნენ. ზუგდიდის სასამართლომ კი ჩვენი ერთი სიტყვა არ გაითვალისწინა.** 2014 წელს მარეგულირებელმა კომისიამ ლიცენზია ჩამოგვართვა, — 90 დღეზე მეტს არ მაუწყებლობდითო. არადა, ჩემთან ერთად სახელმწიფო რომ იყო მეწილე, ამაზე ხმა არ ამოუღიათ. გარდა ამისა, მარეგულირებლის მუშაობის შესახებ **პარლამენტის სპეციალური კომისიის დასკვნაში წერია, რომ სახელმწიფომ დაარღვია კანონი, როდესაც დაიბრუნა ტელევიზიის წილი, თუმცა ეკონომიკის სამინისტროში არც ამისთვის მიუქცევიათ ყურადღება.** პრეზიდენტსა და პრემიერსაც მივწერეთ წერილი, მაგრამ ამაოდ. ეს წერილები ქონების მართვის სამინისტროშია დაპატიმრებული. ყველანაირად დაარღვიეს ჩემი უფლებები, რაც ძალადობაა სახელმწიფოს მხრიდან.

**ლევან ცალუღელაშვილი:**

— სარჩელი შევიტანეთ იმის გამო, რომ ტელეკომპანია „სამეგრელოს“ გაუმართლებლად ჩამოართვეს სიხშირეები. კანონი მაუწყებლობის შესახებ ითვალისწინებდა ჯერ გაფრთხილებას, შემდეგ — ლიცენზიის შეჩერებას და მხოლოდ ამის შემდეგ — მაუწყებლობის შეწყვეტას. არადა, ფაქტობრივად, პირდაპირ მოხდა სიხშირეების ჩამორთმევა. მარეგულირებელი კომისია უთითებდა, რომ თითქოს ტელეკომპანია „სამეგრელო“ არ მაუწყებლობდა 90 დღის განმავლობაში. წარმოადგინეს ჩანაწერების 6 დისკი, რომლებითაც სურთ, დაამტკიცონ, რომ ეს ტელეარხი არ მაუწყებლობდა. არადა, ეს დისკები საეჭვოა, რადგან გაურკვეველია, როგორ მოხდა მაუწყებლობის დღეების ათვლა. 2013 წლიდან სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება, ამ ტელეკომპანიაში წილი ჰქონოდა, თუმცა ტელეკომპანია „სამეგრელოს“ წილების 63 პროცენტს დღესაც სახელმწიფო ფლობს, რაც კანონის უხეში დარღვევაა. დღეს ტელეკომპანია „სამეგრელო“ არ მაუწყებლობს. ამით კი **დარეჯან კვარაცხელიამ მნიშვნელოვნად იზარალა — ვერ მართავს კომპანიას, როგორც დირექტორი, როგორც პარტნიორი, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო უხეშად არღვევს კანონს და თავის წილს არ ასხვისებს.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«დარეჯან კვარაცხელიამ მნიშვნელოვნად იზარალა — ვერ მართავს კომპანიას, როგორც დირექტორი, როგორც პარტნიორი, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო უხეშად არღვევს კანონს და თავის წილს არ ასხვისებს»**



## იტალიელთა მესამედს რომისგან დამოუკიდებლად ცხოვრება სურს

**„დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების შემოსავლების დონესა და პროფესიულ მოღვაწეობასთან,“ — წერს იტალიური გაზეთი La Republica.**

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იტალიის მოსახლეობის 30%-ზე მეტი მომხრეა სახელმწიფოდან თავისი რეგიონის გამოყოფისა. დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ყველაზე მეტად აღინიშნება ქვეყნის ჩრდილოეთში, მაგალითად, რეგიონ ვენეტოს მცხოვრებთა 53%-ს დამოუკიდებლად ცხოვრება სურს, დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერს ლომბარდიისა და პიემონტის მოსახლეობის 35%, ხოლო სიცილიასა და სარდინიაზე — 45%.



ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალები სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს“.



ალექსანდრე ჭაჭია:

# დიპლომატია და არა არმია შეიძლება, გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი!

## ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარებაზე ზედმიწევნით ასრულდა

**დღეს ბევრი ლაპარაკობს იმ შეცდომებზე, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა შემქმნელმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ დაუშვეს, მაგრამ იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე მხარს უჭერდნენ „ქართული ოცნების“ ბრძოლას სააკაშვილის ქართველთმოძულე რეჟიმის წინააღმდეგ, ამ კოალიციისა და მისი ლიდერის ბევრ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან.
ამ ადამიანთა შორის არის პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, რომლის პოლიტიკური პროგნოზებიც საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ 100%-ით ახდა.
აი რას სთავაზობდა იგი ივანიშვილის ხელისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში:**

**(„საქართველო და მსოფლიო“, № 6 (193), 20-26 თებერვალი, 2013წ.)**

„თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. **ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა.** რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მითუმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს. **საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება.** პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.

**მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა.** საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს. რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს. რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენლის სამ თვეში ერთხელ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შედეგი კი იქნება ერთობლივი ვახშამი და პირობა, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებიან. დრო კი მიდის და უნდა ვაღიაროთ, რომ — არა საქართველოს სასარგებლოდ.

საჭიროა გარღვევა, ამ სამუშაოს ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა. საჭიროა მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე პირი, რომელიც გავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის რგოლებთან და დაძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან. პრემიერმინისტრი ამით ვერ დაკავდება — მას აქვს უდიდესი მოცულობის შიდა პრობლემები, დიდ დროს ართმევს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან, რომელთა ზეწოლასაც წარმატებით უმკლავდება; ამასთანავე, **პრემიერი უმაღლესი სახელმწიფო პირია და მოლაპარაკებათა პროცესში შეთანხმების მიღწევის სტადიაზე უნდა ჩაერთოს, ანუ მას მუდმივად უნდა ჰქონდეს მანევრის საშუალება.**

პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით, კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება — მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი „მედასავლეთის“ იმიჯი და, რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან, ამიტომ არც რუსები, არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან, ანუ პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან. სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას — 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ფუნქციის ასეთი განმარტება მოხსნის კონკურენციის, ამ თანამდებობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლის თანმდევი ინტრიგების პრობლემას. არა მგონია, ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ლამაზი და ფუყე დაპირებებით ვერ მოაგვარებ, ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს — კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან.“

*** ყველას გახსოვთ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის შერჩევაც და ყველა თანმდევი პროცესიც ბიძინა ივანიშვილის კატეგორიული დაჟინების შესაბამისად წარიმართა. ივანიშვილმა არ შეისმინა არც რჩევა, არც საზოგადოების ნაწილის დაუფარავი უკმაყოფილება და მარგველაშვილი „საუკეთესო პრეზიდენტად“ დაგვინიშნა. ბატონ ბიძინას და ქართულ საზოგადოებასაც „მაღალი თანამდებონის გაბღენძილმა უსაქმურმა” იმედები მალევე გაუცრუა.**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ ბატონი ალექსანდრეს სხვა ინტერვიუებიც გამოქვეყნებულა. დღეს სწორედ ამ ინტერვიუებიდან გთავაზობთ ამონარიდებს და თვითონ განსაჯეთ, რას ამბობდა ცნობილი პოლიტოლოგი ქვეყნისა და ერის საჭირბოროტო საკითხებზე და როგორ წარიმართა პროცესები საქართველოში.**

### ბუტაფორიული პრეზიდენტი და „მოქალაქეთა კავშირის“ მესამე ეშელონი

**(„საქართველო და მსოფლიო“, №39 (226), 23-29 ოქტომბერი, 2013წ.)**

„პრეზიდენტის თანამდებობა ერთი ადამიანისა და მისი უახლოესი გარემოცვის კომფორტულად ცხოვრების ბუტაფორიულ ადგილად აქციეს. თუ გახსოვთ, ხელისუფლებას ვთავაზობდი, პრეზიდენტი კანონით დაევალდებულებინათ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებულიყო აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირებით, მაგრამ ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩია. **ამ თანამდებობაზე შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების მქონე პირიც რომ მოხვედრილიყო, ქვეყნისთვის ვერაფერს გააკეთებდა, ვინაიდან რეალური ძალაუფლება ისეთ სტრუქტურებს ეკუთვნის, როგორიცაა რესპუბლიკური პარტია, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და სხვა სოროსული ორგანიზაციები, რომლებიც ივანიშვილმა პარლამენტში შეიყვანა, ხელისუფლებაში მოიყვანა და მათ უტოვებს საქართველოს. ეს იგივე ძალებია, რომლებიც საქართველოს ბოლო წლების მანძილზე მართავდნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ძალების ერთ ფრთას წარმოადგენს, ხოლო ივანიშვილის კოალიცია — მეორე ფრთას. სწორედ ასე გამოეყო თავის დროზე სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ფრთა „მოქალაქეთა კავშირს“. ყველა ამ დაჯგუფების, პარტიისა თუ მოძრაობის ფესვები „მოქალაქეთა კავშირში“ და სოროსის სტრუქტურებშია, ხოლო საერთო ხელმძღვანელად მათ ამერიკის საელჩო ჰყავთ. ამ ადამიანებს არ ძალუძთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.
დღეს საქართველოს რეალური პატრონების წინაშე დგას ქვეყნის ხელისუფლე-** ▶

მსოფლიო

## რძის მდინარეები ბულგარეთში

**ბულგარელმა ფერმერებმა, რომლებიც მეცხოველეობას მისდევენ, მეცხოველეობის პროდუქტებზე ფასების დაცემა გააპროტესტეს და სოფელ ლესოვოსა და ქალაქ იამბოლის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი გადაკეტეს.**

ფერმერები სახელმწიფოსგან სამამულო წარმოების დაცვას და კრიზისის პერიოდში სუბსიდიების გაცემას ითხოვენ.

ბულგარეთში რძის ფასი მას შემდეგ დაეცა, რაც ადგილობრივი ბაზარი ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქციით გაივსო, რუსეთმა კი დააწესა სასურსათო სანქციები, რომლებიც ბულგარეთსაც შეეხო. შედეგად ბულგარელ მეცხოველეებს გაკოტრება ემუქრებათ, ამიტომაც მოაწყვეს საპროტესტო აქცია, რომლის მიმდინარეობისას რძე ავტომაგისტრალზე დაღვარეს. სოციოლოგიური კვლევის კომპანია INC-ის მონაცემებით, რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო ევროპის ქვეყნებს წელიწადში 6,7 მლრდ ევროთი დააზარალებს და 130 ათასი სამუშაო ადგილის გაუქმებით დაემუქრება.



ინფორმაცია განსჯისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა.

**ბის ლეგიტიმაციის პრობლემა. ცხადია, პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობისთვის ხმა არავის მიუცია, ხმა მისცეს ივანიშვილს, რომელმაც პარლამენტში შეიყვანა ის ძალები, რომელთა მოყვანაც დაავალეს — „მოქალაქეთა კავშირის" მესამე ეშელონი, რომელსაც დამოუკიდებლად პარლამენტში არჩევის არანაირი შანსი არ ჰქონდა".**

* უფლებებშეკვეცილი პრეზიდენტი მარგველაშვილის ბუტაფორიულობა დღეს თვალში საცემია — ის მხოლოდ ვეტოს დადებითა და ამა თუ იმ სახელმწიფო უწყებასთან პრესის ფურცლებზე პოლემიკითაა დაკავებული, ხოლო ის, რომ ივანიშვილს ურეიტინგო რესპუბლიკელებისა და ირაკლი ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატების" ხელისუფლებაში მოყვანა ამერიკელებისგან ჰქონდა დავალებული, იმ მხარდაჭერით დასტურდება, რომელსაც სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" ამერიკელი „მამები" მათ მიმართ იჩენენ.

## რატომ არ არის საქართველო ჩინეთი, ბიძინა ივანიშვილი კი – დენ სიაოპინი

(„საქართველო და მსოფლიო", №31 (218), 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.)

„რაც შეეხება განცხადებას, რომ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას და ყველა დაპირებას შეასრულებს — ეს შეუძლებელია. **საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი.** ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. როგორც კი ჩაიგდებენ სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას, საჭიროების შემთხვევაში, მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩისაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება. **თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც მე ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც თავად არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ და მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთანავე, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყოფაც მიაყენა. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობით.**

შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: **ცხადი გახდა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო — უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, „ნაცმოძრაობის" სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოს „დემოკრატიის შუქურად" აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკულ „ბახალებს" სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა.** ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილმა თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეათრიოს, რომლებსაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემენ. ამგვარად, ივანიშვილმა შური იძია სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი. **თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ივანიშვილი მართლაც გადადგება. მან მიზანს მიაღწია, მაგრამ ხალხი მის წასვლას შეაფასებს, როგორც არასერიოზულობისა და უპასუხისმგებლობის უმაღლეს გამოვლინებას".**

*** ალექსანდრე ჭაჭიას ვერსია გამართლდა — ივანიშვილი გადადგა პრემიერის პოსტიდან და პარლამენტიც ისეთი მივიღეთ, როგორიც ამერიკელებს სურდათ: ხალხის რჩეულებმა დასავლეთიდან თავსმოხვეულ ანტიდისკრიმინაციულ კანონს ერთხმად დაუჭირეს მხარი.**

## უვიცი და ცინიკური საგარეო საქმეთა მინისტრი

(„საქართველო და მსოფლიო", №20(207). 5-11 ივნისი, 2013წ.)

„საგარეო საქმეთა მინისტრი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და ჰიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უვიცობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიისა და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას — დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დარჩებოდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის წაქცეული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. **საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალები სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს.**

*** ისეთი ადამიანი, როგორიც მაია ფანჯიკიძეა, საგარეო საქმეთა მინისტრობას რომ არ იმსახურებდა, ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა: მაია ფანჯიკიძემ, მისი ხელმძღვანელობით საგარეო უწყების წარუმატებულ მუშაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სახელმწიფოს ინტერესები სიძის, ირაკლი ალასანიას, ინტერესებს ანაცვალა და პოსტიდან გადადგა.**



**«თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეო პოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ დიპლომატია და არა არმია შეიძლება, გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი»**

## „ქართველობის გადასარჩენად!"

(„საქართველო და მსოფლიო", №19 (206), 29 მაისი-4 ივნისი, 2013წ.)

„ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინათ შევიმუშავე და გამოვაქვეყნე „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია", რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის — „ქართველობის გადასარჩენად!" შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე „ნაციონალისტი" და „კრემლის რუპორი" მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს „ოპოზიციას" ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი „ანტიამერიკანიზმი" და „ანტიევროპეიზმი". დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... **თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განაგრძობს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!". სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო „ბრუნდება" ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა. შ.** ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები — მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ...

**საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში „თერგდალეულთა", დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით, ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს.** ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით.

უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისა და საერთაშორისო კაპი- ▶

დასასრული მე-8 გვ.

# ირანმა უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოგდებული ამერიკული დრონისგან შექმნა

**ირანმა სამი წლის წინათ ჩამოაგდო უპილოტო საფრენი აპარატი — აშშ-ის სამხედრო მრეწველობის უახლესი ქმნილება. პრეზიდენტმა ობამამ საფრენი აპარნატის დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ თეირანმა უარი განუცხადა. სწორედ ამ ამერიკული საფრენი აპარატის ბაზაზე შექმნეს ირანელმა სპეციალისტებმა თავიანთი უპილოტო თვითმფრინავი.** ირანელმა სამხედროებმა ინტერნეტში ატვირთეს ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც მაღალტექნოლოგიური უპილოტო აპარატის ფრენაა ასახული. ირანელმა სპეციალისტებმა ეს აპარატი ამერიკელთა მიერ დამზადებული და ირანის მიერ ჩამოგდებული Lockread Martin Sentinel-ის ბაზაზე დაამზადეს. სულ გამოშვებულია 20 ასეთი აპარატი, რომელთა ტექნიკური მახასიათებლებიც მკაცრად გასაიდუმლოებულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დრონები (საფრენი აპარატები) აღჭურვილია მოწინავე ტექნოლოგიებით, რომლებიც რადარებს მათი აღმოჩენის საშუალებას არ აძლევს და რომლებსაც დედამიწაზე მცირე ატომური აქტივობის შემჩნევა შეუძლიათ. სტელს-ტექნოლოგიების განვითარება ოფიციალური ირანისათვის მნიშვნელოვან მიღწევად იქცა. ეს საფრენი აპარატები ირანს საშუალებას აძლევს, რეგიონში, კერძოდ, სპარსეთის ყურეში, ყველა რაკეტის მოძრაობა გააკონტროლოს, თვითონ კი შეუმჩნეველი დარჩეს. საბოლოოდ ამერიკელებმა მაინც მიიღეს უპილოტო საფრენი აპარატი, ოღონდ სათამაშო — ერთმა ირანელმა მაღაზიაში მოზარდებისთვის განკუთვნილი ვარდისფერი სათამაშო თვითმფრინავი იყიდა და თეთრ სახლს გაუგზავნა.

ინფორმაცია განსჯისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის, მენტალობის გამო.

**«ჩვენი პოლიტიკოსები იმით ამაყობენ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამერიკულის შემდეგ, მაგრამ ასე იმიტომ კი არ არის, რომ სხვა ქვეყნებს უფრო მცირერიცხოვანი ან ნაკლებად მომზადებული არმიები ჰყავთ, უბრალოდ, იმ ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მათ შორის ნატოს წევრებისაც, არ სურთ ამერიკულ ავანტიურაში ჩათრევა და ისლამური სამყაროს სიძულვილისა და აგრესიის გამოწვევა. ჩვენ კი, მუსლიმანი ხალხების გარემოცვაში მყოფნი, ჯიუტად მივდივართ ამ თვითმკვლელობაზე»**

დასაწყისი მე-6-7 გვ.

...ტალის ნებამ, საშინაოში — „უმცირესობათა“ მოთხოვნებმა...

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. **კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ „უმცირესობათა უფლებების“ დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს... ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები“.**

*** დასავლური თანამედროვე ღირებულებებისადმი გაუაზრებელი თაყვანისცემით ერი გადაგვარების გზას დაადგა. დღეს ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილს ქართული მამაპაპური ტრადიციების დაცვა ჩამორჩენილობად მიაჩნია, დაბალია შობადობის, განათლებისა და სოციალური დაცვის დონე, დიდია მიგრაცია და, შესაბამისად, ერი გადაშენების პირასაა...**

## მთავარი ზნეობრივი ორიენტირი – ქრისტიანული მორალი

**(„საქართველო და მსოფლიო“, № 21(208), 12-18 ივნისი, 2013წ.)**

„ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ყალიბდება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკულად აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინათ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ...

როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, **გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ვეღარ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება, მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს...**

**ერები, რომლებიც ამ „დასავლური ღირებულებების“ კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან.**

ევროპული ერები, **ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა.** ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.

**რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის, სულ ცოტა, ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს.** ისინი დაკავებულები არიან ლობიზმით — როგორც ოფიციალურით, ისე მექრთამეობაზე აგებულით. თავიანთ სახელმწიფოებში ქრთამის აღების ეშინიათ და იღებენ ისეთ პროვინციულ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც ამ პარლამენტარებს, როგორც კერპებს, ისე უყურებენ“.

*** აი, ამას ამბობდა ბატონი ალექსანდრე 2013 წელს, როდესაც პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. დღეს ქვეყანაში ხდება დასავლური „ღირებულებების“ კულტივირება, რომელიც საფრთხეს უქმნის ოჯახის კულტსა და ეროვნულ ტრადიციებს.**

## არმიისა და დიპლომატიის როლი – როგორ უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფოებრიობა საქართველომ

**(„საქართველო და მსოფლიო“, №21 (208), 12-18 ივნისი, 2013წ.)**

**„თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეო პოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად,** ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ **დიპლომატია და არა არმია შეიძლება, გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი.**

უკვე 20 წელია, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ კეთილშობილი ამერიკელები ეხმარებიან საქართველოს პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბებაში ჩვენი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. არიან ადამიანები, რომლებსაც ეს სჯერათ, მაგრამ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ **ამერიკელები ჩვენს არმიას მხოლოდ იმიტომ აფინანსებენ, რომ თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, სადაც მათ ცოცხალი ძალა სჭირდებათ. ჩვენი პოლიტიკოსები იმით ამაყობენ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამერიკულის შემდეგ. მაგრამ ასე იმიტომ კი არ არის, რომ სხვა ქვეყნებს უფრო მცირერიცხოვანი ან ნაკლებად მომზადებული არმიები ჰყავთ, უბრალოდ, იმ ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მათ შორის ნატოს წევრებისაც, არ სურთ ამერიკულ ავანტიურაში ჩათრევა და ისლამური სამყაროს სიძულვილისა და აგრესიის გამოწვევა. ჩვენ კი, მუსლიმანი ხალხების გარემოცვაში მყოფნი, ჯიუტად მივდივართ ამ თვითმკვლელობაზე.**



მიმაჩნია, რომ **საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის, მენტალობის გამო.** საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ **საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის.**

**იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან.** სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია, დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვეულებრივი გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის.

**საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი — ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში — უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენს უსაფრთხოებას...** საერთოდ, მიმაჩნია, რომ **საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს.** მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსავითარებლად. ამასთან, საქართველოს თავისუფლად შეუძლია, იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. დღესაც კი საქართველოში მკურნალობაზე მოთხოვნა კავკასიაში საკმაოდ მაღალია; ამ დარგში ფულის ჩადება მნიშვნელოვან მოგებას მოიტანს. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია, გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა, აღვადგინოთ და გავაღრმავოთ იგი.

**არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. ჭკვიანური მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერ ამაზე არის მოთხოვნა თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს — თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.**

დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“.

***ომითა და შეიარაღებული კონფლიქტებით რომ ვერაფერს გავაწყობთ, 2008 წლის აგვისტოშიც დადასტურდა. ამიტომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და, საერთოდ, გადარჩენა კეთილმეზობლური ურთიერთობებით (უწინარესად — რუსეთთან), ინტერესთა გათვალისწინებით და ამ მიმართულებებით საგარეო პოლიტიკის გააქტიურებით უნდა მოვახერხოთ.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S.** ცნობილი პოლიტოლოგის — ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩნდა. ბოლო წლებში ის არაერთხელ მოუწოდებდა ხელისუფლებას მისი თვალსაზრისის გათვალისწინებისკენ, მაგრამ მისი მოწოდებები რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო...

„თამარ ბერუჩაშვილი, ქალი, რომელმაც ერთ დღეში რამდენიმეჯერ შეცვალა გადაწყვეტილება, უცხოელების ნდობას მოიპოვებს? მას ყოველთვის არამყარი პარტნიორის სახელით ექნება. დიპლომატიაში ნდობის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ქვეყანაში დიპლომატების მეტი რა გვყავს, თანაც ძალიან კარგები და საქმის მცოდნეები“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვასილ ჭიჭინაძე:

# თუ ამერიკის ელჩის გარეშე ნაბიჯის გადადგმა არ შეგვიძლია, მაშინ ვაღიაროთ, რომ დამოუკიდებლები არ ვართ!

**ქვეყანაში დაძაბული ვითარებაა, პოლიტოლოგები და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე ალაპარაკდნენ, საუბარია, აგრეთვე, საგარეო პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობაზეც...**
**რა გვინდა? საით მივდივართ? — ეს შეკითხვები, ბოლო რამდენიმე კვირაა, აშკარად გამოიკვეთა. გვესუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, რამდენიმე თვის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში „იწინასწარმეტყველეთ“ ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. კერძოდ, ის, რომ კოალიცია დაიშლებოდა, თანაც ამას ალასანია დაიწყებდა, შემდეგ კი რესპუბლიკელებიც მიჰყვებოდნენ.**

— კი, ზუსტად ასე ვთქვი და მოხდა კიდეც. რესპუბლიკელები რიგში დგანან, მათ ივანიშვილი აღარ ენდობა, ქვეყანა ახალი არჩევნების მოლოდინშია, ამიტომ რესპუბლიკელები ალასანიას მხარეს გადავლენ. ხომ ნახეთ, — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობაზე მივიდა, არადა, მას იქ მისვლა არ ეკუთვნოდა.

**— ყრილობაზე უსუფაშვილის მისვლა შეთანხმებული არ იყო?**

— მეეჭვება, შეთანხმებული ყოფილიყო. თუ გახსოვთ, ძმები ბერძენიშვილების განცხადება, პარლამეტსა და მთავრობაში საკმაო რაოდენობით ვართ წარმოდგენილები და, როგორც ვხედავთ, გადაწყვეტილებებს ჩვენ გარეშე იღებენო. ეს განცხადება ალასანიას მოხნისას განაცხადეს.

**ქვეყანაში ძალიან ცუდი პოლიტიკური ვითარებაა და „ქართულმა ოცნებამ“ იმისთვის, რომ უმრავლესობა შეენარჩუნებინა, „ნაცები“ შეიერთა, თანაც დავით საგანელიძემ საოცარი განმარტება გააკეთა: შეცდომა დაუშვეს, მაგრამ საშუალება მივცეთ, გამოსწორდნენო. მინდა, საგანელიძეს ვკითხო, მიშამ რა დააშავა? იქნებ იმასაც მივცეთ საშუალება, შეცდომები გამოასწოროს? ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ამ ძალას დაეყრდნობოდნენ, ღრმა კრიზისში ვართ.** შეხედეთ, ვინ დანიშნეს მინისტრებად! ეს თავდაცვის მინისტრი გამზადებული ჰყოლიათ, შეიძლება კარგი კადრია, მაგრამ ასე უცებ საიდან მოიყვანეს? ან შეიძლებოდა საგარეო საქმეთა მინისტრად ამ ქალის დანიშვნა? ყველა მთავრობის დროს მინისტრის მოადგილე იყო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი: იმის შემდეგ, რაც გააკეთა, მისი მინისტრობა არ შეიძლებოდა. **უცხოელები საქართველოში მიმდინარე პროცესებს თვალყურს ადევნებენ და თამარ ბერუჩაშვილი, ქალი, რომელმაც ერთ დღეში რამდენიმეჯერ შეცვალა გადაწყვეტილება, უცხოელების ნდობას მოიპოვებს?!** მას ყოველთვის არამყარი პარტნიორის სახელი ექნება. დიპლომატიაში ნდობის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ქვეყანაში დიპლომატების მეტი რა გვყავს, თანაც ძალიან კარგები და საქმის მცოდნეები. ფაქტია, რომ მთავრობა მართვად ადამიანებს ეძებს და თანაც საკუთარ წრეში. აფრიკელი ბელადებივით არიან — მე, ჩემი ტომი და დანარჩენები.

გახსოვთ, თქვენთან ინტერვიუში რომ ვთქვი, — თუ ღარიბაშვილმა თავისი გუნდი არ შექმნა, ძალიან მალე მოიცილებენ-მეთქი?! **პრემიერს თავისი გუნდი არ ჰყავს, მას მხარში არ უდგანან საქმის გამკეთებელი და ერთგული ადამიანები. როგორ ფიქრობთ, ის საგარეო საქმეთა მინისტრი, ახლა რომ დანიშნეს, ღარიბაშვილს, ფეხი რომ გადაუბრუნდეს, უერთგულებს? უღალატებენ რესპუბლიკელებიც, მათ არასდროს არავინ ენდობოდა.**

> «პრემიერს თავისი გუნდი არ ჰყავს, მას მხარში არ უდგანან საქმის გამკეთებელი და ერთგული ადამიანები. როგორ ფიქრობთ, ის საგარეო საქმეთა მინისტრი, ახლა რომ დანიშნეს, ღარიბაშვილს, ფეხი რომ გადაუბრუნდეს, უერთგულებს? უღალატებენ რესპუბლიკელებიც, მათ არასდროს არავინ ენდობოდა»

**— მათ ენდობოდა ივანიშვილი.**

— მას თავს მოახვიეს რესპუბლიკელები.

**— ხალხი ღარიბაშვილს უნდა ენდოს?**

— ლამაზი თვალების გამო ვერ ვენდობით! თუ ის საქმიანობას კვლავაც ისე განაგრძობს, როგორც დღეს საქმიანობს, ვერავის ნდობას ვერ მოიპოვებს. არავის სჭირდება მარიკა ვერულაშვილისგან შექმნილი უმრავლესობა.

ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენ ჯერ სახელმწიფო არ ვართ, **არ შეიძლება „ბუტკის“ გახსნაზეც კი ამერიკის ელჩს იწვევდე. თუ ამერიკის ელჩის გარეშე ნაბიჯის გადადგმა არ შეგვიძლია, მაშინ ვაღიაროთ, რომ დამოუკიდებლები არ ვართ.**

— ამბობენ, ალასანია საფრანგეთსა და გერმანიაში დაშვებული შეცდომის გამო **გაწირესო, მას იმ ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან უმაღლესი დონის შეხვედრები ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ჩარჩოებიდან ისე გამოვიდეს, რომ სამშობლო დააზარალოს?**

— ყველაფერი შესაძლებელია, **ალასანია ამერიკის თამაშს თამაშობდა და ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით. ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ის ისეთ რამეზე დათანხმდა, რაც რუსეთს გააღიზიანებდა.**

დღეს ჩვენი მოცემულობა ასეთია — რუსეთის გარეშე ქვეყანას ვერ დავალაგებთ. ჩვენი ერთიანობის გასაღები რუსეთის ხელშია. **ყველა თავის ქვეყანაზე ფიქრობს, ჩვენც ჩვენს ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ და არა იმაზე, რა ესიამოვნება ამერიკას.** ივანიშვილ-ღარიბაშვილს რომ ეუბნებიან, გეზს ცვლიანო, თუ გეზის შეცვლა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ იქნება, მაშინ ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ევროპულ ღირებულებებზე უარს არავინ ამბობს, მაგრამ ჩვენ დამოუკიდებლობა და ღირებულებების შენარჩუნება გვინდა, ამისთვის კი საჭიროა, ველაპარაკოთ ყველას და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ — ვინც უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებს, მისი მხარე დავიჭიროთ.

პოლიტიკა, რომელსაც, წლებია, ატარებენ, წამგებიანი აღმოჩნდა.

**— ბატონო ვასილ, თუ გახსოვთ ამა წლის სექტემბერში ამერიკის დეპარტამენტის განცხადება, რომლითაც ისინი საქართველოში არსებულ ყველა დემოკრატიულ ძალას გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ. გაერთიანება, როგორც ყოველთვის ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს პროცესი დაწყებულია, თუ შეუერთდება ამ ძალებს „ბუტაფორია“ პრეზიდენტი, რაზეც არაერთხელ გისაუბრიათ?**

— ნამდვილად მისაუბრია, მაგრამ ხედავთ, ის არც ისეთი სულელი აღმოჩნდა — საკაოდ გაქნილია, ჯერ დაყაბულდა ყველაფერს და ბოლოს ბრჭყალები გამოაჩინა.

14 ნოემბერს პარლამენტში მივიდა, დებატებს ითხოვდა უმცირესობა, პრეზიდენტი თანახმა იყო, მაგრამ უმრავლესობამ უარი განაცხადა, თანაც კატეგორიული. თუ მცოდნეები და უშეცდომოები არიან, დებატების რატომ შეეშინდათ?! გამარჯვებულ, უმრავლესობაში მოსულ ძალას დებატების არ უნდა ეშინოდეს.

**— რატომ არ დათანხმდნენ დებატებზე?**

— იმიტომ, რომ ოპოზიცია შეკითხვებს დასვამდა, პრეზიდენტი კი უპასუხებდა და ბევრ რამეს ფარდა აეხდებოდა. **ნათელი მოეფინებოდა ბევრი ადამიანი პოზიციას, მათ შორის, პრეზიდენტისაც... უმრავლესობას რაღაცის გამჟღავნების ეშინია.**

> «კაკოია ბობოხიძე დებატებში რომ გაჯობებს, რაღაზე უნდა ილაპარაკო, — ჩვენ კაციჭამიებად დავრჩით და მარიკა ვერულაშვილი გამოსწორდაო?! — მართალი უთხრა უმრავლესობას»

**— ივანიშვილი პრეზიდენტში შეცდა?**

— რა თქმა უნდა, შეცდა. მას სურდა, ისეთი პრეზიდენტი ჰყოლოდა, ყველაფერი, რასაც ეტყოდნენ, უსიტყვოდ გაეკეთებინა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მუქარით აგვარჩევინა, მიგატოვებთო, — გვეუბნებოდა, ახლა კი, ლანძღავს. პრეზიდენტი უფლებების დაბრუნებას ცდილობს. მარგველაშვილი ძალით მოიყვანეს; ყველას გვახსოვს, რომ მას ეს არ უნდოდა. თავის უნივერსიტეტში დიდძალ ფულს შოულობდა... ისე, მარგველაშვილისთვის მინისტრობაც არ შეიძლებოდა.

ან რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, პრეზიდენტი ეყოლება ამ ქვეყანას თუ პრემიერი? ერთპიროვნულად ვინ მართავს ქვეყანას, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

**— ფაქტია, რომ ივანიშვილ-ღარიბაშვილმა რაღაც უნდა შეცვალონ.**

**— ივანიშვილ-ღარიბაშვილმა, პირველ რიგში, გუნდი უნდა შეცვალონ.** ყური არ უნდა დაუგდონ არავის, მათ შორის, არც რესპუბლიკელებს, და დაელაპარაკონ რუსეთის მთავრობას. ხალხს დაკარგული ტერიტორიები აწუხებს.

**ამდენი ხანია, რაც ხელისუფლება შეიცვალა და რუსეთისკენ ნაბიჯი არ გადადგმულა, აუცილებლად უნდა შეხვდნენ ვლადიმერ პუტინს. დალაპარაკებას წინ არაფერი უდგას, მოუსმინონ, იქნებ რას ეუბნებიან, თუ სასიკეთო არაფერი უთხრეს, უკან გამობრუნდებიან. აუცილებელია საგარეო პოლიტიკის შეცვლა, მუშაობა გასააქტიურებელია ყველა მიმართულებით. პირველ რიგში, გასარკვევია, საით მივდივართ. დღეს ქვეყანაში ქაოსია, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ ქვეყანა აღარ გვქვია.** არავინ იცის, რა გვინდა.

**— აქ თქვენი ოპონენტი რომ იჯდეს, გეტყვით, ვიცით, საითაც მივდივართ — ნატოსა და ევროკავშირისკენო.**

— ეს უნდა დაივიწყონ, არავინ არსად არ გვიღებს. **ჩვენი მიღება ნატოს არ უნდა, რადგან მას თავის ალიანსში ისეთი ქვეყნები ჰყავს, რომლებსაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაც აქვს და დემოკრატიულიც არ არის, მაგრამ ჩვენ არ გვიღებს. ნატოს კარზე შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დავაკაკუნეთ, სააკაშვილის პერიოდში კარი გაგვიღეს, მერე „მაპზე უკეთესი“ მოგვცეს, მაგრამ, 20 წელზე მეტია, ხელში არაფერი გვიჭირავს.**

რომ ამბობენ, ნატოს გზა ხალხმა აირჩიაო, ეს 2008 წელს მოხდა, მას შემდეგ 6 წელი გავიდა, ხალხი ხედავს, რომ ხელახლაა ჩასატარებელი რეფერენდუმი თუ პლებისციტი. მთავრობა საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უნდა ჩამოყალიბდეს, შემდეგ პროფესიონალების გუნდი შეკრას. რაც მთავარია, რუსეთს აუცილებლად უნდა დაელაპარაკონ. სიტუაციაც ისეთია, რომ შესაძლებელია, რუსეთი ბევრ რამეზე წამოვიდეს. ეს უნდა სცადონ.

მთავრობის ეს შემადგენლობა საქმეს ვერ გააკეთებს. **კაკოია ბობოხიძე დებატებში რომ გაჯობებს, რაღაზე უნდა ილაპარაკო, — ჩვენ კაციჭამიებად დავრჩით და მარიკა ვერულაშვილი გამოსწორდაო? — მართალი უთხრა უმრავლესობას.**

ირაკლი ღარიბაშვილი უნდა ჩამოყალიბდეს იმაზე, საით მიდის, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეჭამენ, დღეები აქვს დათვლილი. თუ ვინმეს დღეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აძლევს ხელს, ღარიბაშვილია, მარტო უნდა გავიდეს არჩევნებში, ის ახლა არჩევნებს მოიგებს, ორი წლის შემდეგ კი, არ ვიცი, რას იზამს. ჭკვიანი კაცი რიგგარეშე არჩევნებს აუცილებლად დანიშნავდა.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: ყველა ღონე უნდა უნდა იხმარონ, მხოლოდ აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების იმედად რომ არ იყვნენ, პირდაპირ პუტინს დაელაპარაკონ, მაგრამ, თუ ივანიშვილი იმით აპირებს ქვეყნის განვითარებას, რომ გადაცემას გააკეთებს და ამით ჩვენ, საწყალ კრეტინებს, გონს მოგვიყვანს, არაფერი გამოვა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

Тёта Нина из Тбилиси
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2007 წლის ნოემბერში სააკაშვილ-ბურჯანაძის ხელისუფლებას კატეგორიულად არ სურდა ოპოზიციასთან დიალოგი ერთი მიზეზის გამო — ამ პოლიტიკურ ბანდას ხალხის დაბეჩავება სწყუროდა!**

# პოლიტიკოსი ბურჯანაძე და მისი რანგი

## ანუ რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ექსსპიკერით?

2014 წლის 5 ნოემბერს ეკა ხოფერიას თოქშოუში ქალბატონი ბურჯანაძე ვიხილე. მჭევრმეტყველების ნიაღვრიდან, რომელიც ახასიათებს ქალბატონი ნინოს ყოველ საჯარო გამოსვლას, ყურში მომხვდა (და დამიზიანა კიდეც) მისი მოსაზრება: „დღეს საქართველოში ჩემი რანგის პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის!“ და, ვინაიდან ამ გადაცემის ნაწილი მიეძღვნა 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის უმოწყალო დარბევის მეშვიდე წლისთავს, როდესაც პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა მხუთავი მომწამლავი ნივთიერებები, ყურადღება გამიათმაგდა! მეც ხომ სრულიად შემთხვევით მოვყევი ამ ისტორიული ცემა-ტყეპა-მოწამვლის ეპიცენტრში.



აი, რა გაიხსენა ქალბატონმა ნინომ (სტილი დაცულია): **„აქციებს მე ველოდი. ძალიან შეეშინდათ და მერე მიიღეს არაადეკვატური გადაწყვეტილებები, რომელიც ჩემთვის იყო ისეთივე სიურპრიზი, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანისათვის. არანაირი აუცილებლობა აქციის დარბევისა არ არსებობდა! ეს იყო სააკაშვილის გარემოცვის დაჟინება, როგორც მე გავიგე, რომ ხალხს ჭკუა უნდა ვასწავლოთ, რომ მეორედ იგივე არ გაკეთდესო“.**

„მისი პოლიტიკური რანგის უდიდებულესობას“, ეტყობა, დაკარგული აქვს დროისა და სივრცის შეგრძნება. ქალბატონ ნინოს ავიწყდება, რომ 21-ე საუკუნეში ცხოვრობს და არსებობს ინტერნეტი, კერძოდ, კეთილი „დეიდა გუგული“, იგივე, „გუგლი“, რომელშიც ყველაფერს მოძებნი, რაც სულსა და გულს მოესურვება. ამიტომ სამჯერ ზედიზედ, თანაც ყურადღებით მოვუსმინე მის გამოსვლას პარლამენტში 2007 წლის 9 ნოემბერს. მკითხველს უნდა გამოვუტყდე, რომ ასეთი გულწრფელი, როგორიც იყო იმ დღეს ქალბატონი ექსსპიკერი, არ მინახავს არც მანამდე და არც, სამწუხაროდ, შემდგომ.

მაშ, **არსებობდა თუ არა მიტინგის დარბევის აუცილებლობა?** აი, რას ამბობს „2007 წლის 9 ნოემბრის“ ნინო ბურჯანაძე (სტილი დაცულია): **„ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული საზოგადოება შედგა და ქართული სახელმწიფო შედგა... კარგად დაუფიქრდით, რა საფრთხე ელოდა ჩვენს ქვეყანას... ეს იყო მცდელობა ულტიმატუმისა, ეს იყო მცდელობა ცალკეული პოლიტიკური ძალების ხელისუფლების და ქვეყნის დაშანტაჟებისა. ნებით თუ უნებლიეთ, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული იმ პროცესებში, რომელსაც ძალიან კონკრეტული გვარი და სახელი მართავდა... ძალიან კონკრეტული ქვეყნის ინტერესში შედიოდა ეს და ძალიან კონკრეტული ძალის ინტერესებში შედიოდა ის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო არასტაბილურობა და ქვეყანაში ყოფილიყო სერიოზული საფრთხე მომავალი განვითარებისა“...**

**რომ არა 1917 წლის 7 ნოემბერი, ღარიბი გლეხის ბიჭი და ზესტაფონის ღვინის ქარხნის კასრების მრეცხავი — პატივცემული ანზორ ბურჯანაძე არათუ რაიკომის მდივანი ვერ გახდებოდა, არამედ დარჩებოდა წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო, თვითონ ქალბატონი ნინო, ამ ობიექტური მიზეზის გამო, უტკბილეს სიზმარშიც კი ვერ იხილავდა ბრწყინვალე პოლიტიკურ კარიერას...**

ნუ იტყვით, თურმე, უდანაშაულო ხალხის ეკზეკუცია სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბების დადასტურებაა! აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული „კონკრეტული გვარი და სახელი“ **ბადრი პატარკაციშვილია**, ხოლო „ძალიან კონკრეტული ქვეყანა“ — **რუსეთი**.

პოლიტიკოსი რომ ვალდებულია, იყოს დიპლომატი და ქვეყნის ინტერესების დასაცავად თვით ეშმაკთანაც გამართოს მოლაპარაკება, დღევანდელმა უკიდურესად პოლიტიზებულმა ბავშვმაც კი იცის, მაგრამ დიპლომატიის ანბანი არ იცის „ისეთი რანგის არარსებულმა პოლიტიკოსმა“, როგორიც ქალბატონი ბურჯანაძეა (სტილი დაცულია): **„მე იშვიათად ვამბობ ადამიანებთან დიალოგზე უარს, მაგრამ არიან ადამიანები და არიან პოლიტიკური ძალები, რომლებთანაც მე და ჩემი კოლეგები დიალოგს არ გავმართავთ. ესენი არიან ის ადამიანები, ვინც მხილებულნი არიან და ვინც ეჭვმიტანილნი არიან კონკრეტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. ამ ადამიანებთან ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს** (ტაში დარბაზში — ავტ.). **ყველა დანარჩენ ადამიანებთან დიალოგთან ჩვენ მზად ვართ და მზადა ვართ გონივრული კომპრომისისათვის, რომელიც ქვეყნის ინტერესების შესაბამისობაში იქნება...“**

თუ არ ვცდები, ქალბატონი ნინო პროფესიით იურისტია და, აქედან გამომდინარე, მის მიმართ მიჩნდება კითხვა: **ეჭვმიტანილი არ არის ბრალდებული, მაშასადამე, ამ ადამიანთან დიალოგის გამართვას ხელს არაფერი უშლის. მერე, „მხილებულნი და ეჭვმიტანილნი კონკრეტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში“, იმდროინდელი ხელისუფლების აზრით, იყო გაერთიანებული ოპოზიციის უკლებლივ ყველა ლიდერი, „თვით“ ბოკერიას აღმზრდელის — ლევან ბერძენიშვილის ჩათვლითაც კი. საინტერესოა, ვინ ბრძანდებოდა ის „ყველა დანარჩენი ადამიანები“, რომლებთანაც ქალბატონი ბურჯანაძე და მისი კოლეგები, ანუ „ნაცები“ აპირებდნენ დიალოგის გამართვას?** მათ მიერ ნაცემ-ნაბეგვ-მოწამლული საზოგადოება?! მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — **2007 წლის ნოემბერში სააკაშვილ-ბურჯანაძის ხელისუფლებას კატეგორიულად არ სურდა ოპოზიციასთან დიალოგი ერთი მიზეზის გამო — ამ პოლიტიკურ ბანდას ხალხის დაბეჩავება სწყუროდა!**

განვაგრძობ ქალბატონი ნინოს შვიდი წლისწინანდელი გამოსვლის ციტირებას (სტილი დაცულია): **„მე მინდა, გითხრათ და შეგახსენოთ, რომ იმ ავბედით 7 ნოემბერს 1917 წლისა, დღეს უკვე წმინდანად შერაცხულ ნიკოლოზ მეორეს რომ მეტი პოლიტიკური სიმტკიცე გამოეჩინა და იმ წუთში ნაკლები ადამიანური კეთილშობილება, რა აჯობებდა რუსეთისათვის და არა მარტო რუსეთისათვის? ნიკოლოზ მეორის მაშინდელ ადამიანურ სისუსტეს, როგორც პოლიტიკოსის სისუსტეს, მოჰყვა სისხლის მდინარეები კი არა, სისხლის ოკეანეები! ამიტომ არის პოლიტიკოსის და პოლიტიკოსების ცხოვრებაში პერიოდები, როდესაც ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, საკუთარი ნერვების, საკუგთარი განცდების და ყველაფრის ფასად, რომ არ დაუშვა სისხლის მდინარეების დენა შენს ქვეყანაში, არ დაუშვა ის, რომ შენი ქვეყანა დადგეს ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ“.**

ჰმ... დავიწყოთ იმით, რომ ნიკოლოზ მეორემ „ადამიანური და პოლიტიკური სისუსტე“ გამოავლინა არა 1917 წლის „ავბედით“ 7 ნოემბერს (ძველი სტილით 25 ოქტომბერს), არამედ 9 თვით ადრე — თებერვალში, როდესაც ტახტიდან გადადგა; შემდეგ, არ მესმის, რატომ თვლის ქალბატონი ნინო ამ დღეს „ავბედითად“?! **რომ არა 1917 წლის 7 ნოემბერი, ღარიბი გლეხის ბიჭი და ზესტაფონის ღვინის ქარხნის კასრების მრეცხავი — პატივცემული ანზორ ბურჯანაძე არათუ რაიკომის მდივანი ვერ გახდებოდა, არამედ დარჩებოდა წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო თვითონ ქალბატონი ნინო, ამ ობიექტური მიზეზის გამო, უტკბილეს სიზმარშიც კი ვერ იხილავდა ბრწყინვალე პოლიტიკურ კარიერას...**

წმინდა მამების მოსაზრებით, ადამიანში ღმერთმა ჩადო მასთან ერთადერთი პირდაპირი დამაკავშირებელი თვისება — სინდისი, ▶

## ჩინეთში მაღალი რანგის მოხელეს 37 კგ ოქრო უპოვეს

**ჩინეთში კომპანია Beidaihe Water Supple Corporation-ის ყოფილი ხელმძღვანელი მა ჩაოძიუნი მექრთამეობასა და საზოგადოებრივი საკუთრების მითვისებაში დაადანაშაულეს. სამართალდამცველებმა მისი სახლის ჩხრეკისას 37 კგ ოქრო, 120 მლნ იუანი (თითქმის 20 მლნ დოლარი) და 68 სახლის მფლობელობის შესახებ გაფორმებული დოკუმენტები იპოვეს.** ჩინური მედია მა ჩაოძიუნს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ გავლენიან წევრს უწოდებს, მაგრამ მის თანამდებობას არ ასახელებს.

თანხა, რომელიც მექრთამეობაში ეჭვმიტანილის საცხოვრებლიდან ამოიღეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში უდიდესია.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები „ცუდ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე“ და „ჩინეთის მოსახლეობა ამაზე ნეგატიურად რეაგირებს“.

კომპანია Beidaihe Water Supple Corporation-ი, რომლის ხელმძღვანელიც იყო მა ჩაოძიუნი, წყალმომარაგებით არის დაკავებული, ამ კომპანიაში ადრე ჩაოძიუნის უმცროსი ძმაც მუშაობდა.



# პროკურატურა, ალო! გძინავს?! ეს ხომ ჯგუფური დანაშაულის აღიარებაა! რა თქმა უნდა, ივანე მერაბიშვილი ამ საქმეში დამნაშავეა, მაგრამ არა ერთადერთი და არა მთავარი. ამ უნებლიე აღიარებაში დამნაშავეებად დასახელებულია ქვეყნის იმჟამინდელი პირველი პირი — პრეზიდენტი და მეორე პირი — პარლამენტის თავმჯდომარე!

Тëта Нина из Тбилиси
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ანუ ე.წ. შინაგანი ხმა, რომელსაც ძალიანაც რომ ეცადო, ბოლომდე ვერ ჩაახშობ და, მითუმეტეს, ვერაფრით მოისყიდი. **პარლამენტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს შემთხვევით არ გახსენებია ნიკოლოზ მეორე. ადამიანს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და ამაზე, თუნდაც, თითქმის გაგუდული შინაგანი ხმაც ჯიუტად მიუთითებს, დანაშაულის გასამართლებლად მიმართავს წარსულს და გამოჩენილი ისტორიული პიროვნებების შეცდომებზე სპეკულირებს...**

ვისაც ქალბატონი ნინოს ეს გამოსვლა უნახავს, შეამჩნევდა, რომ a La **მარგარეტ ტეტჩერის კოსტიუმში გამოწყობილი თავმჯდომარე თავისი სიმტკიცით მართლაც ტოვებდა „რკინის თუ ფოლადის ლედის" შთაბეჭდილებას. სინანულის არავითარი ნასახიც კი! არავითარი მერყეობა! მხოლოდ და მხოლოდ ცინიზმში გადასული უაპელაციობა!** ამიტომ მეტად უცნაურად, ალოგიკურად ისმის „2014 წლის 5 ნოემბრის" ნინო ბურჯანაძის უკვე მოყვანილი სიტყვები (სტილი დაცულია): „...აქციებს მე ველოდი. ძალიან შეეშინდათ და მერე მიიღეს არაადეკვატური გადაწყვეტილებები, რომელიც ჩემთვისაც იყო ისეთივე სიურპრიზი, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანისათვის. არანაირი აუცილებლობა აქციის დარბევისა არ არსებობდა".

**ქალბატონ ნინოს ახასიათებს თავის გამართლების ძალზე არაორიგინალური მეთოდი: როდესაც საქმე ეხება ქვეყნის დაქცევის ფაქტებს, ნინო ბურჯანაძეს გამზადებული აქვს ფრაზები: „მე არაფერი ვიცოდი", „არავინ არაფერს მეკითხებოდა", „ეს ჩემთვის იყო სიურპრიზი" და ა. შ., ხოლო, როცა საქმე ეხება ქვეყნის გადარჩენის საქმეს, აქ ექსსპიკერი პირველია და მისი გავლენა მოვლენებზე და პირადად სააკაშვილზე უზარმაზარი იყო.** მაგალითი? რამდენიც გნებავთ! თუმცა, ერთით შემოვიფარგლები. თეა სიჭინავას 2014 წლის 4 თებერვლის „პოლიტიკის დროში" გავიგე, რომ 2008 წლის აპრილში სააკაშვილი და მისი დამქაშები, ბოკერიას „თამადობით", გეგმავდნენ აფხაზეთში ომის გაჩაღებას. ჟურნალისტის კითხვას — რამ გადააფიქრებინა სააკაშვილს აპრილში ომის დაწყება, „2014 წლის 4 თებერვლის" ნინო ბურჯანაძემ ასეთი პასუხი გასცა (სტილი დაცულია): **„...სატელეფონო საუბარი სააკაშვილსა და პუტინს შორის, ჩემი თანდასწრებით, ჩემი ინიციატივით შედგა ეს საუბარი. მაშინ პუტინმა უთხრა, რომ, თუ შენ ომს დაიწყებ, იქ დგას ჩემი სამშვიდობო ძალები, მე დავამარცხებ შენს ჯარს, ვცნობ აფხაზეთს და ოსეთს და, პრაქტიკულად, დაგიშლი ქვეყანასო... ჩემი კატეგორიული რჩევა იყო, რომ მას პუტინისთვის დაერეკა, რომ თავიდან აგვერიდებინა ომი. და მან ეს რჩევა გაიზიარა. ვფიქრობ, რომ ამ სატელეფონო ზარმა განაპირობა, რომ მან ვერ გაბედა ომის დაწყება".**


2007 წლის 7 ნოემბერი


2011 წლის 26 მაისი

**ბურჯანაძის ადგილას მართლა მაღალი რანგის, ანუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსი მოუწოდებდა ხალხს, დაემხოთ გაქცეული ხელისუფლება, ხოლო შიშით პარალიზებული, დეზერტირი «მთავარსარდალი» დაეპატიმრებინათ და სასწრაფოდ გაესამართლებინათ. მაღალი რანგის პოლიტიკოსი სააკაშვილსა და მის ხროვას გამოაცხადებდა ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებად, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული საკუთარი მოსახლეობის, კერძოდ, ქართველებისა და ოსების წინაშე. შემდეგ მაღალი რანგის პოლიტიკოსი გადაფრინდებოდა მოსკოვში და ყველაფერს გააკეთებდა, რათა რუსეთს არ ეცნო დამოუკიდებლობა საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისა — აფხაზეთისა და შიდა ქართლის!**

მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრათ ქალბატონ ნინოს, მაგრამ ისევ რჩება კითხვები: **„თუ არავინ არაფერს არ გეკითხებოდათ", „ამაზე არაფერი იცოდით" და ა. შ. მაშ, რატომ გაგაგებინეს ისეთი ზესაიდუმლო ამბავი, რომელიც 2008 წლის აპრილში აფხაზეთში ომის დაწყება იყო? ამასთან შედარებით „უწყინარი" ამბავი — 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი დარბევა, მისთვის რატომ აღმოჩნდა „სიურპრიზი"? 2007 წლის 7 ნოემბერს ქალბატონმა ბურჯანაძემ რატომ არ დაიკავა „კატეგორიული პოზიცია", რატომ არ მოუყვანა, მისივე აღიარებით, „ბრიყვ სააკაშვილს" „სერიოზული არგუმენტები" მიტინგის დარბევის დაუშვებლობაზე?..** აქ მახსენდება ერთი ქართული გამონათქვამი: „აბა, ჩემო მანასე, ხან ისე და ხან ასე"... ესაა უტიფრობა და არა პოლიტიკის მაღალი ხელოვნება!

თუმცა განვაგრძოთ „2007 წლის 9 ნოემბრის" ნინო ბურჯანაძის გამოსვლის გახსენება (სტილი დაცულია): **„...მე მინდა, თქვენ იცოდეთ, არ იყო ჩვენთვის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება, არც პრეზიდენტისათვის, არც ჩემთვის, არც ამ დარბაზში მყოფი ნებისმიერი ადამიანისათვის, არც სამართალდამცავი ორგანოებისათვის. მე მინდა, თქვენ იცოდეთ და, ალბათ, იფიქროთ ჩემთან ერთად და წარმოიდგინოთ, რამხელა ტკივილი დუღდა, ვიტყვი ამ სიტყვებს, თუნდაც იმ სპეცრაზმელების და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გულში, რომლებიც იძულებულები იყვნენ, თავისი მეზობლის, თავისი ნაცნობის, თავისი თანამოქალაქის, თავისი... (აქ ქ-ნი ბურჯანაძე აკეთებს საკმაოდ ხანგრძლივ პაუზას — ავტ.) თუნდაც, შესაძლოა, ნათესავის წინაშეც კი მდგარიყვნენ. მაგრამ, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, ამ ადამიანებმა შეძლეს საკუთარი ტკივილის და საკუთარი სიმძიმის განცდაზე მაღლა დაეყენათ ქვეყნის ინტერესი. ამ ადამიანებმა შეძლეს წარმოდგენა, რა მოჰყვებოდა მათ ამ წუთიერ სისუსტეს. ამ ადამიანებმა შეძლეს თავის თავზე მაღლა დამდგარიყვნენ. ...ჩვენ დავდექით არჩევანის წინაშე: ან უნდა გადაგვერჩინა ეს ქვეყანა უმძიმესი საფრთხისაგან, სახელმწიფო გადატრიალებისგან ან უნდა გვეთქვა, რომ ჩვენ არ ვართ იმ პასუხისმგებლობის ღირსნი, იმ ნდობის ღირსნი, რაც ხალხმა გამოგვიცხადა"...**

**ო-ო-ო, ძნელი მოსაძებნია სიცრუის, ფარისევლობისა და ცინიზმის შერწყმის ამაზე უარესი მაგალითი! „კლასიკაა" და მეტი არაფერი!.. ცნობილია: თუ გსურს, საიმედოდ დამალო საგანი, ის უნდა დადო ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. მართალია!**

2007 წლის 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა — ვინ გასცა დარბევის ბრძანება? პასუხზე თავს ვიტეხდით და, ბოლოს, მომხდარში ივანე მერაბიშვილი დავადანაშაულეთ. არადა, ამ თავსატეხზე უზუსტესი პასუხი მივიღეთ სულ რაღაც ორ დღეში თვითონ ნინო ბურჯანაძისგან. აბა, გავიხსენოთ: **მე მინდა თქვენ იცოდეთ, არ იყო ჩვენთვის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება. არც პრეზიდენტისათვის, არც ჩემთვის, არც ამ დარბაზში მყოფი ნებისმიერი ადამიანისათვის, არც სამართალდამცავი ორგანოებისათვისო.**

რომელ „გადაწყვეტილებას" გულისხმობს ქალბატონი ნინო? უეჭველად, დარბევას! **პროკურატურა, ალო! გძინავს?! ეს ხომ ჯგუფური დანაშაულის აღიარებაა! რა თქმა უნდა, ივანე მერაბიშვილი ამ საქმეში დამნაშავეა, მაგრამ არა ერთადერთი და არა მთავარი. ამ უნებლიე აღიარებაში დამნაშავეებად დასახელებულია ქვეყნის იმჟამინდელი პირველი პირი — პრეზიდენტი და მეორე პირი — პარლამენტის თავმჯდომარე!**

ორიოდე მოსაზრება სპეცნაზელების „გულში მდუღარე ტკივილზე". **2007 წლის 9 ნოემბერს ქალბატონმა ბურჯანაძემ დაარღვია ზნეობრივი კანონი, რომლის შედეგის აღსრულება, ფიზიკური კანონებისგან განსხვავებით, დროშია გაჭიმული. და ეს დრო დადგა 2011 წლის 26 მაისს, როდესაც ქალბატონმა ნინომ, თავისი პოლიტიკური კარიერის გახანგრძლივების მიზნით, „სოროებიდან გამომძვრალი" ხალხი სასაკლაოზე წაიყვანა რუსთაველის გამზირზე.** საიდან იცის „ასეთი რანგის პოლიტიკოსის არარსებობამ", რომ ცემით მოკლულ ჩემი ბავშვობის მეგობრის — ნიკა კვინტრაძის სხეული „მდუღარე ცრემლებით" არ „დანამეს" მისმა მკვლელებმა? ან საიდან იცის ორი შვილის დედამ, რომ ჩემი ნაცნობი ჟურნალისტის — ბექა სივსივაძის ზურგის პლასტიკური ტყვიებით „ამჭრელებელმა" ზონდერმა ცოდვების მოსანანიებლად არ დატოვა სარფიანი სამსახური, არ გადაიხვეწა უდაბნოში და, მარიამ ეგვიპტელის მსგავსად, თავს არ იმარხავს მის გავარვარებულ ქვიშაში? ეგებ, ქალბატონო ნინო, ამ გარეგნულად უმოწყალო, სასტიკ ზონდერებსაც ტკივილისგან გულები უსკდებოდათ, მაგრამ, უკვე მეორედ ამ ქვეყნის ისტორიაში, ამ ადამიანებმა შეძლეს საკუთარ ტკივილსა და საკუთარ განცდაზე მაღლა დაეყენებინათ ქვეყნის ინტერესი? **რა იცით, ქალბატონო ნინო, რომ 2011 წლის 26 მაისს „ამ ადამიანებმა შეძლეს წარმოდგენა, რა მოჰყვებოდა მათ იმ წუთიერ სისუსტეს". იქნებ, იმ ღამეს ამ ზონდერებმაც მოახერხეს „საკუთარ თავზე ამაღლება"? თუმცა, საერთოდ, რა იცით თქვენ, ქალბატონო ნინო?** აღარაფერს ვამბობ იმ გაუგონარ სიცრუეზე, რომელიც თავის გამოსვლაში „მოიშველია" იმჟამინდელმა სპიკერმა (სტილი დაცულია): **„დღეს საქართველოს პატრიარქმა ჩემთან დილით შეხვედრისას ბრძანა ერთი ძალიან, ჩემთვის და თქვენთვის, ალბათ, მნიშვნელოვანი ფრაზა. მან თქვა, რომ ქვეყანამ გაიმარჯვა... ქვეყანამ გაიმარჯვა, ქვეყანამ გაუძლო დიდ გამოცდას და მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან მოკლე ვადაში გადავა აბსოლუტურად ნორმალურ რეჟიმში და ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ამაყად ვიტყვით, რომ ქვეყანა შედგა!"**

პატრიარქი დარბევის ფაქტს „ქვეყნის გამარჯვებად" ვერ სცნობდა. ძალიან კარგად მახსოვს, ეკლესიის არაორაზროვანი დამოკიდებულება მიტინგის დარბევის მიმართ. სწორედ ეკლესიამ დაგმო ხელისუფლების დანაშაული! და კიდევ ერთი კითხვა ქალბატონ ბურჯანაძეს — **ქვეყანა შედგა ძალიან მოკლე ვადებში? 2007 წლის 9 ნოემბერს თქვენ ხომ ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდით...**

ან რომელ პოლიტიკოსობაზე აქვს პრეტენზია ქალბატონ ნინოს, როდესაც 2008 წლის აგვისტოში ხელიდან გაუშვა ძალაუფლების მოპოვების უნიკალური შესაძლებლობა?! **ბურჯანაძის ადგილას მართლა მაღალი რანგის, ანუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსი მოუწოდებდა ხალხს, დაემხოთ გაქცეული ხელისუფლება, ხოლო შიშით პარალიზებული, დეზერტირი „მთავარსარდალი" დაეპატიმრებინათ და სასწრაფოდ გაესამართლებინათ. მაღალი რანგის პოლიტიკოსი სააკაშვილსა და მის ხროვას გამოაცხადებდა ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებად, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული საკუთარი მოსახლეობის, კერძოდ, ქართველებისა და ოსების წინაშე. შემდეგ მაღალი რანგის პოლიტიკოსი გადაფრინდებოდა მოსკოვში და ყველაფერს გააკეთებდა, რათა რუსეთს არ ეცნო დამოუკიდებლობა საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისა — აფხაზეთისა და შიდა ქართლის!** როგორ მოიქცა ნინო ბურჯანაძე სახელმწიფოსთვის იმ საბედისწერო დღეებში? აი, რას იხსენებს ის: **„როცა რუსები თბილისისაკენ დაიძრნენ, მე დავურეკე მიშას და ვუთხარი, რომ შევკრიბავდი ქალებს და გადავეღობებოდი რუსების ტანკებს. შევეკითხე: ოღონდ მითხარი, როგორ მოვკვდე — დროშით თუ ავტომატით ხელში"...**

როგორც ხედავთ, **ქალბატონი ნინო მზად იყო, გაეწყვიტა ქართველი მდედრი, ოღონდაც მის მიშიკოს ხელისუფლება შეენარჩუნებინა. ეს სიტყვები ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ეს მან ერთ-ერთი ცნობილი გაზეთის ფურცლებზე განაცხადა...**

და ამის მერე ამ ქალბატონს ჰყოფნის თავხედობა ამნაირი სიყალბის გავრცელებისთვის: **„დღეს საქართველოში ჩემი რანგის პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის"...**

ღმერთმა აცილოს ჩვენს ქვეყანას ბურჯანაძის მსგავსი პოლიტიკოსები!

**გიორგი კორძაძე**

## «პოროშენკო — პოლონეთის მტერი!»

**ამ ლოზუნგით გაიმართა პოლონეთში უკრაინის პრეზიდენტის პოლიტიკის საწინააღმდეგო მიტინგები. მიზეზი კი იყო ის, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ უკრაინელი ნაციონალისტების დივიზია „გალიჩინას" წევრები შეაქო. ეს ის დივიზიაა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობდა და ათიათასობით პოლონელის სისხლში აქვს ხელები გასვრილი.**

ქალაქ პშემისლში მდებარე უკრაინის საკონსულოსთან ათასობით პოლონელი შეიკრიბა. ისინი სკანდირებდნენ: „სტეპან ბანდერა ჰიტლერელი ნაძირალაა!", „პოროშენკო — უკრაინის მტერი!", „ჩვენ გვახსოვს ვოლინი!". პოლონელთა აღშფოთება გამოიწვია უკრაინელი ახალგაზრდების გამოხდომამ — პშემისლის აღმოსავლეთევროპული სახელმწიფო სკოლის სტუდენტებმა ე. წ. უკრაინის ამბოხებულთა არმიის შავ-წითელი დროშის ფონზე ფოტოები გადაიღეს, მათი მაღლა აწეული ხელები კი ფაშისტურ მისალმებას გამოხატავდა.

პოლონეთის სეიმის (პარლამენტის) დეპუტატებმა ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეახსენეს, რომ „უკრაინის ამბოხებულთა არმიის დროშის ქვეშ ვოლინში და დასავლეთ გალიჩინაში 100 ათასი პოლონელი გამოასალმეს სიცოცხლეს, სისასტიკის მასშტაბები კი წარმოუდგენელი იყო".

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა კი ღია წერილით მიმართეს უკრაინის პრეზიდენტს, რომ „გალიჩინელმა" ფაშისტებმა ათიათასობით პოლონელი, ებრაელი, ბოშა და უკრაინელი მოკლეს და მოსთხოვეს, რომ უკრაინელი ფაშისტების ბანდა აკრძალოს.

ჰკა მაგათ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პარლამენტის თავმჯდომარე არის პიროვნება, რომელმაც „ქრისტიანული კვლევის ცენტრის“ ეგიდით გამართულ სიმპოზიუმზე ეჭვქვეშ დააყენა ის, რომ საქართველო ყოვლადწმიდა დედა ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. უსუფაშვილი ამბობს, რომ შვილის ორიენტაცია არ ადარდებს, ის შვილს არ ასწავლის სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებას. მისი მეუღლე კი ქართველებს ქაჯებს გვიწოდებს, მაშინ, როცა ამ ქაჯების შრომის ხარჯზე იღებს სოლიდურ თანხებს“.**



### მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# სინოდის კრებებს მართავდნენ სოსო თოფურიძე და გიგა ბოკერია, უგულავა კი ეპისტოლეებს ასწორებდა

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს რუბრიკას „ჰკა მაგათა“.
დღეს ჩვენი სტუმარია გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი).**

**— მამაო, ბოლო 12 წლის განმავლობაში (ანუ ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მოსვლიდან დღემდე) ე. წ. ნეოლიბერალურმა იდეოლოგიამ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალაუფლების ერთგვარი მონოპოლიზება შეძლო და, ფაქტობრივად, უალტერნატივო მიმართულებად იქცა. ამ იდეოლოგიის წარმომადგენლები ადგენენ თამაშის წესებს პოლიტიკურ ასპარეზზე და განსაზღვრავენ ქვეყნის საგარეო ორიენტაციას. რა იდეოლოგიასთან გვაქვს რეალურად საქმე და ვინ არიან ეს ე.წ. ნეოლიბერალები?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. მსოფლიოს ბნელმა, ანტიქრისტიანულმა ძალებმა მათთვის მიუღებელი მართლმორწმუნე პრეზიდენტი გამსახურდია სამშობლოდან განდევნეს და „მშველელად“ შევარდნაძე მოგვივლინეს. თავის მხრივ, შევარდნაძემ, ამერიკის მიერ გაწვრთნილი სააკაშვილი დაგვისვა პრეზიდენტად. როდესაც „ვარდების რევოლუციის“ ფავორიტს — სააკაშვილს — მამობილმა შევარდნაძემ ხელისუფლება მიართვა, ეს ყოველივე გათვლილი იყო საქართველოს დასანგრევად. **„ნაცმოძრაობამ“ განაგრძო შევარდნაძის კურსი და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკლესიის ნგრევა დაიწყო. მან მართლაც მოახდინა ძალაუფლების ერთგვარი მონოპოლიზება და ქვეყანა წაიყვანა ოკეანისგაღმელთა მითითებით. კერძოდ, რეგისტრაციაში გაატარა ყველა სექტა, რითაც დიდი საფრთხე შეუქმნა მართლმადიდებლობას.** სააკაშვილი მეორე მამობილის, ჯორჯ სოროსის, მითითებითაც მოქმედებდა — გავიხსენოთ სოროსის სიტყვები: „საქართველოში ექსპერიმენტს ვატარებ!“, ამ ბინძურ საქმეში ჩართული იყო ამერიკის ელჩიც. სააკაშვილი თანამოაზრეებთან ერთად შავნაბადის რეზიდენციაში გეგმავდა ყველა შავ-ბნელ საქმეს — ვინ უნდა დაეპატიმრებინათ, ვისთვის რა ევნოთ, ვისთვის რა თანხა შეეწირათ და ა. შ.

**— ვინ იყვნენ ეს თანამოაზრეები?**

— ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგა ბოკერია და ძმები ახალაიები. მართალია, „ნაცმოძრაობის“ სადამსჯელო რაზმის წარმომადგენელთა ნაწილი დღეს საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ მათ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული და კვლავაც აქტიურად მუშაობენ ერის საწინააღმდეგოდ. „ნაცმოძრაობის“ თანამზრახველები საკმაოდ არიან როგორც სამართალდამცავ სტრუქტურებში, ისე პარლამენტშიც... **სწორედ სააკაშვილმა გაასხვისა ჩვენი ტერიტორიების 20%. მან დათესა ხალხში სიძულვილი, გამცემლობა, უნდობლობა, ერთმანეთისადმი შუღლი და ბოროტება. ერის გამორჩეული, საღი ნაწილი ჩარეცხილებად მონათლა და კუთხეში მიყარა.**

**მართვის ყოველი რგოლიდან დაითხოვა პროფესიონალები და დანიშნა სპეციალურად მომზადებული ეგზალტირებული ახალგაზრდები.**

**აი, მათი იდეოლოგია: დაჩაგრე, მოკალი, აწამე, ზნეობრივად, სულიერად გაანადგურე, გარყვენი ერის გენოფონდი. სხვა იდეოლოგია მათ არ ჰქონიათ.**

**— 2012 წლის 2 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება, რომელიც ეკლესიის მიმართ არსებობდა, დასრულდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. დღეს სოციალურ ქსელებსა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ეკლესია და სამღვდელოება კვლავ შეურაცხყოფის, დაცინვისა და ქილიკის საგანია. როგორ ფიქრობთ, ვინ და რა ძალები დგანან მათ უკან?**

— 2012 წლის ოქტომბერში უმნიშვნელოვანესი ძვრა მოხდა ქართველი ერის ისტორიაში. ქვეყანა გათავისუფლდა 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმისგან, რაც მნიშვნელოვანწილად ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. თუმცა მან გააცოცხლა და ხელისუფლებაში მოიყვანა 2%-იანი, უნიათო პარტიები, რომლებიც ვერც იოცნებებდნენ ამ ფუფუნებაზე. ხალხმა კი, პირობების გაუმჯობესების იმედით, ნდობის მანდატი მიანიჭა პარლამენტს. მიუხედავად ამისა, **საზოგადოება კვლავ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. სამაგიეროდ, საქართველოს ბედზე „მეოცნებე“ პარლამენტარები კოლოსალურ პრემიებს იღებენ. აი, ბედის ირონია!**

სააკაშვილმა სასულიერო პირებზე მოპოვებული კომპრომატებით ისე დაიმორჩილა ეკლესია, რომ მისი წარმომადგენლები ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ. ისინი ჰარმონიულად მოღვაწეობდნენ ერთობლივად — ესწრებოდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, კონცერტებსა და შოუებზეც ერთად ისხდნენ. ასე რომ, დღეს ეკლესია სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. გადადგეს ბევრი მცდარი ნაბიჯი, რომლებიც ბუმერანგივით მოუბრუნდება ჩვენს სარწმუნოებას...

სომხებმა გარეგინ მეორე მოიწვიეს საქართველოში და, სულ ცოტა, 653 ეკლესია მოითხოვეს, მათ შორის, რამდენიმე თბილისში მდებარეც. სექტების უფლებები მართლმადიდებლობას გაუტოლეს და მილიონობით ლარით დააფინანსეს, ეკლესია კი მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას ეთანხმებოდა. რაც მთავარია, **როცა ჩვენი სარწმუნოების საბედისწერო ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდნენ, ეკლესიამ არ გააკეთა ის, რაც ევალებოდა.** ჩვენ კიდევ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა მოხდა ამ კანონის მიღებით. ჩვენ ქრისტე გავყიდეთ და ჯვარს ვაცვით!

ხელისუფლება ეკლესიის საქმეში არ უნდა ერეოდეს, ეკლესიას კი აქვს უფლება, ჩაერიოს ცხოვრებისეულ საკითხებში. არადა, ყველას დასანახავად **სინოდის კრებებს მართავდნენ სოსო თოფურიძე და გიგა ბოკერია, უგულავა კი ეპისტოლეებს ასწორებდა. ამას რომ ითმენს სამღვდელოება, რა თქმა უნდა, ქილიკისა და დაცინვის საგანი გახდება... სასულიერო პირს უკან მოხედვის არ უნდა ეშინოდეს. არადა, საპატრიარქოში დღესაც არიან უზნეო სასულიერო პირები — ლოთები, ნარკომანები, მამათმავლები; არიან მღვდლები, რომლებიც დღისით-მზისით რესტორანში ქეიფობენ.**

რაც შეეხება შეკითხვას, რა ძალა დგას მათ უკან, არ არის ძნელი მისახვედრი. ეს ის ძალაა, რომლებსაც ეკლესიის წინააღმდეგ მართავენ ჯორჯ სოროსი და ამერიკის ელჩი. ეკლესია კი მათ სამხილებლად, სამწუხაროდ, ღირსეულ სიტყვას ვერ ამბობს.

**— ისევ ე. წ. ნეოლიბერალებზე გკითხავთ, დღეს მათი „იდეოლოგია“ ევროკავშირთან, ნატოსთან და ამ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან ასოცირდება. ეს ისტორიულ არჩევნად გამოგვიცხადეს და გვარწმუნებენ, რომ ქვეყანას ამის იქით გზა არ აქვს. როგორ ფიქრობთ, რა არის რეალურად ჩვენი ისტორიული არჩევანი და რას მოგვიტანს ზემოაღნიშნულ სტრუქტურებში შესვლა, თუ იქ მიგვიღებენ?**

— დღეს რესპუბლიკელების, ანუ ფსევდოლიბერალების ქმედება დამღუპველია ქვეყნისთვის. როცა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, როგორც ღვთის მსახური, ვაფრთხილებდი, მოეშორებინა ეს პარტია, მაგრამ ის პირიქით მოიქცა — ხელისუფლების სადავეები მათ გადასცა.

**«ფსევდოლიბერალები ებრძვიან ყოველგვარ ეროვნულს და მფარველობენ სხვადასხვა სექტას. საზღვარგარეთიდან შემოედინება დიდძალი თანხა და იმისათვის, რომ შეიკრიბონ, სასახლეებს იშენებენ. მაგალითად, ამჟამად გლდანის ტბასთან ევანგელისტები აშენებენ სპორტის სასახლის მსგავს რაღაცას...»**

**«დიდი საშიშროებაა იმისა, რომ რესპუბლიკელებმა პარლამენტში არეულობა გამოიწვიონ»**

შედეგად დღეს პარლამენტს სწორედ რესპუბლიკელები მართავენ. **პარლამენტის თავმჯდომარე არის პიროვნება, რომელმაც „ქრისტიანული კვლევის ცენტრის“ ეგიდით გამართულ სიმპოზიუმზე ეჭვქვეშ დააყენა ის, რომ საქართველო ყოვლადწმიდა დედა ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. უსუფაშვილი ამბობს, რომ შვილის ორიენტაცია არ ადარდებს, ის შვილს არ ასწავლის სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებას. მისი მეუღლე კი ქართველებს ქაჯებს გვიწოდებს, მაშინ, როცა ამ ქაჯების შრომის ხარჯზე იღებს სოლიდურ თანხებს.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფსევდოლიბერალებმა სკოლებში სამლოცველო კუთხე მოშალეს. განათლების სისტემაში კი არაფერი გაკეთებულა, ის ისევ ლომაიაშაშკინის ფსევებით იკვებება. საერთოდ კი, ფსევდოლიბერალები ებრძვიან ყოველგვარ ეროვნულს და მფარველობენ სხვადასხვა სექტას. საზღვარგარეთიდან შემოედინება დიდძალი თანხა და იმისათვის, რომ შეიკრიბონ, სასახლეებს იშენებენ. მაგალითად, ამჟამად გლდანის ტბასთან ევანგელისტები აშენებენ სპორტის სასახლის მსგავს რაღაცას... მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! ვაპირებ, შევხვდე შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჭიკაიძეს ან მის მოადგილეს, რათა გადავცე სია იმ ადგილებისა, სადაც ეს სექტები იკრიბებიან...

**— კონკრეტულად რას გულისხმობს მათი იდეოლოგია?**

— მათთვის ფასი არ აქვს ზნეობას, მორალს, ოჯახის სიწმინდეს, შვილების პატივისცემას მშობლების მიმართ, ურთიერთგაგებას ცოლქმარს შორის. ყველა უმსგავსობა დასავლეთიდან მოედინება. აკი თქვა კიდეც სოროსმა, — ჩამოვედი, რათა ქართველები სიბნელიდან გამოვიყვანო და დემოკრატიის გზაზე დავაყენოო. მათთვის სიბნელიდან გასვლა ზნეობრივი მოვალეობებისგან გათავისუფლებაა. ამ ძალების დასაყრდენი კი ჩვენს პარლამენტში რესპუბლიკელები არიან.

**— რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, რომელიც „ლიბერალების“ მთავარი მოკავშირეა და რომელსაც დიდი ხანია, საზოგადოებამ მეხუთე კოლონის იარლიყი მიაკერა, მათი აქტიურობის შედეგად ხელისუფლებამ უკვე გადადგა რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი — მოხსნა მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისებაზე, მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი და საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური კონფესია იურიდიული სტატუსით მართლმადიდებლობას გაუთანაბრა. ვისი მითითებით მოქმედებენ ეს ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები?**

— ფსევდოლიბერალების მთავარი მოკავშირეა უმაღლესი სასწავლებელი „ჯიპა“, რომლის ლექტორი იყო განათლების მინისტრი. თითქმის ყველა ნაციონალს ეს სასწავლებელი აქვს დამთავრებული. მათი მოკავშირეა, აგრეთვე, სააკაშვილის მიერ დაარსებული ე. წ. „თავისუფალი ზონა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

ესენი აპირებენ, ჩამოაყალიბონ ზომბირებული, მართვადი ადამიანები, რომლებიც გაუთვითცნობიერებლად იმოქმედებენ მათი მითითებით. ეს ადამიანები თვითონვე დათმობენ ზნეობას, ტრადიციულ ღირებულებებს, მორალურ ვალდებულებებს, რაც გამოიწვევს მათ სულიერ კვდომას. ეს არის გლობალიზაციის მიზანი. სწორედ ამ მიზნით იგზავნება საზღვარგარეთ, კერძოდ, ამერიკაში ახალგაზრდები სასწავლებლად. საერთოდ, თუ პიროვნება სულიერად არ არის ძლიერი, მისი მახეში გაბმა და თავისი ერის საწინააღმდეგოდ გამოყენება იოლია. აი, ეს არის ნეოლიბერალების, იმავე რესპუბლიკელებისა და „ნაციონალების“, ხიდაშელ-უსუფაშვილებისა და მათი მიმდევარების გეგმა, რომელიც დამღუპველია ერისთვის.

**— თუ რეალურად გამოჩნდება ძალა, რომელიც იტყვის, რომ არ შეიძლება, სახელმწიფო მუდმივად ამ მოჯადოებულ წრეში ტრიალებდეს, არის თუ არა შესაძლებელი, ამას სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვეს და უკრაინის მსგავსად ევრომაიდანი მივიღოთ? „ნაციონალები“ ისედაც ხშირად გაიძახიან, ქვეყანამ ევროატლანტიკურ კურსს გადაუხვია და მოქმედი ხელისუფლება დასამხობიაო.**

— დაგეთანხმებით, მართლაც რაღაც უაზრო წრეზე ვტრიალებთ, ეს პროცესი 1991-92 წლებიდან მოდის. ჯერ იყო და რუსეთში დასაჭერად გამზადებულმა შევარდნაძემ საქართველოს შეაფარა თავი და რა დღე- ▶

**როცა ჩვენი სარწმუნოების საბედისწერო ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდნენ, ეკლესიამ არ გააკეთა ის, რაც ევალებოდა**

**„მათ, როგორც უნდა გაიხეხონ კბილები და პირი, უფლება არ აქვთ, საქართველო ახსენონ, რადგან, ვიდრე ქვეყნის სათავეში იყვნენ, ერთხელაც არ უთქვამთ სიტყვა სამშობლო. ამ ნაძირლებმა ახლა მოინდომეს, თავი პატრიოტიზმს შეაფარონ!“**

**ჰკა მაგათ!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ში ჩაგვაგდო, ყველამ ვნახეთ; მერე იყო და, შერეკილმა სააკაშვილმა სიბილწის მორევში ჩაძირა ქვეყანა 9 წლის განმავლობაში. ივანიშვილის გამოჩენით კი დაემხო სააკაშვილი, მაგრამ მის ლეკვებთან კოჰაბიტაციის გამო კვლავ „ნაციონალების“ კლანჭებში აღმოვჩნდით. დაპირებების შეუსრულებლობით ხალხი მოტყუებული დარჩა. ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ ივანიშვილის გვერდით რესპუბლიკელები აღმოჩნდნენ. აი, ამ ფონზე შერეკილი სააკაშვილი ახალ ევრომაიდანსა და გადატრიალებას გვპირდება, ხელისუფლებაში კი დაპირისპირება და ქაოსია. ვფიქრობ, მართლაც დიდი საშიშროებაა იმისა, რომ რესპუბლიკელებმა პარლამენტში არეულობა გამოიწვიონ, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი და ალექსანდრე ჭიკაიძე ალკვეთენ „ნაცმოძრაობის“ ხრიკებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენენ.

**— მცირე ხნის წინათ სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ივანიშვილი აუცილებლად დაემხობაო, უფრო ადრე კი მას ნათქვამი აქვს, ხელისუფლებაში იმაზე მალე დავბრუნდებით, ვიდრე ზოგიერთს ჰგონიაო. თქვენი აზრით, რა შანსი აქვს „ნაცმოძრაობას“ და რეალურად არსებობს თუ არა მათი დაბრუნების საფრთხე?**

— ღმერთმა დაგვიფაროს სააკაშვილის კვლავ ხელისუფლებაში მოსვლისგან! მას ისე სწყურია ქართველთა სისხლი, როგორც დამშეულ მგელს — ცხვრისა. **თუ სააკაშვილი დაბრუნდება, ჩავთვალოთ, რომ თითქმის მთელი საქართველო ციხეში აღმოჩნდება, ბევრს ფიზიკურად გაანადგურებენ. ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დაუშვას.**

აქვე მინდა, საზოგადოება გავაფრთხილო: **ვიყოთ მხოლოდ ღმერთის იმედით, არ გადავუხვიოთ მის გზას და არ შევეკრათ სატანას!** ამას თუ დავუშვებთ, დიდი განსაცდელი დაგვატყდება თავს, ისეთი, როგორიც არასდროს გვინახავს და გამოგვიცდია. ამიტომ, მოვუხმოთ გონებას და შევასრულოთ ყველა ის დანაბარები, რომელიც დაგვიტოვეს ქრისტეს მოციქულებმა.

**— დასასრულ, რა აზრის ხართ „ნაციონალების“ მიერ წინა კვირას ჩატარებულ აქციაზე?**

**— ეს იყო ქართველი ხალხის დაცინვა და სულში ჩაფურთხება.** 9 წლის განმავლობაში ტერორში ჰყავდათ ერი, ნგრევისა და გადაგვარების მეტი არაფერი უკეთებიათ და სირცხვილით როგორ იღებენ ხმას?!

**ფაშისტური რეჟიმის წარმომადგენლები სწორედ იქ შეიკრიბნენ, სადაც მათ 26 მაისს და 7 ნოემბერს ქართველთა სისხლი დაღვარეს. ეს აქცია სააკაშვილმა და ჯორჯ სოროსმა ამერიკაში დაგეგმეს.** ამის შემდეგ ჩამობრძანდა სოროსი თავის ერთგულ შვილებთან და არათუ დაესწრო აქციას, მთავრობის წარმომადგენლებსაც კი შეხვდა. დღეს სოროსი თავისუფლად ჩამოდის საქართველოში და, რასაც უნდა, იმას აკეთებს.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

# სოროსმა განათლების სისტემის დაშლა დაიწყო კახა ლომაიას ხელით და ამ პროცესში ბევრ სხვა ადამიანთან ერთად მარგველაშვილიც მონაწილეობდა

**15 ნოემბერს, „ნაცების“ აქციის დღეს, საქართველოს ჯორჯ სოროსი ეწვია. მისი ჩამოსვლის მიზეზად ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ 20 წლის იუბილე დასახელდა. საქართველოში მოქმედმა ანტიგლობალისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ სოროსი საქართველოში დირექტივების გასაცემად ჩამოვიდა. ამაზე ფაქტები მეტყველებდა — სოროსი საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერს შეხვდა; ამას გარდა, ხუთ უნივერსიტეტში ლექციები ჩაატარა. რისთვის ჩამოვიდა ჯორჯ სოროსი? გასცა თუ არა დირექტივები? სურდა თუ არა ნიადაგის მოსინჯვა არეულობის მოსაწყობად? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აკადემიკოსი, „ანტისოროსული მოძრაობის“ დამფუძნებელი ელიზბარ ჯაველიძე გვესაუბრება.**



**— ბატონო ელიზბარ, 15 ნოემბერს საქართველოს კვლავ ესტუმრა ჯორჯ სოროსი. ის, გარდა იმისა, რომ ხუთ უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა, პრეზიდენტსა და პრემიერსაც შეხვდა...**

— სოროსი არის გაქნილი გაიძვერა და აფერისტი. ეს ჩემი სიტყვები არ არის, ასე მას ბევრ ქვეყანაში მოიხსენიებენ. ამ ადამიანის სახელს უკავშირდება საქართველოში განათლების სისტემის ნგრევა. **სოროსი თვლის, რომ მოდის ჩვენს ქვეყანაში, რათა თავისუფალ სივრცეში გაგვიყვანოს. მას ეკუთვნის ფრაზა „ბევრი ფული აკეთებს დიდ პოლიტიკას“, რომელიც პირდაპირ მიმართულია მცირერიცხოვანი ერების გადასაგვარებლად. სოროსმა საქართველოში მოღვაწეობა შევარდნაძის პერიოდში დაიწყო. იმხანად მისი ფონდის ხელმძღვანელი სასამართლო სისტემის მიმართულებით გახლდათ კოტე კუბლაშვილი, რომელიც დღესაც იმავე საქმიანობას ეწევა. სწორედ კუბლაშვილი უნაწილებდა მოსამართლეებს სოროსის ფულს: დაბალი რანგის მოსამართლეებს 200 დოლარს უხდიდა, უფრო მაღალ საფეხურზე მდგომს — 1000 დოლარს და ასე თანდათან იზრდებოდა თანხა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნაძირალა სოროსმა ჯერ სასამართლო სისტემა მოისყიდა და შემდეგ გადავიდა განათლების სისტემაზე. თავის დროზე მრავალი ქვეყნიდან გამოძევებულმა ფრთები საქართველოში გაშალა.**

**— ბევრი ადამიანი ამბობდა, 15 ნოემბერს სოროსი დირექტივების გასაცემად ჩამოვიდაო. რა გარანტია გვაქვს, რომ მართლაც ასე არ არის? მით უმეტეს, რომ შეხვედრები მაღალ დონეზე ჰქონდა.**

— რა თქმა უნდა, ის ამ ჩვევას არ მოიშლის. კარგად მახსოვს ჟვანიასა და სააკაშვილზე რომ თქვა, ეს ყმაწვილები დავაფინანსე და ახლა დავაკვირდები, ჩვენს იმედებს გაამართლებენ თუ არაო. **სააკაშვილმა მისი იმედი გაამართლა და საქართველო დაანგრია. შემდეგ ურთიერთობა აერიათ, რადგან ფულის შოვნაში სააკაშვილს ხელი ეშლებოდა, მაგრამ, ურთიერთობის დაძაბვის მიუხედავად, ქვეყნის უკუსვლა კვლავ გრძელდებოდა. სოროსმა განათლების სისტემის დაშლა დაიწყო კახა ლომაიას ხელით და ამ პროცესში ბევრ სხვა ადამიანთან ერთად მარგველაშვილიც მონაწილეობდა. ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტიც სოროსის ფონდის წამოჩიტული და აქტიური თანამშრომელი იყო, ის რამდენიმე წიგნის ავტორიც გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სოროსთან ფინანსურად არის დაკავშირებული.**

სოროსის ვიზიტი ნიადაგის მოსინჯვის მცდელობა მგონია, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილს არ ვცნობ ისეთ კაცად, სოროსის რჩევები გაითვალისწინოს.

აი, **რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც 15 ნოემბერს ქუჩაში იდგნენ და დანარჩენ ქართველებს ეროვნულობისკენ მოგვიწოდებდნენ, მათი საქციელი ნამდვილად სამარცხვინო იყო. მათ, როგორც უნდა გაიხეხონ კბილები და პირი, უფლება არ აქვთ, საქართველო ახსენონ, რადგან, ვიდრე ქვეყნის სათავეში იყვნენ, ერთხელაც არ უთქვამთ სიტყვა სამშობლო. ამ ნაძირლებმა ახლა მოინდომეს, თავი პატრიოტიზმს შეაფარონ. თუ სააკაშვილი პატრიოტია, მე ჩინეთის იმპერატორი ვყოფილვარ!**

**— ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის წინ თქვა, თქვენ სოროსი რომ გეგონათ, მე ვიყავი, სწორედ მე ვაფინანსებდი „ნაციონალურ მოძრაობასო“...**

— კი, ივანიშვილმა ეს აღიარა. თავდაპირველად, სოროსი აფინანსებდა ყველას და ყველაფერს, ის უხდიდა ხელფასს მინისტრებს, მისი ინტერესის განსაკუთრებულ სფეროს, როგორც გითხარით, განათლების სისტემა წარმოადგენდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ივანიშვილის ფინანსებმა სოროსის ფული ჩაანაცვლა. მოგეხსენებათ, „ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს“, სოროსის დაფინანსებულია და დღემდე ფინანსდება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არა მხოლოდ ეს ორგანიზაცია.

**არ გამოვრიცხავ, რომ ამ გაიძვერა კაცის ჩამოსვლა პროვოკაციების მოწყობისთვის სჭირდებოდათ, თუ, რა თქმა უნდა, დიდი მასშტაბის მიტინგს გამართავდნენ.**

როდესაც „ანტისოროსულ მოძრაობას“ ვაფუძნებდით, ამ სახელით რეგისტაციაში არ გაგვატარეს, გვითხრეს, ეს არ შეიძლებაო. ამის შემდეგ დიდი მიტინგი გავმართეთ ამერიკის საელჩოსთან, რომელსაც ჩვენი მომხრეების დაპატიმრება მოჰყვა. როგორც თქვენ არ დაგსიზმრებიათ შეთქმულების მოწყობა, ისე იმ თორმეტ ადამიანს, რომლებსაც რამდენიმე წელი ციხეში გაატარებინეს. აი, ასეთი გავლენა ჰქონდა ხელისუფლებაზე სოროსს.

**— სოროსი არ წარმოადგენს რომელიმე სახელმწიფოს, ის არ არის ოფიციალური პირი, ნუთუ არ შეიძლებოდა, ჩვენი ქვეყნის პირველ პირებს მასთან შეხვედრა თავიდან აერიდებინათ?**

— მართლია, ის არ არის ოფიციალური პირი, მაგრამ ამერიკის პოლიტიკას დიდწილად სწორედ სოროსი განსაზღვრავს, ამიტომ მისი მხარდაჭერა, როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის ბევრს ნიშნავს, მისი მხარდაჭერა ამა თუ იმ კანდიდატის გამარჯვებას ნიშნავს.

**— რადგან ასეა, ე. ი. ის ახალი ხელისუფლების მხარდამჭერადაც შეიძლება განვიხილოთ? შარშან, ზუსტად ამ პერიოდში, სოროსი ივანიშვილსაც ესტუმრა ოჯახში.**

— ვერაფერს გეტყვით. **სიმართლე გითხრათ, ჯერ მათ ქმედებაში ვერ ვხედავ იმ ელემენტებს, რომლებიც სოროსის პოლიტიკისთვის არის დამახასიათებელი, ანუ რომელიმე ობიექტის განადგურება, მაგრამ სიფხიზლე მართებთ, რადგან ლიბერალებისთვის, რომლებიც დღეს პოლიტიკაში არიან, სოროსი ძალიან დიდი ავტორიტეტია. გაირკვა, რომ ის ალასანიას მხარდამჭერიც არის. როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრის წასვლაც გეგმის ნაწილი იყო და დიდ არეულობას ელოდნენ,** მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „მიშისტი“ **ტელევიზიები აცხადებდნენ, „ათასობით ათასი“ ადამიანია მოსული მიტინგზეო, რეალურად „მიხუინებმა“ ხალხი ვერ გამოიყვანეს, „ნაცებმა“ ჩაისვარეს!**

სოროსის ჩამოსვლით ამჯერად ქვეყანაში ბევრი არაფერი შეიცვლება, მისი ჩამოსვლით არავის არაფერი მოუგია. ის შეხვდა სტუდენტებსაც, მაგრამ თითო-ოროლა ბავშვის გადაბირებით ფონს ვერ გავლენ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მიუხედავად იმისა, რომ «მიშისტი» ტელევიზიები აცხადებდნენ, «ათასობით ათასი» ადამიანია მოსული მიტინგზეო, რეალურად «მიხუინებმა» ხალხი ვერ გამოიყვანეს, «ნაცებმა» ჩაისვარეს!»**



**«სოროსმა საქართველოში მოღვაწეობა შევარდნაძის პერიოდში დაიწყო. იმხანად მისი ფონდის ხელმძღვანელი სასამართლო სისტემის მიმართულებით გახლდათ კოტე კუბლაშვილი, რომელიც დღესაც იმავე საქმიანობას ეწევა. სწორედ კუბლაშვილი უნაწილებდა მოსამართლეებს სოროსის ფულს, დაბალი რანგის მოსამართლეებს 200 დოლარს უხდიდა, უფრო მაღალ საფეხურზე მდგომს — 1000 დოლარს და ასე თანდათან იზრდებოდა თანხა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნაძირალა სოროსმა ჯერ სასამართლო სისტემა მოისყიდა და შემდეგ გადავიდა განათლების სისტემაზე»**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1999 წელს დასავლეთმა დაიწყო ომი აღმოსავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ. დასავლეთი არის მტრული ძალა, მას სურს მართლმადიდებელი ცივილიზაციის დამორჩილება. რევოლუციები, რომლებიც დასავლეთის ინიციატივით ბევრ ქვეყანაში მოხდა, ერთი ჯაჭვის რგოლებია. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ცხრა წელი კი არა, ამერიკა რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილი ორი კვირაც ვერ იბოგინებდა“.**

## გულბაათ რცხილაძე:

# ილია მეორემ ამ ინტერვიუთი ეკლესიის ყველა არაკეთილმოსურნე ბეჭებზე დადო, მისი განცხადება ბევრისთვის გულში ლახვარივით იყო



„რას ნიშნავს დღეს ჩემთვის რუსეთი? — იმას, რასაც ყოველთვის ნიშნავდა. რუსეთი ეს არის ქვეყანა, რომელიც თავის ჭეშმარიტ გზას ეძებს. სწორედ იქ მივიღე სასულიერო განათლება, დავამთავრე რუსეთის სასულიერო სემინარია და აკადემია. იქ ჩამოყალიბდა ჩემი მსოფლმხედველობა და სულიერი მდგომარეობა. დიდ პატივს ვცემ რუსეთს და მისთვის ვლოცულობ. ყველაფრის საფუძველი რწმენაა, რუსეთსა და საქართველოს ერთი სარწმუნოება აქვთ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ეს ძალიან მანაღვლებს, ჩვენი ქვეყნებისთვის, უბრალოდ, აუცილებელია, დიალოგს დაუბრუნდნენ. საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. პოლიტიკოსები ცდილობენ, ერები ერთმანეთს მოწყვიტონ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს მათ არ გამოსდით. მჯერა, რომ ეს ერები იპოვიან ძალას და სიბრძნეს, რომ შეჩერდნენ. შეხედავენ ერთმანეთს. არ შეიძლება, კიდევ დავშორდეთ ერთმანეთს, საჭიროა, ვაპატიოთ ერთმანეთს, გავაკეთოთ დასკვნები და დავიწყოთ დიალოგი. ერთი მართლმადიდებელი ერი არ უნდა ბომბავდეს მეორეს. ჩვენი პოლიტიკოსებისთვის აუცილებელია მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომა, სხვაგვარად წარმოუდგენელია. გადაეცით რუსეთს ჩემი საუკეთესო სურვილები და კეთილგანწყობა,“ — ეს ილია მეორის სიტყვებია, რომლებიც „როსიისკაია გაზეტას“ ჟურნალისტ ალექსანდრე იაროშენკოს უთხრა და რუსულ სამთავრობო გაზეთში დაიბეჭდა კიდეც.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: „ამა წლის 22 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან იყო ჟურნალისტი რუსეთიდან ალექსანდრე იაროშენკო, რომელიც მოვიდა დასალოცად და არა ინტერვიუს ასაღებად. მოულოდნელად მან ხმის ჩამწერი მოიმარჯვა და მის უწმინდესობას კითხვით მიმართა. საუბარმა დაახლოებით სამ-ოთხ წუთს გასტანა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დანანებით აღნიშნა, რომ დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობა მიუღებელია, რომ მართლმადიდებელ ქვეყნებს შორის არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება იყოს, მით უმეტეს, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანასთან. ბრძანა ისიც, რომ ვიდრე აფხაზეთი და სამაჩაბლო არ დაბრუნდება ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, ჩვენს სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობა ვერ აღდგება. მისი უწმინდესობის სახელით გამოქვეყნებული ტექსტის ძირითადი ნაწილი კი ჟურნალისტური ინტერპრეტაციის შედეგია“.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ ესაუბრება.**



**— ბატონო გულბაათ, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა პატრიარქის ინტერვიუს, რომელიც „როსიისკაია გაზეტაში“ დაიბეჭდა. ზოგიერთმა გამოცემამ საერთოდ უარყო ამ ინტერვიუს არსებობა და მას რუსი ჟურნალისტის ინტერპრეტაცია უწოდა. რა მოხდა სინამდვილეში? ესაუბრა თუ არა ალექსანდე იაროშენკო პატრიარქს?**

— ილია მეორემ სპონტანურად მიიღო „როსიისკაია გაზეტას“ ჟურნალისტი ალექსანდრე იაროშენკო, მათ ერთად მიირთვეს ჩაი და ჟურნალისტმა ხუთწუთიანი ინტერვიუ ჩაიწერა, რომელიც გაზეთში სრულად დაიბეჭდა. გაოგნებული ვარ ქართული მედიის ქმედებით. თუნდაც მოეგონებინა რუს ჟურნალისტს ეს ამბავი და ინტერვიუ არც ჩაეწერა, უნდა ვიამაყოთ, რომ რუსულ სამთავრობო გაზეთში ასეთი რამ დაიბეჭდა — ე.ი. იაროშენკო დიდ პატივს სცემს ჩვენს პატრიარქს და სურს, ყველა რუსი დადებითად განეწყოს ილია მეორის მიმართ. ამაში ცუდი რა არის?!

მასმედიის დიდი ნაწილი ისეთ ძალებს აქვთ ხელში ჩაგდებული, რომლებსაც პატრიარქის მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანები არ სჭირდებათ, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ინტერვიუს ასეთი ხმაური მოჰყვა.

პატრიარქს ცუდი არაფერი უთქვამს, თქვა ის, რაც ნებისმიერი მართლმადიდებელი ადამიანისთვის გასაგები და მისაღები უნდა იყოს. რწმენა ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა უნდა იდგეს. ჩვენ, ყველანი, ჯერ ქრისტეს მიმდევრები ვართ... ეს ჰარმონია თუ არ დავიცავით და მხოლოდ ნაციონალიზმით ვიხელმძღვანელეთ, საბოლოოდ, შოვინიზმამდე და ფაშიზმამდე მივალთ.

**როდესაც ევროპამ უარი თქვა ღმერთზე და დაინგრა ფასეულობები, პირველ პლანზე ნაციონალიზმი წამოვიდა.** ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც ნაციონალური ნიშნით ჩამოყალიბდნენ, მძაფრ კონფრონტაციაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან, რომელმაც დიდი ომები და სისხლისღვრა გამოიწვია. ევროპას მშვიდობის დასამყარებლად დიდი დრო დასჭირდა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის გასაგები უნდა იყოს ის, რაც ილია მეორემ რუს ჟურნალისტს უთხრა: „ჩვენ, პირველ რიგში, სულიერად ერთი ხალხი ვართ, ერთი ეკლესიის წევრები“.

**— ილია მეორესთან ინტერვიუს ჩაწერა მე რომ მოვისურვო, ალბათ, ვერაფრით შევძლებ. როგორ მოახერხა რუსმა ჟურნალისტმა პატრიარქთან შეხვედრა? ეს ფაქტი ხომ არ ადასტურებს იმას, რასაც ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ილია მეორეზე ამბობენ, რომ ის პოლიტიკაში ერევა?**

— ილია მეორეს ქართველი ჟურნალისტები და ხალხიც ყოველ კვირას უსმენენ, რუსეთში ამის საშუალება არ აქვთ და, ალბათ, მისმა უწმინდესობამ სწორედ ეს ფაქტორი გაითვალისწინა, თანაც „როსიისკაია გაზეტა“ სამთავრობოა, პატრიარქი ასეთ დეტალებს ითვალისწინებს.

მეგონა, ამ ამბით ყველა გახარებული იქნებოდა, რადგან ბედნიერებაა, რომ ასეთი ურთიერთობები შეგვიძლია, ეს ხომ არაფერს აფუჭებს? ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მომხრეა რუსეთთან ადამიანური ურთიერთობებისა, რა თქმა უნდა, გვირჩევნია, პოლიტიკოსებს შორისაც ასე იყოს, მაგრამ, რადგან ეს არ გამოგვდის, ხალხს მაინც ჰქონდეს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა. პატრიარქების პირდაპირი მოვალეობაა, ხალხებს შორის მშვიდობა დაამკვიდროს.

**— საქართველოში ილია მეორის სახელის დისკრედიტებისთვის ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, ცდილობენ, ყველაფერი ცუდი ეკლესიას დაუკავშირონ... ვის სჭირდება ეკლესიის დაკნინება და პატრიარქის ავტორიტეტის შელახვა? ადრე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა, ამჟამად დეპუტატმა თამარ კორძაიამ ერთხელ ირონიით თქვა, — ილია მეორეს ერთი მანდატი მივცეთ და პარლამენტში დავსვათო...**

— ერთი მანდატი კი არა, 100 კაცის ხმა რომ ჰქონდეს პატრიარქს იმ პარლამენტში, ძალიან კარგი იქნებოდა... ვის სჭირდება ეკლესიის გავლენის შემცირება, კარგად ვიცით — ულტრალიბერალურ, ამერიკის პოლიტიკის უპირობო მხარდამჭერ პარტიებს.

პატრიარქის ინტერვიუზე ვაი-უშველებელი ატეხა სააგენტო „ნეტგაზეთმა“, მანვე გაავრცელა საპატრიარქოს ანონიმური განცხადება, თითქოს ილია მეორესთან რუს ჟურნალისტს ინტერვიუ არ ჩაუწერია. ამ ამბების შემდეგ, პირადად დავუკავშირდი იაროშენკოს, მან იცის, რაც მოჰყვა მის ინტერვიუს. ჟურნალისტმა მითხრა, რომ მას ჩანაწერი აქვს.

**— იცით, ხშირად მომისმენია ხალხის აზრი, რომ პატრიარქი უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ვფიქრობ, რომ **ილია მეორემ ამ ინტერვიუთი ეკლესიის ყველა არაკეთილმოსურნე ბეჭებზე დადო, მისი განცხადება ბევრისთვის გულში ლახვარივით იყო.**

ვერ გავკადნიერდები და ვერ ვიტყვი, რა უნდა ქნას პატრიარქმა, მაგრამ ის, რაც თქვა და გააკეთა, უდიდესი მნიშვნელობისაა. ბევრი პოლიტიკოსი ეცდება, მიაჩუმათოს ეს ამბავი, მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს და ყველა ნაბიჯს სარჩულად უწმინდესის ეს სიტყვები უნდა ედოს. ხელისუფლებაც ვერ აუვლის ამ ამბავს გვერდს. პატრიარქის ეს განცხადება ხელს არაფერში უშლის, პირიქით, თუ რაიმე სასიკეთო სურთ და მონადინებულები არიან, რუსეთთან ურთიერთობები დაარეგულირონ, მაშინ ამ განცხადების კარგად გამოყენება შეუძლიათ.

**— სურთ კი ურთიერთობის რეგულირება?**

— ვერ გეტყვით. ვიცი, რომ „ნაციონალები“ ხელისუფლებას ბრალს დებენ კურსის გადახვევაში...

**— „ნაცები“ ბრალს დებენ, შეშინებული მთავრობა კი მათ მითითებებს ასრულებს. ასე არ არის?**

— კი, მართალი ხართ. **ჩვენი ხელისუფლება „მანდრაჟისტების ხელისუფლებაა“. ისინი „ნაცების“ კაბინეტებში დასხდნენ და იმავეს ლაპარაკობენ, რასაც „ნაცები“, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მარტო „ნაცების“ ბრალი არ არის, გარე ძალების დამსახურებაც დიდია.**

**— 15 ნოემბერს „ნაციონალებმა“ მიტინგზე ხალხის გამოყვანა შეძლეს, სოროსიც თბილისში იყო — პრეზიდენტსა და პრემიერსაც შეხვდა. ამბობენ, რომ ის დირექტივებსაც გასცემს, როგორ ფიქრობთ, ჩვენი მთავრობა პატრიარქის მინიშნებას უფრო გაითვალისწინებს თუ სოროსის დირექტივებს?**

— პატრიარქი გვირჩევს, სოროსი კი გავლენის შენარჩუნებას ცდილობს. ეს ხელისუფლება პირწავარდნილი სოროსელებისგან არ შედგება, თუმცა ასეთებიც არიან, პრეზიდენტიც მათ წრეს ეკუთვნის, მაგრამ პრემიერი ამ ჯგუფში არ შედის. სოროსმა, რაც უნდა ირბინოს, ვფიქრობ, სიტუაციას უკან ველარ დააბრუნებს.

**— ბოლო ხანს ბევრი ამბობს, — დროა, ღარიბაშვილმა გადახედოს განვლილ ოც წელიწადს და განსაზღვროს, რა უკეთესია ჩვენი ქვეყნისთვისო...**

— **ღარიბაშვილი უტვინო არ არის, მაგრამ ძალიან ახალგაზრდაა, ანტიკური ხანიდან მოყოლებული ახალგაზრდების სათავეში ყოფნა სახელმწიფოს უპირატესობად არ ითვლება.** არ ვიცნობ ღარიბაშვილს და ვერ გეტყვით, როგორია მისი სტრატეგიული აზროვნება, თუმცა ღარიბაშვილის განცხადებები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მოზომილია. მაგრამ, თუ ის მენეჯერივით აზროვნებს, არაფერში გამოგვადგება. გეოპოლიტიკაში ჩახედული ადამიანები ხელისუფლებას არ ჰყავს...

**თუ უმოკლეს ხანში არ იქნება განსაზღვრული საქართველოს ადგილი, არ ვიცი, სადამდე მივალთ. კარგ მენეჯერს იმის დათვლა მაინც უნდა შეეძლოს, ოცი წლის განმავლობაში რა მივიღეთ და რა დავკარგეთ.**

**ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ საუბარი დაიწყო ევრაზიულ კავშირზე, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო და განხილვას არ ექვემდებარებოდა. წინა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა ყველას მონა გახადა. მაპატიეთ, მაგრამ ერთ შედარებას გავაკეთებ — „გარშოკი“ ხომ იცით, ყველა შიგ შვრება, მაგრამ მაინც დოინჯით ამაყად დგას, — აი, ასე გამოიყურებოდა საქართველო! დოინჯით დგომა არაფერში წაგვადგება...** რას მოიმოქმედებს ღარიბაშვილი, ამის პროგნოზირება ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ საკადრო ცვლილებები განსახორციელებელია, პარლამენტიც შესაცვლელია — რესპუბლიკელების იმედზე ყოფნა არ შეიძლება, მერე ყველაფერი გვიან იქნება.

დასასრულ, ვიტყვი, რომ **1999 წელს დასავლეთმა დაიწყო ომი აღმოსავლური ცილვილიზაციის წინააღმდეგ. დასავლეთი არის მტრული ძალა, მას სურს მართლმადიდებელი ცივილიზაციის დამორჩილება. რევოლუციები, რომლებიც დასავლეთის ინიციატივით ბევრ ქვეყანაში მოხდა, ერთი ჯაჭვის რგოლებია. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ, ცხრა წელი კი არა, ამერიკა რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილი ორი კვირაც ვერ იბოგინებდა.**

**«წინა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა ყველას მონა გახადა. მაპატიეთ, მაგრამ ერთ შედარებას გავაკეთებ — «გარშოკი» ხომ იცით, ყველა შიგ შვრება, მაგრამ მაინც დოინჯით ამაყად დგას, აი, ასე გამოიყურებოდა საქართველო!»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„თუ არ გინდა, რუსეთი ისე მოიქცეს, როგორც იქცევა, არც შენ უნდა მისცე ამის საბაბი. ეს ძალიან მარტივია, ეს არის სქემა, როგორ უნდა მოაგვარო დიპლომატიური ურთიერთობები. ევროკავშირი მაინც ეკონომიკური სივრცეა და ამაზე რუსები არ გვედავებიან, მაგრამ ნატო სამხედრო სივრცეა და საქართველოს ნატოში გაწევრებას ისინი არ დაუშვებენ“.**

კონფერენცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და მათი განეიტრალების გზები

## «გლობალური კვლევების ცენტრმა» საქართველოს უსაფრთხოების საკითხები განიხილა

**13 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ სასტუმრო „ვერე-პალასში“ უსაფრთხოების საკითხებზე კონფერენცია გამართა. რა საფრთხეების წინაშე დგას დღეს მსოფლიო და როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე? რა გამოწვევების წინაშეა საქართველო და, საზოგადოდ, ჩვენი რეგიონი? — სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა დამსწრე საზოგადოება. სამხედრო ექსპერტებმა საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე იმსჯელეს და ჩვენი რეგიონის მიმართ მსოფლიოში მიმდინარე საფრთხეების ანალიზი წარმოადგინეს.**



**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი** ამბობს, რომ დღეს რეგიონის და ზოგადად, მსოფლიოს წინაშე არსებული საფრთხეების გაანალიზების გარეშე, საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეების ანალიზი არაფრის მომცემია: „როგორც წესი, ჩვენი ექსპერტები და პოლიტიკოსები მხოლოდ საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე მსჯელობენ ხოლმე, რაც არასწორია. საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, გვინდა თუ არა, ჩვენს ქვეყანაზეც აისახება. ამას გარდა, მოწინააღმდეგეს კარგად უნდა იცნობდე. **ლოზუნგებითა და ყოველდღიური „ტვინის გამორეცხვით“, რომ ხვალ ნატოში შევალთ და ავშენდებით, პრობლემები არ მოგვარდება.**

აქედან გამომდინარე, დავით თევზაძის მოხსენება რუსული ისტებლიშმენტის თვალით დანახულ საფრთხეებს და ამ კონტექსტში საქართველოს შეეხებოდა. ვახტანგ მაისაიას მოხსენება, ძირითადად, სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეებს უკავშირდებოდა, თამაზ იმნაიშვილმა სცადა, გლობალურ ჭრილში და ლოკალურადაც ეჩვენებინა, რა გამოწვევებია დღეს საქართველოს წინაშე და როგორ შეიძლება, მათ გავუმკლავდეთ. სიმონ კილაძემ კი წარმოადგინა, თუ როგორ გამოიყურება ეს ყველაფერი მედიასა და სოციალურ ქსელებში. ჩვენთან ძალიან ხშირად ინტერნეტიდან აიღებენ ვიღაცის სენსაციურ ნათქვამს, კონტექსტიდან ამოგლეჯილს, და ეს ჰგონიათ რუსული სახელმწიფოს თვალსაზრისი.



**დავით თევზაძე, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი:**

— კონფერენცია მიზნად ისახავდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე იმ საფრთხეების გამოკვეთას, რომლებსაც შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს საქართველოზე. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი საქართველოსთვის, ასევე ამიერკავკასიისთვის და, როგორც ახლა იკვეთება, აღმოსავლეთ ევროპისთვისაც არის რუსეთი. ამიტომ შევეცადე, ამ ყველაფრისთვის რუსეთის სამხედრო სტრატეგიული მიდგომებიდან გამომდინარე შემეხედა და მეპოვა პასუხი კითხვაზე — რატომ იქცევა რუსეთი ასე და არა სხვაგვარად? როდესაც ჩვენ რუსულ პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის ვლაპარაკობთ იმპერიაზე, იმპერიალიზმზე, მტერზე და ა. შ. რაც არ ხსნის მოქმედების იმ ლოგიკას, რომლითაც რუსეთი ხელმძღვანელობს. ვფიქრობ, საერთოდ, ყველა საფრთხის განეიტრალება შესაძლებელია. სწორედ ეს არის პოლიტიკა, თუმცა გააჩნია, როგორ შეხედავს ამას პოლიტიკური ელიტა, რომელიც დღეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მართავს.

რაც შეეხება რუსეთის წინაშე არსებულ საფრთხეებს, უნდა ითქვას, რომ რეალურად დღეს პირველი რიგის საფრთხე რუსეთისთვის სტრატეგულ და ხანგრძლივ პერსპექტივაში ჩინეთია. 30-50 წლის შემდეგ ჩინეთს შეუძლია, რუსეთს პრობლემები შეუქმნას. ამისთვის კი რუსეთს საზღვრები მყარად უნდა ჰქონდეს დაცული. არსებობს დაუცველი საზღვარი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ფონზე რუსეთისთვის რამდენიმე სტრატეგიული ამოცანა იკვეთება: შეაკავოს დეზინტეგრაციის საფრთხე, რაც ნიშნავს კავკასიის ამოგდებას ამ საფრთხეთა ნუსხიდან; შეაკავოს ცენტრალური აზიიდან მომდინარე საფრთხე და რეგიონი ერთ ეკონომიურ სივრცედ შეკრას, რაც მას საშუალებას მისცემს, მომავალი 20-50 წლის განმავლობაში შექმნას ჩინეთის შემაკავებელი პოტენციალი. ეს ამოცანები 2008 წელსაც ნათლად იკითხებოდა. აქედან გამომდინარე, **თუ არ გინდა, რუსეთი ისე მოიქცეს, როგორც იქცევა, არც შენ უნდა მისცე ამის საბაბი. ეს ძალიან მარტივია, ეს არის სქემა, როგორ უნდა მოაგვარო დიპლომატიური ურთიერთობები. ევროკავშირი მაინც ეკონომიკური სივრცეა და ამაზე რუსები არ გვედავებიან, მაგრამ ნატო სამხედრო სივრცეა და საქართველოს ნატოში გაწევრებას ისინი არ დაუშვებენ.**

**«საქართველოში დღეს რელიგიური და კულტურული ექსპანსია მიმდინარეობს. ყოველ არხზე, ყოველ დღე თურქული სერიალები გადის და დარწმუნებული ვარ, ეს თურქული სერიალები «25-ე კადრის» პრინციპითაა აგებული. წელს ასეთი შემთხვევა მოხდა. ლანჩხუთის რაიონში, ეკლესიაში, ქალბატონი აღსარებას ამბობდა და მან მამაოს უთხრა, ალაჰმა დაგლოცოს, მამაოო. აი, აქამდე მივედით!»**



**თამაზ იმნაიშვილი, საქართველოს გენერალთა კლუბის ანალიტიკური ცენტრის უფროსი:**

— თანამედროვე დიდ სტრატეგიაში უკვე შემუშავებულია ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელსაც „ჩრდილის თეორია“ ჰქვია. ევრაზიის კონტინენტზე, საქართველოს სიახლოვეს, დღეს სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს, ყოველი ასეთი პროცესის ჩრდილი ჩვენს ქვეყანაზე აისახება. **ამჟამად საქართველოს გარშემო 4 სხვადასხვა პროცესი მიმდინარეობს.**

**პირველი** — ეს არის აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, მოკლევადიან რეჟიმში ეს ყველაზე დიდი საფრთხის მქონეა საქართველოსთვის.

**მეორე** კონფლიქტი, რომლის ჩრდილიც საქართველოს ეცემა და დიდი რისკის მქონეა, არის სირიასა და ერაყში ისლამური ხალიფატის შექმნის პროცესი და საომარი მოქმედებები. თავისთავად მას აქვს საყრდენი საქართველოში, პანკისის ხეობასა და აჭარაში. არაბების გაერთიანება დიდ კატაკლიზმებს გამოიწვევს და მსოფლიო სამხედრო და გეოპოლიტიკურ კრიზისებამდე მივა.

**მესამე** ჩრდილი — ეს არის **დიდი თურანის პროექტი**, რომელიც თურქული მოდგმის ხალხების, რელიგიურ, კულტურულ, სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკური სივრცეში გაერთიანებას გულისხმობს და თავის მხრივ, სამ ეტაპს მოიცავს. უნდა ითქვას, რომ პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. ეს არის თურქეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის გაერთიანება, მათ აქვთ საკუთარი დროშა, ჰიმნი და ხელშეკრულებები გაფორმებული ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანების თაობაზე. ამ სივრცეში საქართველო არათურქული მოდგმის ერთგვარი ლაქაა. ერდოღანის იდეაა, საერთო მუსლიმანური ნატოს შექმნა. სააკაშვილისა და ერდოღანის თანამშრომლობის შედეგად კი ის მივიღეთ, რომ თურქეთის 65 ათასი მოქალაქე საქართველოს მოქალაქეცაა, ხოლო 2009 წლის შემდეგ დაიწყო სერიოზული რელიგიური ექსპანსია. ის, რაც ხდება საქართველოში, უპირველესად, საქართველოს ხელისუფლების დანაშაულია. **საქართველოში დღეს რელიგიური და კულტურული ექსპანსია მიმდინარეობს. ყოველ არხზე ყოველდღე თურქული სერიალები გადის და დარწმუნებული ვარ, ეს თურქული სერიალები „25-ე კადრის“ პრინციპითაა აგებული. წელს ასეთი შემთხვევა მოხდა: ლანჩხუთის რაიონში, ეკლესიაში, ქალბატონი აღსარებას ამბობდა და მან მამაოს უთხრა, — ალაჰმა დაგლოცოს, მამაოო. აი, აქამდე მივედით**.

**მეოთხე** — ეს არის ყარაბაღის კონფლიქტი, რომლის ჩრდილიც ეცემა საქართველოს. ეს კონფლიქტი ვულკანივით იღვიძებს და, თუ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, უპირველესი საფრთხე, რომელიც შეიძლება გაჩნდეს, იქიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილის საქართველოში შემოსვლა იქნება. ამას გარდა, ეს, დიდი ალბათობით, იქნება რეგიონული ომი და შეიძლება, კავკასიასაც გასცდეს.



**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

— ჩემს მოხსენებაში ყურადღება გავამახვილე სამხრეთიდან მომდინარე ისლამური ხალიფატის რთულ და ვერაგ საფრთხეზე, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდება საქართველოს. ამის წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ ბოლო ხანს მომხდარი ის რელიგიური ტიპის ინციდენტები, რომლებიც ამ საფრთხეს კიდევ უფრო აჩქარებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოება ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. ჩვენი შეხვედრის დღევანდელი პათოსიც ეს იყო — როგორ არ უნდა გავალიზიანოთ სავარაუდო მოწინააღმდეგე. ამ შემთხვევაში საუბარი ეხებოდა რუსეთს თუმცა, აუცილებელია, გავაანალიზოთ, როგორ არ უნდა გავალიზიანოთ ის ძალა, რომლის უკანაც რადიკალური ისლამი დგას. **ვიტყოდი, რომ მთლიანობაში ორივე საფრთხე, ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც მომდინარე, არის გეოპოლიტიკურად მწვავე და ამ ყველაფერმა, შესაძლოა, საფრთხე უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობას შეუქმნას.**



**სიმონ კილაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი:**

— უცხოურ მედიასაშუალებებში საკმაოდ აქტიურად შუქდება ის მუქარები და გამოწვევები, რომლებიც საქართველოს შეიძლება საგარეო და სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით ჰქონდეს. განსაკუთრებით აქტიურობს რუსეთის მასმედია. ამას წინათ რუსულ პოპულარულ საიტზე გამოქვეყნდა **მიხეილ ჩერნოვის** სტატია სათაურით „რუსეთი სომხეთის საზღვრებთან გავა“. ჩერნოვი წერს: „რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ხელშეკრულებებს აფორმებს, რომლის მიხედვით, იქმნება საერთო სამხედრო, სამართლებრივი და საბაჟო სივრცე. ამასთანავე, რუსეთი დაინტერესებულია ტრანსკავკასიური საავტომობილო მაგისტალის განვითარებით, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საშუალებით აერთიანებს. მოსკოვი ასევე განიხილავს ალაგირი-ცხინვალის 160-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობას, რომელიც ჩრდილოეთკავკასიურ სარკინიგზო მაგისტრალს ტრანსკავკასიურ მაგისტრალთან დააკავშირებს. აღნიშნული „დასავლური“ მარშრუტი სომხეთში, გორის რაიონის, თრიალეთის, ოსეთისა და სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის გავლით გადის. ხელისუფლების ძალისმიერი გადაყენების ტრადიციას თუ გავითვალისწინებთ, საქართველოში, შესაძლოა, უკრაინული სცენარი განვითარდეს, ასეთ პირობებში კი რუსეთი არამხოლოდ დაიცავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, არამედ იძულებული იქნება, უზრუნველყოს მოსახლეობის სტაბილურობა და უსაფრთხოება.

* * *

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნდა **სილვია შტოიბერის** სტატია, „პოლიტიკური ნოემბერი საქართველოში. დგას თუ არა საქართველოს დასავლური ორიენტაცია კითხვის ქვეშ“. ავტორი წერს, რომ საქართველოს ყველაზე დიდი საფრთხე შიგნიდან ემუქრება. ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მმართველმა კოალიციამ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა დაპირებები, რომლებიც მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს. ეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით საფრთხის მომასწავებელია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში. ანალოგიური სიტუაციაა პანკისის ხეობაში, რის გამოც ახალგაზრდები მუსლიმანურ რეგიონებში მიდიან და ტერორისტებად ყალიბდებიან. საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით უნდა ახორციელებდეს ამ ყველაფრის მონიტორინგს და დროულ რეაგირებას ახდენდეს.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ვრცელ სიაში იყო: უნივერსალური ჩარხები, ლითონი, მილები და ფეროშენადნობი, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, ანდეზიტი, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო და კონიაკი, ჩაი, მაკარონი, მურაბები, მინერალური წყლები და სხვ.**

**სტალინის პიროვნებაზე, მის მოღვაწეობაზე ბევრი ნაწარმოები — ლექსი, მოთხრობა, ისტორიული ნარკვევი თუ მემუარები დაიწერა. სტალინის სახის შექმნას მისი მოღვაწეობა, მის მიერ ნაკეთები საქმეები განაპირობებდა.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი ქართულ პოეზიაში

1921-53 წლებში, სტალინის სიცოცხლეში, აშენდა და მწყობრში ჩადგა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი, აგრეთვე, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში, საქართველო გახდა მეტალურგიული, საავტომობილო, ხელსაწყოთა, ელექტროტექნიკური აპარატებისა და ავტომატიკის საშუალებათა მრეწველობის რესპუბლიკა, რომელიც აწარმოებდა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, კოქსს, მაგისტრალურ ელმავლებს, ურთულეს ლითონსაჭრელ ჩარხებს, ექსკავატორებს, ავტომანქანებს, ტრაქტორებს, მინერალურ სასუქებს და სხვ. საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურაში დიდი ადგილი დაიკავა მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთა მშენებლობის პროდუქციის ახალმა სახეებმა. მანქანათმშენებელი ქარხნები ამზადებდნენ უნივერსალურ სახარატო-ხრახნმჭრელ ჩარხებს, სამთო-საშახტო მოწყობილობებს, მძიმე ავტომანქანებს, ექსკავატორებს, სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მრეწველობის მანქანებსა და მოწყობილობებს, ჩაის საკრეფ და ვაზის ავტომატურად სამყნობ მანქანებს, ჰიდრომეტეოროლოგიურ აპარატურას და სხვ.

***საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ვრცელ სიაში იყო: უნივერსალური ჩარხები, ლითონი, მილები და ფეროშენადნობი, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, ანდეზიტი, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო და კონიაკი, ჩაი, მაკარონი, მურაბები, მინერალური წყლები და სხვ.**

*60 000-ზე მეტ ჰექტარზე გაშენდა ვაზი, ხოლო ხეხილის ბაღების ფართობმა 110 000 ჰექტარს მიაღწია, ნათესი ფართობი კი 800 000 ჰექტარს აღემატებოდა.

***აშენდა და მწყობრში ჩადგა კულაშ-ღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, წილკნის, დოეს-გრაკლის, თეზი-ოკამის, აჯამეთის, ტირიფონის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის, სამგორისა და სხვა სარწყავი სისტემები; ამოაშრეს და გამოსადეგი გახადეს 105 000 ჰექტარი დაჭაობებული მიწა.**

*ამავე პერიოდში გაყვანილ იქნა ნატანები-მახარაძის, ცხაკაია-სოხუმი-ადლერის, გორი-სტალინინისა, ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის ხაზები; დაიგო ფართო სალიანდაგო ხაზი ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე.

***1953 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 666 000-ზე მეტი ადამიანი, მათგან 30 000-ზე მეტი — მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. სკოლა-ინტერნატებში სწავლობდა 6 000-ზე მეტი ბავშვი.**

* მოქმედებდა 20 სახალხო თეატრი და 2100-ზე მეტი თვითშემოქმედებითი კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებული იყო 46 000 კაცი.

***1953 წელს საქართველოში გამოდიოდა 126 დასახელების გაზეთი და 23 ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი მილიონს აღემატებოდა რაოდენობით. მოქმედებდა 641 საავდმყოფო 26 261 საწოლით, კურორტებზე კი მშრომელთა მომსახურეობას ეწეოდა 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი. გარდა ამისა, სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ევროპაში კვლავ არ გაჩნდებოდა ომის კერა, 1960 წელს საბჭოთა ადამიანს პური უფასოდ უნდა მიეღო.**

ეს ყველაფერი სტალინურ ხუთწლედებში შეიქმნა.

პირველი ხუთწლედის მიღწევებით გაოცებულმა ინგლისური ბანკის — „იუნაიტედ დომინიონის" თავმჯდომარემ **გიფსონ ჯარვმა** 1932 წლის ოქტომბერში განაცხადა:

„მინდა, განვმარტო, რომ არა ვარ კომუნისტი ან ბოლშევიკი, მე ვარ აშკარა კაპიტალისტი და ინდივიდუალისტი... რუსეთი წინ მიდის იმ დროს, როცა ჩვენი ბევრი ქარხანა უმოქმედოდ დგას, და დაახლოებით სამი მილიონი ჩვენი მოქალაქე სასოწარკვეთილი ეძებს სამუშაოს. ხუთწლედს დასცინოდნენ და მის ჩაშლას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ხუთწლიანი გეგმის პირობებში გაკეთდა უფრო მეტი, ვიდრე დასახული იყო გეგმით. ყველა სამრეწველო ქალაქში, რომლებიც მე ვინახულე, გეგმის მიხედვით იქმნება ახალი რაიონები, ფართო ქუჩებით, რომლებიც გამწვანებულია ხეებითა და ბაღებით, დამშვენებულია ყველაზე უფრო თანამედროვე ტიპის სახლებით, სკოლებით, საავადმყოფოებით, მუშათა კლუბებით, აუცილებელი საბავშვო ბაგებითა და ბაღებით, სადაც ზრუნავენ მომუშავე დედების ბავშვებზე. ნუ ცდილობთ, არასაკმაოდ შეაფასოდ რუსეთის გეგმები და ნუ უშვებთ შეცდომებს იმ იმედით, რომ საბჭოთა მთავრობა შეიძლება დამარცხდეს. დღევანდელი რუსეთი არის მტკიცე სულისა და განსაცვიფრებელი აქტივობის ქვეყანა. მწამს, რომ რუსეთის მისწრაფებანი ჯანსაღია. შეიძლება, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ რუს ახალგაზრდებსა და მუშებს აქვთ ერთი რამ, რასაც დღეს, სამწუხაროდ, მოკლებულნი არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, სახელდობრ — იმედი".

იმავე 1932 წელს ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალი **„ნეიშენი"** წერდა: „რუსეთი იწყებს „მანქანებით აზროვნებას", რუსეთი ხის საუკუნიდან სწრაფად შედის რკინის, ფოლადის, ბეტონისა და მოტორების საუკუნეში".

ალბათ, ეს გამოთქმა ედო საფუძვლად **უინსტონ ჩერჩილის** მიერ 1959 წელს ლორდთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვას მიძღვნილს სტალინის 80 წლისადმი: **„სტალინმა ჩაიბარა კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით შეიარაღებული".**

სსრკ-ის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი სტალინი გახლდათ. სწორედ ამიტომ დაიდო მან უკიდეგანო ქვეყნის



**სტალინის სიბრძნემ და პირადმა მაგალითმა საბჭოთა ხალხს შეუძლებელი შეაძლებინა. იმხანად საბჭოთა ხალხის ნაწილი ვიყავით ჩვენც — ქართველები. ქართველი ხალხის გმირული წარსულის ჩანერგვა საბჭოთა ხალხის შეგნებაში მხოლოდ და მხოლოდ სტალინის დამსახურებაა, მისი ნიჭისა და ეროვნულობის შედეგია, მისმა მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა იდეოლოგიამ, ხალხებს სახელმწიფოებრიობის განცდა გაუჩინა და, თუ დღეს რუსეთის ფედერაცია ძლიერია, ეს სტალინური იდეოლოგიის ნარჩენია, რომელიც სტალინურმა კოჰორტამ შემოუნახა შთამომავლობას.**

მრავალმილიონიან ხალხის გულებში ბინა. სწორედ ამიტომ განაცხადა 1966 წელს მოსკოვში ჩამოსულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა: „სტალინი წარსულში არ წასულა, ის მომავალში გაითქვიფა".

თუკი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ენტონი იდენს** შეუძლია თქვას: „თუ წარმოვიდგენთ სიტუაციას, რომ მზის სისტემაში შემავალი პლანეტები იწყებენ მოლაპარაკებას, რომელზეც თითოეული პლანეტა თითო კაცით უნდა იყოს წარმოდგენილი, დედამიწიდან ეს მისია სტალინს უნდა დაეკისროს!", მაშინ რატომ არ შეიძლება, ქართველმა პოეტმა ან სახალხო მთქმელმა საქებარი სიტყვები მიუძღვნას თავისი მიწაწყლის შვილს და თავისი ერის უბრწყინვალეს წარმომადგენელს მსოფლიოში?!

და უძღვნიდნენ კიდეც!

როგორც ქართულ მწერლობაში, ასევე ქართულ ხალხურ პოეზიაში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი სტალინის პიროვნება, მისი დამსახურება საზოგადოების წინაშე, სახელმწიფოსა და ხალხისადმი სიყვარული და ერთგულება. დღეს გთავაზობთ სტალინზე შექმნილი ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებს, რომლებიც უდიდესი სიყვარულითა და სიამაყით არის წარმოთქმული და დაწერილი.

### სიმღერა სტალინზე

**იმ შენი მშობლის ჭირიმე,**
**ვინაც გიმღერა ნანაო,**
**ვინც თავის კალთით გაზარდა**
**ბელადი შენისთანაო.**

**შენ მოგვიპოვე ცხოვრება,**
**შექმენი ოქროს ხანაო,**
**თუ მტერმა რამე გაბედა**
**შენთვის მოვკვდებით თანაო!**

**გავაცამტვერეთ, ვინც იყო**
**ჩვენში ორგული, ფლიდია,**
**არტელში ძმობა შევფიცეთ —**
**შრომაში ერთად მიდიან.**

**ავიგეთ სკოლა, თეატრი**
**და მდინარეზე ხიდია,**
**დღეს ჩემი ოდის კედელი**
**სასახლესავით დიდია,**
**ოთახში ელნათური და**
**შენი სურათი ჰკიდია.**

**მშრომელი ხალხის იმედო**
**და მზეო ამომავალო,**
**თუ ფეხით დავეთრეოდი,**
**დღეს ავტობუსით დავალო!**

**როგორ გადიდო,**
**როგორ ვთქვა**
**შენის ადარი ლექსები ...**
**რომ შოთა იყოს ცოცხალი,**
**უთუოდ დავესესხები.**

**მე სამოცი წლის კაცი ვარ,**
**თითქოს მიწია სიბერემ,**
**მაგრამ მე ისევ ჯანზე ვარ,**
**მეც მიპყრობს სიბედნიერე;**

**მე ვაჟკაცობას ეხლა ვგრძნობ,**
**მე ეხლა მერჩის გულიო,**
**შენზე ლექსებსაც ვიმღერი, —**
**დარჩება ჩემი თქმულიო.**

**მოვხუცდი, მაგრამ ეს გული**
**კვლავ გადამექცა ახალად,**
**აწი რომც მოვკვდე, არ ვჩივი,**
**რაკი მოვესწარ ამ ხანას,**
**გულით სიცოცხლეს გისურვებ**
**ბელადს, ბრძენსა და ამხანაგს!**

სტალინურმა მზემ ფშავიც გაანათა. ჩარგალში ბელადის ბრძანებით უკვდავი ვაჟას სახლს-მუზეუმი გაიხსნა, გზა გაიყვანეს. ფშავი ელექტროენერგიამ გააკაშკაშა. ფშაველმაც მთიდან დასძახა:

### შენს დაძახილზე, ბელადო

**გიმღერი ერწოს მთებიდან**
**ფშაველი ენაწყლიანი**
**ბანს მეუბნება იორიც,**
**მდინარე ჩანჩქრებიანი.**
**გიმღერენ ივრის ჭალებიც,**
**მთა-საბადური ტყიანი,**
**გიმღერენ უფსკრულს ჩასული**
**ხევები სალი კლდიანი.**
**ყოფილი მოჯამაგირე,**
**წარსულში განამწარები,**
**მზეზე შენ გამომიყვანე,**
**გეტრფი და გეთაყვანები.**
**მითქვამს და ვიტყვი:**
**— ჩემფერთა**
**აღმზრდელო, გენაცვალები,**
**მინდა ყოველდღე გიმღერო,**
**რაც მაქვს ფიქრი და ძალები.**
**ამღერებულა ნიავი,**
**ტყის ფოთლებს**
**მოაშრიალებს,**
**იქ, სადაც მგელი ღმუოდა,**
**შრომის სიმღერა წკრიალებს,**
**ფშაური სისხლიც ადუღდა,**
**ჩვენი მთაც ჰქუხს**
**და გრიალებს,**
**შენს დაძახილზე, ბელადო,**
**ერთიც არ დაიგვიანებს!**

კახელს კი სალამური მოუმარჯვებია და ალაზნის ნაპირებიდან ეხმიანება დიდ ბელადს, მარჯვენას უქებს და ემადლიერება კოლექტივის გაძლიერების გამო:

### შენმა მარჯვენამ იცოცხლოს

**ალაზნის პირას დაგხვდები,**
**მეც სალამურით ტკბილითა,**
**ღამე მოვა და დავწვები,**
**ვერ დავიძინებ ძილითა.**
**რამდენი ციხე გინახავს**
**კარჩაკეტილი რკინითა;**
**ციმბირის გზებიც გითელავს**
**გადალესილი წვიმითა.**
**ფოლადო, მტერზე ნაცადო,**
**შაგყვარებიხარ იმითა,**
**შენ დაგვიწესე ცხოვრება,**
**კანონი ეხლანდელია.**
**გამრავლდა კოლექტივები,**
**გლეხობას გაუხარია,**
**ხალხის მტერსა და დუშმანსა**
**გულზე ედება ალია.**
**შენმა მარჯვენამ იცოცხლოს,**
**ზედ რომ ნათელი ჰფენია,**
**რამდენი კარგი რამ უთქვამ,**
**რამდენი დაიწერია.**

## თუკი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ენტონი იდენს შეუძლია, თქვას: „თუ წარმოვიდგენთ სიტუაციას, რომ მზის სისტემაში შემავალი პლანეტები იწყებენ მოლაპარაკებას, რომელზეც თითოეული პლანეტა თითო კაცით უნდა იყოს წარმოდგენილი, დედამიწიდან ეს მისია სტალინს უნდა დაეკისროს!“, მაშინ რატომ არ შეიძლება, ქართველმა პოეტმა ან სახალხო მთქმელმა საქებარი სიტყვები მიუძღვნას თავისი მიწა-წყლის შვილს და თავისი ერის უბრწყინვალეს წარმომადგენელს მსოფლიოში?!

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაგმრავლებოდეს ერთგული,**
**ამოგწყვეტოდეს მტერია!**

ქართველი კაცის უზადო ნიჭის, შეუდარებელი ალღოს, სინატიფისა და სიმშვენიერის სიმფონიაა ლექსი „სტალინი“.

### სტალინი

**არ მინდა ვოლგას გამსგავსო, —**
**მდორეა გაბლანტებული;**
**არც ამ ჩვენებურ არაგვსა, —**
**გიჟია, აქაფებული.**

**არც კლდე ხარ,**
**კაცის ურგები, —**
**სალია, უტარებელი.**
**იქნება ოკეანე ხარ,**
**ლაჟვარდით დამძიმებული;**

**ან ქარიშხალი, სპეროზას**
**კლდეებთან დაჭიდებული.**
**მაღალი მთების არწივო,**
**ცა მხრებით გაგიხევია,**
**გაგიკვეთია ღრუბლები,**
**მზე ქვეყნად დაგიბნევია.**

**მშრომელთა ბედის აკვანი**
**მზრუნველად დაგირწევია,**
**საბუდრად მილიონების**
**გულები აგირჩევია.**

**შენ ჩვენი აზრი, ფიქრი ხარ,**
**მიგვიძღვი, გულებს გვიალებ,**
**ჩვენი გრძნობა**
**და ცეცხლლი ხარ,**
**გულში იმედად ფრთხიალებ.**

**ჩვენი დროშა ხარ, მიიბრძვი**
**და კალთებს მიაშრიალებ,**
**თუ გზას გადავცდით,**
**დაგვიტევ**
**ძახილს არ დაგვიგვიანებ.**

**ჩვენი გული და გონება,**
**ჩვენი აზრების დენა ხარ;**
**უკუნეთ შუაღამეში**
**დილის მზის გამოჩენა ხარ.**

**ათასი წლისა მანძილის**
**ათ წუთში გამორბენა ხარ,**
**შენზე მღერიან მწყემსები:**
**ნეტავი თვალით გვენახა!**

ქვემოთ მოყვანილ ლექსში კი სახალხო მთქმელი ავშარა-აწყვეტილი ბედაურით დაჰქ-რის სტროფებს შუა და აღაფ-რთოვანებს მკითხველს.

### სიმღერა ბელადზე

**რამდენი სხივი დაღვრილი**
**მზეს სამყაროში ჰქონია,**
**რამდენ გადაშლილ სივრცესა**
**ის სხივი ჩაუკონია,**
**რამდენი ღამე პირშავი**
**რიჟრაჟით გაქარწყლებულა,**
**რამდენი მნათი ვარსკვლავით**
**ცის თაღი გაბრწყინებულა;**
**თოვლის რამდენი ფანტელი**
**ზეცას ფარფატით მომწყდარა,**
**რამდენი სახელრქმეული**
**არსი ამ ქვეყნად ამდგარა;**
**ხეზე რამდენი ფოთოლი**
**შემოდგომაზე დაცვივდა,**
**რამდენჯერ დასაბამიდან**
**ქვეყნად გათბა და აცივდა, —**
**იმდენუი ლექსის სჭირია**
**დიდი ბელადის სარდლობას,**
**იმდენი ტკბილი სიმღერა,**
**იმდენი ხალხის მადლობა,**
**იმდენი ქება დიადი,**
**იმდენი შემოძახება,**
**იმდენი სამო ჰანგებით**
**საკრავთა ახმიანება;**
**იმდენი ვაშა-დიდება**
**კაცობრიობის დამსხნელსა,**
**იმდენი შარავანდედით**
**შემკობა სარდლის სახელსა;**
**იმდენი წიგნი ძლიერი,**
**დიდი სარდლობის მნუსხველი,**
**წიგნის დამწერად უთვლელი**
**ვაჟა, აკაკი, რუსთველი.**
**რამდენი სხივიდ დაღვრილი**
**მზეს სამყაროში ჰქონია,**
**რამდენ გადაშლილ სივრცესა**
**ის სხივი ჩაუკონია, —**
**იმდენ წელს, დიდო სარდალო,**
**ყოფნას მზიურსა გინატრებ,**
**იმდენ წელს შენი ქვეყანა**
**სხივჩაუორობი ბრწყინავდეს!**

აი, კიდევ ერთი ნიმუში იმი-სა, როგორ გასდის „ზათქი და ზრიალი“ ლექსის სტროფებს, როდესაც ის მიზანში ხვდება:

### სიმღერა სტალინზე

**მთით მოვარდნილო ჩანჩქერო,**
**ნაჭედო სალი კლდითაო;**
**შენგან დათესილს მშრომელნი**
**დღეს ვიმღერით და ვმკითაო.**
**შენ, ხალხის ჭკუავ მაღალო**
**და სიბრძნევ დაუშრეტელო,**
**მიწის ამვსებო ბარაქით,**
**ხალხთა მზის გამომჭედელო,**
**მტრისთვის —**
**ჭექავ და ქუხილო,**
**მტრისთვის —**
**ზარო და ზანზარო,**
**ხალხთა ნუგეშო დიადო,**
**იმედო უზმაზარო!..**

**ამბობ და ... რასაც კი ამბობ —**
**სიმღერაც არის, სიბრძნეცა;**
**წინასწარ ზომავ მომავალს,**
**შედეგსას სწვდები, მიზეზსაც.**
**იტყვი და —**
**ხალხის სიტყვა ხარ,**
**იფიქრებ — ხალხის ნაქიქრი...**
**შენ გვყავდე**
**ხალხებს ნუგეშად,**
**მტერი? — თუნდ**
**მოგვდგეს ათი მხრით,**
**შემოვიბერტყავთ ნისლივით,**
**ავგრიალდებით ქართულად,**
**რადგან შენ გვყევხარ**
**ხალხების**
**იმედად და სიხარულად! ...**
**მტერი თუ ესპანეთს გვეძებს,**
**ან მაროკოში ვეგულვით,**
**თავიანთ კერებს**
**უფრთხილდნენ,**
**ჩვენ კერას ვყევართ**
**ერთგულნი!**
**ჩვენი გმირები, იცოდნენ,**
**მკერდით გვიდგანან**
**მცველებად,**
**მიხვდნენ: — შენს**
**ნაჭედ ქვეყანას**
**გმირები არ დაელევა! ...**
**გმირნი ვართ წიგნზე, კალამზე**
**დიდი სტალინის შვილები;**
**ახალ ქვეყანას ვაშენებთ**
**შენგან ნაზარდი წვრილები.**
**გმირნი ვართ მინდვრად,**
**ჰაერში,**
**ზღვით —**
**ზღვამდე გაფენილები;**
**გმირნი ვართ**
**შენგან ნაწრთობი,**
**შენგანვე დაფრენილები!**



## 1953 წელს საქართველოში გამოდიოდა 126 დასახელების გაზეთი და 23 ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი მილიონს აღემატებოდა. მოქმედებდა 641 საავადმყოფო 26 261 საწოლით, კურორტებზე კი მშრომელთა მომსახურეობას ეწეოდა 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი. გარდა ამისა, სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ევროპაში კვლავ არ გაჩნდებოდა ომის კერა, 1960 წელს საბჭოთა ადამიანს პური უფასოდ მიეღო

ხევსურეთში გზის გაყვანით გახარებული მელექსე, ასე გა-მოხატავს თავის სიხარულს:

### გვითხარი, ჩვენო სარდალო

**ყრილობა ჰქონდათ ხევსურთა,**
**იქ მასულიყო ბერია,**
**სულიაური თორღვაი**
**საუბარს ჩამოერია:**
**— გვითხარი ჩვენო სარდალო,**
**ხევსურს თუ გავა გზანია?**
**თუ დავესწრებით იმ დღესა,**
**შუა გაიჭრას მთანია?**
**ძნელია უგზოდ ცხოვრება,**
**მოწყვეტა ქვეყნად ბრალია,**
**მთას ქედს უხრიან ხევბსურნი,**
**როგორც ბატონსა ყმანია.**
**ჩვენც შაგეწევით, სარდალო,**
**ოღონდ ხმა დასწვდეს**
**თქვენია,**
**ხევსურ ინჟინერ გივარგის**
**გზის პლანი შაუდგენია.**
**ერთი მამასწრო იმ დღესა,**
**რომ გადმაივლის გზანია,**
**მე შოფრათ დავჯდე**
**რულზედა,**
**მაშინით შავძრა მთანია.**
**„— ხევსურნო! —**
**ამბობს სარდალი, —**
**ახლა მეც მინდა თქმანია,**
**გვეძახის გამარჯვებისკენ**
**თვით ჯიღაშვილის ხმანია:**
**„ხევსურეთ გზები გაიყვათ, —**
**სტალინმა დამაბარია, —**
**დააძმობილეთ ერთურთსა**
**მაღლა მთა, დაბლა ბარია“.**
**ვენაცვალები სტალინსა,**
**ჩვენი გუნების დარია,**
**კარგი ჰყოლია მოწაფეც,**
**უნარს უქებენ ძალიან.**
**სიტყვა და საქმე ერთი აქვს,**
**ჩვენი სისხლი და ძვალია,**
**მან დაგვამშვენა ხევსურნი**
**გამოგვიყვანა გზანია.**

როგორც ქვემოთ მოყვანი-ლი ლექსიდან ჩანს, ავტორი კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მონაწილე უნდა ყოფილიყო, რომელსაც შესვე-ნების პერიოდში ქართულ დე-ლეგაციასთან მისული სტა-ლინი მიესალმა, და ამით აღ-ფრთოვანებულმა ლექსი და-წერა.

### სიტყვას უსმენენ სტალინსა

**კრემლში შეყრილან მწემსები,**
**სიტყვას უსმენენ სტალინსა...**
**შევხედე, სერგო ვიცანი,**
**თითქოს არ მჯერა თვალისა.**
**ბოლოს ის გადამეხვია,**
**ძმურად ჩამკოცნა ლოყასა;**
**ჩემსკენ დაიძრა ბელადი,**
**თან მეგობრები მოჰყავსა.**

**ქართულად გამარჯობა თქვა,**
**თან ამბავს მკითხავს მთისასა:**
**— აღარ მღერიო, მთიელო,**
**სამშობლო ხევსურისასა?**

**— მე როდი მქონდა სამშობლო,**
**ლატაკს პირ მიწა მეყარა,**
**ეხლა კი ყველაფერი მაქვს, —**
**მიწა, სამშობლო, ქვეყანა.**

საცეცხლე წერტილში ჩამ-ჯდარი მთიელი შესვენების დროს წერილს წერს მთაში დარჩენილ ოჯახს და ტოლ-ამ-ხანაგებს:

### ომის ლექსი

**გამოდით, ყველამ ვიომოთ,**
**ბიჭებო, ჩვენი მხრისაო!**
**ვუჩვენოთ თავდამსხმელებსა,**
**რომ სისხლი გვიდგას**
**მთისაო.**

**ამ ლექსის გამომგონელი**
**ძელმიწურაში ზისაო,**
**გვერდს უდგას თავის**
**„მაქსიმა“,**
**თავზარდამცემი მტრისაო.**

**მოგესალმები, სამშობლოვ,**
**ქედებო ჩვენი მხრისაო,**
**ცივო წყაროო, ტრფიალო,**
**ნადენო ტინის კლდისაო.**

ომში წასულებს ზურგს ქა-ლები და მოხუცები უმაგრებ-დნენ, ისინი თავგამოდებუ-ლად მუშაობდნენ მესაქონლე-ობის ფერმებში, ბაღ-ვენახებ-ში, თუ ველ-მინდვრებზე. მი-უხედავად ხანგრძლივი და სი-სხლისმღვრელი ომისა ქვეყ-ნად შრომა და აღმშენებლობა არ შეწყვეტილა, რადგან პატ-რიოტიზმი სუფევდა არა მხო-ლოდ ბრძოლის ველზე, არა-მედ ზურგშიც.

აი, რას წერს ერთი მელექ-სე:

### სიმღერა

**მოხუცებული მწყემსი ვარ**
**მეძროხეობის ფერმისა,**
**ამცდა ის მწარე სიბერე**
**ბედშავი მამაჩემისა.**
**მწყემსად ვაბერებ**
**სიცოცხლეს**
**უენო სალამურზედა,**
**დავტკბები წიფლის გრილოში**
**დაყრილ ხბო —**
**ზაქის რულზედა.**
**მოვხუცდი,**
**მაგრამ არ ვტყდები,**
**კვლავ იმედი მაქვს თავისა,**
**სანამ არ გამძნელებია**
**მაღლა აწევა მკლავისა.**

**სიკვდილს არ ვნატრობ,**
**რათ მინდა,**
**ის თავისთავად მამნახავს,**
**ცოცხლად ხალხს**
**ვემსახურები,**
**მოვკვდები —**
**ხალხი დამმარხავს.**

**მე ვნატრობ ახალგაზრდობას,**
**ბრძოლით მტრის**
**გადალახვასა,**
**შრომის გმირული სახელით**
**დიდი სტალინის ნახვასა.**

სტალინისადმი მიძღვნილი ეს ლექსები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვ-რები უბრალო ადამიანების გულიდან ამონახეთქი სიტყ-ვებია, ეს არის დამოკიდებუ-ლება სტალინისადმი, რომელ-მაც ხალხის უდიდესი სიყვა-რული და პატივისცემა დაიმ-სახურა. სწორედ ამ სიყვარუ-ლითა და პატივისცემით დაი-წერა ეს და სხვა უამრავი ლექ-სი მსოფლიოს უდიდეს ადამი-ანზე და არა შეკვეთით და და-ძალებით...

სტალინის სიბრძნემ და პი-რადმა მაგალითმა, საბჭოთა ხალხს შეუძლებელი შეაძლე-ბინა. იმხანად საბჭოთა ხალ-ხის ნაწილი ვიყავით ჩვენც — ქართველები. ქართველი ხალ-ხის გმირული წარსულის ჩა-ნერგვა საბჭოელი ხალხების შეგნებაში, მხოლოდ და მხო-ლოდ სტალინის დამსახურე-ბაა, მისი ნიჭისა და ეროვნუ-ლობის შედეგია, მისმა მკაცრ-მა, მაგრამ სამართლიანმა იდ-ეოლოგიამ, ხალხებს სახელმ-წიფოებრიობის განცდა გაუ-ჩინა და, თუ დღეს რუსეთის ფედერაცია ძლიერია, ეს სტა-ლინური იდეოლოგიის ნარჩე-ნია, რომელიც სტალინურმა კოჰორტამ შემოუნახა შთამო-მავლობას.

ომის შემდგომ შინ დაბრუ-ნებული ტანკისტები ტრაქ-ტორებს მართავდნენ და ხნავ-დნენ ხოდაბუნებს, არტილე-რისტები სეტყვის ღრუბლებს დარაჯობდნენ და იცავდნენ ხალხის დოვლათს, მესანგრე-ებს გაჰყავდათ სარწყავი არ-ხები და კალაპოტს უცვლიდ-ნენ მდინარეებს, ჯარისკაცე-ბი ხდებოდნენ გმირი მევენა-ხეები, მეციტრუსეები, მესი-მინდეები და მეთამბაქოები. ერთმანეთს ცვლიდა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოცია-ლისტური შრომის გმირის სა-პატიო წოდებები. იქმნებოდა ფილმები, იწერებოდა ლექსე-ბი, მოთხრობები და რომანები მოწინავე ადამიანებზე. მწე-რალიცა და მისი გმირიც — ორივე თანაბრად იყვნენ ჩაბ-მული ქვეყნის აღმშენებლო-ბაში და მისი თავდაცვისუნა-რიანობის განმტკიცებაში...

## 1921–53 წლებში, სტალინის სიცოცხლეში, აშენდა და მწყობრში ჩადგა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი, აგრეთვე, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში; საქართველო გახდა მეტალურგიული, საავტომობილო, ხელსაწყოთა, ელექტროტექნიკური აპარატებისა და ავტომატიკის საშუალებათა მრეწველობის რესპუბლიკა, რომელიც აწარმოებდა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, კოქსს, მაგისტრალურ ელმავლებს, ურთულეს ლითონსაჭრელ ჩარხებს, ექსკავატორებს, ავტომანქანებს, ტრაქტორებს, მინერალურ სასუქებს და სხვ.

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩაეშალა „ამბოხი გემზე“ ქალბატონ მაიას, არ დაირღვა და არ დაიშალა საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეგ იყო მხოლოდ, რომ ამ უწყების 11 ვაკანტურ ადგილს, რომელთა დასაკავებლად ორი თვის წინათ კონკურსი იყო გამოცხადებული, ორი ვაკანსია დაემატა. არც მის სიძეს — ირაკლი ალასანიას გამოუვიდა „ჯანყი გურიაში“.**

# დუბეში



**ამბობენ, რომ მაია ფანჯიკიძეს თავის ყოფილ უწყებაში ზურგს უკან „ფანჯიიაქეს“ ეძახდნენ. სიყვარულით.**
**რამდენად მოქნეულ-მოსწრებული იყო ეს მეტსახელი, თქვენი განსასჯელია, ისიც, ამასთან ერთად, შაქარ-ყინულის რა დოზით იყო იგი დათაფლული.**
**ხოლო „ფანჯიიაქეს“ კოდური სახელის გამშიფრავი გასაღები, სპეციალისტების აზრით, ამ სახელმწიფო სტრუქტურაში დაფიქსირებული ფაქტია, კერძოდ ის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში მდგარი ხელმძღვანელობა ხუთ (ფანჯი) პერსონას ითვლიდა; მათგან ერთი (იაქე) მინისტრი გახლდათ; ოთხი დანარჩენი — მისი მოადგილეები: ზანკალიანი, ბერუჩაშვილი, ჯალაღანია, გურგენიძე.**

ფანჯი იაქე ნარდში გინდა გაგიგორებია, გინდა არა. ხელის გაცდენაა.

როგორც კი სიძე თავდაცვის მინისტრობიდან მოუხსნეს, გააგორა მაია ფანჯიკიძემ კამათელი:

— ქესტუუმ!

გადადგა. და მოადგილეებთან ერთად ტელეკამერების წინ პატარა დემარში მოაწყო, რომელიც უფრო ულიმღამო გამოვიდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო: ჩვენ მივდივართ!

დუბეში დაჯდა ნარდის პოლიტდაფაზე, ორი ხუთიანი: ერთი — „ნაცების“ სიმბოლო ხუთიანი, მეორე ფანჯი — ფანჯიკიძისა, რომელმაც თავისი „ნაცური“ შინაგანი არსი და ბუნება სრულიად გამოამჟღავნა ნოემბრის „სადღესასწაულო“ მოვლენების კვირაძალს: გადაუდგა „ნაციონალების“ დამმარცხებელ ხელისუფლებას იმ მოტივით, რომ მან (ხელისუფლებამ) უღალატა ევროატლანტიკურ კურსს.

„ნაცების“ „საფირმო“ ბრალდება გაითავისა.

ისინიც არ დარჩნენ ვალში და დასცხეს ტაში: დაიწყოო კოალიციის დაშლა!

მიშამ აიტაცა და მარგალიტების მორიგ დოზად დაუგო და დაუფინა 15 ნოემბრის მიტინგის მონაწილეებს (გადავჩვეულვართ თურმე, რადგან ყურს მოხვდა მისი „ძველბიჭური“ სლენგი):

„— ივანიშვილის საქართველო არის დაჩმორებული და გაბანძული, ჩვენი საქართველო კი არის ის, რაც ყოველთვის იყო — ამაყი, ღირსეული, განსაკუთრებული ქვეყანა“.

**საქართველო შენი არასოდეს ყოფილა, მიხეილ, არც — ივანიშვილის. შენი რაც არის, ცალკე გაგიმარტავენ.**

**საქართველო ვისია, ამის ცოდნა ღმერთს თუ აქამდე არ მოუცია, აწი ვერ ისწავლი.**

მიშას დაუკრეს ტაში „მიშა! მიშა!“ მიშისტებმა.

ლუსტრაცია ესაა.

გაგრძელება იმისა, რაც თავიანთ თავს დამართეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და რაც პრინციპულად მოსალოდნელი იყო, რადგან „ნაცბოლებთან“ მათი სულიერი ნათესაობა არც არასოდეს იყო დაფარულ-დამალული.

**მაია ფანჯიკიძე** საქართველოს ზეობის ხანაში (2004 წლიდან 2010 წლამდე) იყო: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდის სამეფოში.

არც **ალექსი პეტრიაშვილი** გრძნობდა თავს ცუდად: 2004 წლამდე აშშ-ში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს საელჩოს მთავარ მრჩევლად მუშაობდა, ამ დროიდან 2009 წლამდე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში.

ირაკლი ალასანიას კარიერული ბიოგრაფია იმდენჯერ გაიხსენეს, რომ გამეორებად არ ღირს.

მოკლედ, გალაღებულები იყვნენ და ბოლოს იმდენად მოსუქდნენ, რომ ერთი თხაკიკინასი არ იყოს, გამიშვით, მგელი უნდა ვიხმაროო.

**ალასანიას ჯგუფის ჩანაფიქრით (შეგიძლიათ, შეთქმულებიც უწოდოთ იმას, რაც გაითამაშეს), ირაკლი ღარიბაშვილი ფანჯიკიძე-პეტრიაშვილის კვალზე უნდა გადამდგარიყო. მას უკან მიჰყვებოდა კაბინეტის სრული შემადგენლობა; პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც ნაცპარტიიდან უმრავლესობაში, ან უმრავლესობის თანამოაზრე „დამოუკიდებელთა“ ფრაქციაში იყვნენ გაერთიანებულნი, მშობლიურ წიაღს დაუბრუნდებოდნენ, კოალიციის ნახევარი (მინიმუმ) უმცირესობაში გადაბარგდებოდა და მას უმრავლესობად აქცევდა.**

ეს უმრავლესობა ქვეყნის მთავრობაში თავის ხალხს დასვამდა და მკვდრეთით აღმდგარი „ნაცები“ თავზე დაგვასხდებოდნენ, რასაც მიჩვეულები ვიყავით ყველანი „ჩარეცხილთა“ კასტიდან.

ამიტომ დასცხეს ტაში ნაცებმა: „ამფერ, ჩვენო მაიაო!“.

თქვე კარგი დედ-მამის შვილებო, ამ ღალატის გასაშიფრად მაინც და მაინც მინისტრების გადადგომა იყო საჭირო? ქვეყანა ხედავდა, მთავრობის რა საოცნებო წევრებიც გყავდათ და თქვენ ვერ ამჩნევდით? თუ ხელს გაძლევდათ, რადგან კოაბიტაციაზე გქონდათ პირობა მიცემული?

ჰოდა, მოიმკეთ, რაც არ გინდოდათ.

თუ გინდოდათ?

ჯერ შიდა ამბოხი მოგიწყვეს მთავრობაში, შემდეგ აქცია რუსთაველზე.

კიდევ კარგი, არ გაუმართლათ. რადგან სხვა განწყობილებაა დღევანდელ საქართველოში ჯერ კიდევ.

„ეს ადამიანები არ იყვნენ მოწოდებულები, რომ სახელმწიფოსთვის ემსახურათ“, დავეთანხმოთ პრემიერს, მაგრამ უფლებაც დავიტოვოთ, პირში ვუთხრათ ჩვენი ეჭვი და სათქმელი, მინიშნებით მაინც.

ფრანგები ჰყვებიან: მუსიე პოლი საღამოობით სამსახურიდან შინ რომ ბრუნდება, კოსტუმს იხდის და კაბას იცვამს. დღისით ბანკში მუშაობს, საღამოთი — ლგბტელების კლუბში.

ბანკშიც და კლუბშიც ერთსა და იმავე კლიენტებს ემსახურებაო.

ვის ემსახურები, ესაა მთავარი და არა ტანსაცმლით ფერიცვალება.

ფანჯიკიძე გადადგა, მაგრამ მისი მოადგილეებიდან ერთიღა გაჰყვა მხოლოდ — ზანკალიანი.

ერთი — იაქე.

ხოლო ერთჯერ ერთი ერთია, რამდენიც გინდა გაიმეორო.

მოკლედ, ჩაეშალა „ამბოხი გემზე“ ქალბატონ მაიას, არ დაირღვა და არ დაიშალა საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეგ იყო მხოლოდ, რომ ამ უწყების 11 ვაკანტურ ადგილს, რომელთა დასაკავებლად ორი თვის წინათ კონკურსი იყო გამოცხადებული, ორი ვაკანსია დაემატა.

არც მის სიძეს — ირაკლი ალასანიას გამოუვიდა „ჯანყი გურიაში“. მოხსნეს თავდაცვის მინისტრობიდან. გულდათუთქულმა თანამშრომლებმა ტაშით გააცილეს ამაყად მიმავალი. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი, მარტოსულად თავი რომ არ ეგრძნო აწ უკვე ყოფილს, მოადგილეებიც გაუშვა „თავისუფალ ცურვაში“, ხოლო საკუთრივ მას მთავრობას ჩამოშორებული „ავანტიურისტის, უჭკუო და ამბიციური მინისტრის“ ტიტული უბოძა.

სამწუხაროა, რომ ასე უსახელოდ დაამთავრეს სახელმწიფო მოღვაწეობის კარიერა სახელოვანი მამების შვილებმა — ფანჯიკიძემ და ალასანიამ.

ბუნებამ ამჯერადაც შვილებზე დაისვენა.

თუ სიტუაცია დაავადდა თავად?!

ამით დავამთავრებდით ჩვენს ლინგვისტურ-მათემატიკურ ძიებებს ნარდის სამღერალ სივრცეში, რომ არა ალექსი პეტრიაშვილი, რომელმაც დატოვა პოსტი — ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის უწყების ხელმძღვანელის და ააელვარა პაროდისტისა და მოყვარულთა დასის მსახიობის საკუთარი ნიჭიერების აქამდე დაფარული მრავალფეროვნება.

ჯერ შევარდნაძეს მიბაძა — „დიქტატურა მოდის, დემოკრატიას საშიშროება ემუქრება, მე მივდივარ!“ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომას გაუსწორა მხარი, შემდეგ ოტელოს ცნობილი მონოლოგიდან წინადადების ნაგლეჯით გაგვამხიარულა: „მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა“.

ათქმევინეს.

წავიდა.

კიდევ ერთმა ვიღაცამ თქვა უარი რომელიღაც დიპლომატიურ თანამდებობაზე.

ეგ იყო და ეგ.

მოკლედ, ბუზი ხარს რქაზე დააჯდა — თუ გამძიმებ, ავფრინდებიო. — ვერც შენი დაფრენა გავიგე, ვერც აფრენას გავიგებო, — უპასუხა ლომა ხარმა.

იყვნენ — არ იყვნენ? — საკითხავი ესეც არ იქნებოდა, რომ არა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელმაც შეშფოთების შემცველი ორი განცხადებით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, ხოლო გეოგრაფიის (და საერთოდაც) სანიმუშო უცოდინარობით გამორჩეულმა ფსაკიმ დამწყები პოლიhტიკოსების „ლიკბეზის“ სახელმძღვანელოდან პრიმიტიული დებულებები წაგვიკითხა.

აშშ-ს თავისი გასჭირვებია: მოქმედი პრეზიდენტის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა და ამ პრობლემით დაკავებულმა სახელმწიფო დეპარტამენტმა ფსაკის მიანდო ჩვენი დამოძღვრა, რომელმაც კარგა ხნის წინათ გაცვეთილი მოწოდებით დაგვამუნათა: „ჩვენს ინტერესებში“ ყოფილა თურმე სტაბილურობის, ერთიანობის დემონსტრირება და შენარჩუნება, რომელიც ქვეტექსტით ყბადაღებულ კოაბიტაციას გულისხმობს.

მაგრამ ეს გაკვეთილი ჩვენ უკვე გავლილი გვაქვს.

სხვა გაკვეთილებიც გაგვივლია, მაგრამ ვაი, რომ არც დაგვიხსომებია, არც დასკვნები გამოგვიტანია.

**თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ საბურთალოს რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სააკაშვილის წარდგენისას ამომრჩევლებს უთხრა — ეს ახალგაზრდა კაცი თქვენი მომავალი პრეზიდენტიაო.**

**რით დამთავრდა ეს წარდგენა, რით გადაუხადა მადლობა გაპრეზიდენტებულმა მიშამ შევარდნაძეს, ცნობილია.**

2012 წლის 15 ოქტომბერს ირაკლი ალასანია ზუგდიდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად რომ წარადგენდა, ბიძინა ივანიშვილმა ამომრჩევლებს უთხრა:

„მეგრელ ხალხს(!) არ შერცხვება, თუ მას დაუდგება გვერდით“, რომ მას (ბიძინა ივანიშვილს) აქვს საფუძველი, ენდოს ალასანიას, რადგან „ის თავისუფლად შეძლებს ქვეყნის მმართველობასაც. სწორედ ასეთმა კაცმა უნდა მართოს ქვეყანა“.

რით დამთავრდა ეს წარდგენა, ვნახეთ და მოვესწარით.

**დავით გიორგაძე**

**P.S. კი არის ნარდი აზარტული თამაში, მაგრამ აჩქარება არ უხდება.**

**მოვლენების განვითარება პიკს გადასცდა. ვის დაუჯდება დუშაში, სულ მალე ვნახავთ, თუ კვლავ დუბეშის — ორი ხუთიანის გავლენით მონუსხულებმა უნდა ვიაროთ ევროატლანტიკური კომპასის მიერ ნაჩვენები შაშუბეშა კურსით?**

მსოფლიო

## ბრიტანელი ტერორისტი ქალი დონბასში მოკლეს



**დონბასში მოკლეს ბრიტანელი ტერორისტი ქალი, მეტსახელად „თეთრი ქვრივი“, რომელიც უკრაინელთა მხარეს იბრძოდა, — წერს ბრიტანული ტაბლოიდი Daily Mail-ი.**

30 წლის სამანტა ლიუტუეიტი, რომელსაც ინტერპოლი ეძებდა, სახალხო ლაშქრის სნაიპერის ტყვიით დაიღუპა. ოქტომბერში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ლიუტუეიტი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდა სირიაში.

ბოლო ხანს სამანტა — „თეთრი ქვრივი“ უკრაინის კონფლიქტში უკრაინელი მოხალისეების ბატალიონ „აიდარის“ მებრძოლების მხარდამხარ იბრძოდა. ტერორისტი ქალის ლიკვიადცია კი ქალაქ დებალცოვოსთან მოხდა. სამანტა ლიუტუეიტი ადრე ეილსბერიში (ბაკინგჰემფშირის საგრაფო) ცხოვრობდა. ახალგაზრდობაში მან ისლამი მიიღო და ცოლად გაჰყვა ჰერმეინ ლინდსეის, რომელმაც სამ თვითმკვლელ ტერორისტთან ერთად, 2005 წელს ლონდონის მეტროში ტერორისტული აქტი მოაწყო.

**პირდაპირ გეტყვით, გაოცებული ვარ ამ „ნაციონალების“ მოქმედებით. მესმის, რომ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვიან, მაგრამ ვერ გამიგია, იმ უბედურების შემდეგ, რომელიც მათ საქართველოს დამართეს, ამის სურვილი თავში როგორ მოსდით. ქართველები მეხსიერებადაკარგულები ხომ არ ვგონივართ?!**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დახვეწილი არამზადები არიან ეს «ნაციონალები»

**შიშს რომ დიდი თვალები აქვს, ცნობილია, მაგრამ „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო ეკრანის გამხმოვანებელ პაატა იაკობაშვილს თავისი დამსაქმებლების ისეთი შიში ჰქონია, რომ გაფართოებული თვალებით 15 ნოემბრის აქციის მონაწილეთა რაოდენობა „ასობით ათასი“ მოჩვენებია და, რაც მოჩვენებია, მსმენელ-მაყურებლებისთვის სინამდვილედ მიუსაღებია. შეეშალა, ვერ ამოიკითხა მონიტორიდან, თუ სიცრუის ტყემლის ხის ტოტზე ჩვენი შესმა მოინდომა ტყუილების დიდოსტატის — მიხეილ სააკაშვილის მეთოდების მდიდარი არსენალიდან — მაინც დაიჯერებენო? ერთნაირი ხელწერა აქვთ და გასაკვირი არაფერია. როგორ აფასებენ ჩვენი თანამოქალაქენი 15 ნოემბრის აქციას, იხილეთ ქვემოთ.**



**ანზორ მაისურაძე, უშიშროების გენერალ-მაიორი:**

— 15 ნოემბრის აქცია „ნაციონალების“ რეკლამირებისთვის რომ იყო მოწყობილი, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. „არა ექსპანსიას“ ლოზუნგი ისეთივე შირმა იყო, როგორც რუსეთზე „გამარჯვების დღესასწაული“, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის ომში საკუთარი მარცხის გადასაფარად და პრეზიდენტის სავარძლის შესანარჩუნებლად გამართა.

საკუთარი თავის რეკლამირებისა და რეაბილიტაციისთვის მოაწყო „ალქაჯთა ეს შაბაში“ სააკაშვილმა რუსთაველის პროსპექტზე.

მე იმან გამაკვირვა, თუ რა მოკლე მეხსიერება ჰქონიათ მათ: ის 9 წელიწადი, რომელიც მთელ ქვეყანას ახსოვს, როგორც კოშმარი, მალე დავიწყებიათ ან ჰგონიათ, რომ ხალხს სკლეროზი სჭირს.

9-წლიანი კოშმარი, გაჭირვება, შიში და უბედურება ერთ-ორ წელიწადში ვერ გამოსწორდება. გამორიცხულია ისევე, როგორც მძიმე ავადმყოფის ერთ დღეში გამოჯანმრთელება. 4-5 წელიწადი, თუ მეტი არა, გვჭირდება იმისთვის, რომ ფეხზე დავდგეთ.

დაბრუნების პრეტენზია „ნაცებს“ შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ შანსი ნულის ტოლია.

სააკაშვილი კანიდან ძვრებოდა, საწინააღმდეგო რომ დაემტკიცებინა. მისი გამოსვლა წმინდა წყლის დემაგოგია იყო. ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშიც არ მოუხდია. გამოდის და კიდევ ჭკუას გვარიგებს აქეთ.

სამარცხვინო იყო, რომ მისი ტელემჭერმეტყველების დროს დამსწრეთა ერთ ჯგუფს „მიშა! მიშას!“ აძახებინებდნენ.

**აქციაზე, რომელსაც დაარქმევენ „არა ანექსიას!“, შეიძლება ჩვენც მივიდეთ, მაგრამ არა მაშინ, როცა ამის ორგანიზატორები „ნაცები“ არიან. „არა ანექსიის!“ ავტორები და ორგანიზატორები, თუ ამის საჭიროება იყო, „მეოცნებეები“ უნდა ყოფილიყვნენ, კოალიციას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ინიციატორებად მიშისტები გამოვიდნენ და შეეცადნენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, თუმცა უშედეგოდ. ემოცია ეთერის დამთავრებისთანავე მინელდა.**

ვინ შევაშინეთ? — რუსები, რომლებიც აფხაზეთიდან ხვალვე გაიყვანენ ჯარს, თუ ცხინვალიდან?!

ერთი არაკი გამახსენდა.

ქალიშვილი დედას დაუძახებს:

— დედი, სიძე მოდისო.

— აბა, სადა, შვილო?

— მოგატყუეო.

— შენი თავი მოგიტყუებია, შვილო.

ასეა ამათი საქმე: საკუთარი თავი მოიტყუეს.



## «15 ნოემბრის აქციამ «ნაციონალების» სასარგებლოდ ნამდვილად არაფერი შეცვალა. პირიქით, გაღიზიანდა ძალიან ბევრი. მუშებს ვიცნობ, უბრალო რემონტიორებს. ისე არიან გამწარებული, რომ სადმე რომ შეხვდნენ, გაგლეჯენ ამ «ნაციონალებს»

**ზარბეგ ბერიაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი:**

— 75 წლის კაცი ვარ, მაგრამ ჩემი ქვეყნის ერთ ჯარისკაცად ჯერ კიდევ გამოვდგები. ამ გადასახედიდან ვუყურებ ჩემს სამშობლოს, მის ხვალინდელ დღეს: მყავს შვილები, მეზრდებიან შვილიშვილები და ჩემთვის სულერთი არ არის, როგორ საქართველოს დაუტოვებს მათ ჩემი თაობა.

**პირდაპირ გეტყვით, გაოცებული ვარ ამ „ნაციონალების“ მოქმედებით. მესმის, რომ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვიან, მაგრამ ვერ გამიგია, იმ უბედურების შემდეგ, რომელიც მათ საქართველოს დამართეს, ამის სურვილი თავში როგორ მოსდით. ქართველები მეხსიერებადაკარგულები ხომ არ ვგონივართ?!**

ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა თუთაშხიაში“ ერთ-ერთი მოხელე დაახასიათა, როგორც დახვეწილი არამზადა. ასეთები არიან ეს „ნაციონალები“ — დახვეწილი არამზადები. არც სული აქვთ, არც გული აქვთ, არც — სამშობლოს სიყვარული, არც — ადამიანების პატივისცემა. არც ჰქონდათ, არც აქვთ! თუ მათი მომხრე არ იყავი და ამას ხმამაღლა გამოხატავდი, ისეთ საქმეს „შეგიკერავდნენ“, რომ პატიმრობა გარანტირებული გქონდა.

ციხეებში კი რაც ხდებოდა, ყველამ ვიცით.

იყო ასე!

რას გვთავაზობენ ახლა ისეთს, რაც მომავალში საქართველოსთვის კარგი და სასარგებლო იქნება?

ნატოს?

მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ამის წინააღმდეგი ვარ. ახლავე აგიხსნით რატომაც:

**ნატო არის სამხედრო ბლოკი. ეს ალიანსი მთავარ მოწინააღმდეგედ რუსეთს განიხილავს. სხვა არავინ მიაჩნია სერიოზულ მოწინააღმდეგედ. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, თუ ოდესმე ომი დაიწყება ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის, საქართველო ბრძოლის ველად იქცევა და ჩვენგან არაფერი დარჩება.**

რაც შეეხება რუსეთს, ეს ცალკე და დიდი თემაა, ამიტომ ახლა მოკლედ ვიტყვი, რაგინდ რუსეთის აგენტად შემრაცხონ „ნაციონალებმა“: სანამ რუსეთის ხელაღებით ლანძღვას დაიწყებენ, წაიკითხონ საქართველოს ისტორია. განაცალკევონ კარგი და ცუდი ერთმანეთისგან, გააანალიზონ ისტორიული ფაქტები და ნათლად დაინახავენ, რომ, თუ ჩვენ დღეს ერი ვართ და სახელმწიფო გვქვია, თუ ჩვენ ფიზიკურად გადავრჩით, რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ! ცალ-ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დანაწილებულ-დაყოფილი ჩვენი ქვეყანა გადარჩებოდა საერთოდ?!

ახალ მთავრობას, ფაქტობრივად, არ მიეცა საშუალება თავისი კურსის განხორციელების: ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივი მმართველობის დონეზე უმრავლესობაში ისევ „ნაციონალები“ რჩებოდნენ და, როგორც შეეძლოთ, საბოტაჟს ეწეოდნენ.

სააკაშვილი მხოლოდ შარშან, 27 ოქტომბერს გავისტუმრეთ. მანამდე რჩებოდა პრეზიდენტის პოსტზე და ხან კანონპროექტებზე ვეტოს დადებით, ხან ბობოლა ბოროტმოქმედების შეწყალებით, ხან რითა და ხან როგორ ხელს უშლიდა ახალი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

ეს „ნაციონალები“ კი მოსდგნენ ახლებს და, აბა, რა გააკეთეთ და, აბა, რით გააუმჯობესეთ ცხოვრებაო ამ ორ წელიწადში?

ახლა ეს აქცია აიტეხეს: ევროპული კურსი და ევროპული კურსიო. კარგია ევროპულ დონეზე ცხოვრება, მაგრამ რა გააკეთეს, რით განავითარეს ჩვენი ეკონომიკა, როცა უბრალო სახაზავი, რომელიც ნებისმიერ „სახელგამში“ ეყარა, ბანგლადეშიდან შემოგვაქვს?! სპეციალურად მაქვს შენახული ასეთი სახაზავი, რომელსაც გარკვევით აწერია „ბანგლადეში“.

ლაყბობენ და მეტი არაფერი.

საბოლოო დარტყმა კი ისევ ბიძინა ივანიშვილისკენ მიდის, ირაკლი ღარიბაშვილისკენ, რომელსაც ამდენი ჩხიკინით საშუალებას არ აძლევენ, მშვიდად იმუშაოს. „ნაციონალები“ იქნებიან თუ ალასანიას გუნდი, რომელიც „ნაციონალების“ სიმღერას აძლევენ ბანს.

**15 ნოემბრის აქციამ „ნაციონალების“ სასარგებლოდ ნამდვილად არაფერი შეცვალა. პირიქით, გაღიზიანდა ძალიან ბევრი. მუშებს ვიცნობ, უბრალო რემონტიორებს. ისე არიან გამწარებული, რომ სადმე რომ შეხვდნენ, გაგლეჯენ ამ „ნაციონალებს“.**

მიშას ტყუილებმა ხომ ყველაფერს გადააჭარბა.

უწინ, ჩემს ბავშვობაში ანეკდოტები იყო გავრცელებული საქულას და გრიქულას შესახებ. იმათ გადააჭარბეს სააკაშვილმა და სააკაშვილისტებმა.

**მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

## «ნატო არის სამხედრო ბლოკი. ეს ალიანსი მთავარ მოწინააღმდეგედ რუსეთს განიხილავს. სხვა არავინ მიაჩნია სერიოზულ მოწინააღმდეგედ. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, თუ ოდესმე ომი დაიწყება ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის, საქართველო ბრძოლის ველად იქცევა და ჩვენგან არაფერი დარჩება»



## ჩეხეთის პრეზიდენტი: უკრაინისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევა უაზრობაა!

**სამოქალაქო ომის პირობებში უკრაინისთვის ნებისმიერი ეკონომიკური დახმარება სრული უაზრობაა, — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა.**

„მთავარია, გავაცნობიეროთ, რომ უკრაინაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, ჩვენ თავი უნდა დავანებოთ ოცნებას დახმარებაზე, რადგან სამოქალაქო ომის პირობებში ეკონომიკური დახმარება სრული უაზრობა და ფულის ფუჭად ხარჯვაა. არსებობს უკრაინის გაკოტრების რისკი. ეს რისკი რომ არ არსებობდეს, რამდენიმე თვეში დამყარდებოდა მშვიდობა და ამის წინაღობა სწორედ გაკოტრების რისკია. ყველაფერი ცუდი ჩვენი მტრების ბრალია, ამიტომ კიევმა მტრები უნდა მოძებნოს იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი არც არსებობენ. გაკოტრება ხომ ყოველთვის სხვების ბრალია,“ — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

## ქედაში მოზარდი გააუპატიურეს

**ქედის რაიონში მოზარდი გოგონას გაუპატიურების გამო მამაკაცი დააკავეს.**

შს სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმე 138-ე მუხლით აღიძრა, რომელიც 14 წლამდე ასაკის მოზარდზე სექსუალური ხასიათის ძალმომრეობას გულისხმობს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვა დეტალებზე არ საუბრობენ.

სამინისტროში აცხადებენ, რომ დაზარალებულს ექსპერტიზა ჩაუტარდება.

მსოფლიო



## ჩაკ ჰეიგელი: აშშ-ის არმია სამხედრო უპირატესობას კარგავს

**„შეერთებული შტატების არმია სამხედრო უპირატესობას კარგავს და შეიარაღების ახალი სისტემის განვითარებას საჭიროებს“, — განაცხადა პენტაგონის მეთაურმა.** ჩაკ ჰეიგელმა აღნიშნა, რომ რუსეთი და ჩინეთი სამხედრო ხარჯებს ზრდიან და შეიარაღების მოდერნიზაციას ახდენენ. პენტაგონის ხელმძღვანელმა შეიარაღების განახლების ახალი პროგრამა შეიმუშავა, რომელიც შეერთებულ შტატებს 21-ე საუკუნეში სამხედრო უპირატესობის შენარჩუნებაში დაეხმარება და ვაშინგტონი, პროგრამის განხორციელების შემდეგ, ახალ საფრთხეებთან გამკლავებას ეფექტიანად შეძლებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სექსუალური სამართალდამრღვევების თერაპია ანეკდოტია. ეს სფერო იქცა კერძო ბიზნესად და წარმატებით ვითარდება. ეს, უბრალოდ, ბიზნესია თავისი ანგარებიანი მოტივებით. და ყველაზე მთავარი აქ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, სიები და აღრიცხვები კი არა, სახლში, სკოლებში, ეკლესიაში, სინაგოგაში და ყველგან სწორი სექსუალური აღზრდაა.

# ბავშვთა სექსუალური ძალადობა ამერიკულად

**ახლახან მსახიობმა, რეჟისორმა და სცენარისტმა ლინა დანემმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „Not That Kind of Girl“ დაწერა, რომ ბავშვობაში თავის უმცროს დას ტუჩებში კოცნიდა და ცნობისმოყვარეობის გამო სხეულს უთვალიერებდა. ამის გამო მსახიობს საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდა მოუწია, მოგვიანებით კი მას ღია წერილი მისწერა ჯოშ გრეივენსმა, რომ „სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრი ბავშვი აჰყავთ აღრიცხვაზე იმის გამო, რაც ამ წიგნშია აღწერილი. სამხრეთ კაროლინის მკვიდრი ცხრა წლის ასაკში სამუდამოდ ჩაწერეს სექსუალურ მოძალადეთა სიაში და მუდმივად უნდა ატაროს სათვალთვალო GPS-მოწყობილობა. ამერიკის მრავალ შტატში არ არსებობს მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ადამიანების სექსუალურ მოძალადეთა სიაში შესაყვანად“. ამ წერილის ავტორი ტეხასელია და 12 წლის ასაკში იგი თავადაც აიყვანეს აღრიცხვაზე უმცროს დასთან უხამსი შეხების გამო.**



**იმ საბედისწერო ზაფხულს, 1999 წელს, ჯოში 12 წლის იყო. დედამ ორ უმცროს დასთან ერთად დატოვა და ბიჭი, სულ მცირე, ორჯერ შეეხო დას უხამსად. მშობლებმა მომხდარის შესახებ 2000 წელს შეიტყვეს, მეორე დღეს კი ბიჭი დააპატიმრეს**

ჯოშ გრეივენსი ახლა 25 წლისაა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც TexasObserver-მა მასზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, თვითონ კი სასამართლოში შეიტანა სარჩელი, ამოშალეს სექსუალურ მოძალადეთა სიიდან. ახლა იგი ოთხი შვილის მამაა და ამ დრომდეც აქვს ნასამართლეობა. საქმე ისაა, რომ გრეივენსი 13 წლის ასაკში სამწლი-ნახევრით ჩასვეს ციხეში, შემდეგ კი ოთხი წლის მანძილზე ვადამდე პირობითად გათავისუფლების რეჟიმში ცხოვრობდა.

**იმ საბედისწერო ზაფხულს, 1999 წელს, ჯოში 12 წლის იყო. დედამ ორ უმცროს დასთან ერთად დატოვა და ბიჭი, სულ მცირე, ორჯერ შეეხო დას უხამსად. მშობლებმა მომხდარის შესახებ 2000 წელს შეიტყვეს, მეორე დღეს კი ბიჭი დააპატიმრეს.**

როდესაც სამეურვეო ორგანოების აგენტები მივიდნენ ჯოშის სახლში, მის დას სთხოვეს, თოჯინაზე ეჩვენებინა, როგორ ეხებოდა ძმა. ამ დროს თავად ჯოში სახლის მეორე ბოლოში დედასთან და მამასთან ერთად იყო ოთახში, რომლის კარიც შერიფის მოადგილემ საგულდაგულოდ დაკეტა გასაღებით.

ბავშვმა მომხდარის შესახებ პირველად დედას უამბო. ვინაიდან ჯოშის დედა უაღრესად მორწმუნე ქალი იყო, გადაწყვიტა, რომ ბიჭს დახმარება სჭირდებოდა, მისი ქმედება ცოდვად მიიჩნია და მიმართა საზოგადოებრივ ქრისტიანულ ორგანიზაციას, რომელიც აღზრდისა და სხვა ოჯახური საკითხებით იყო დაკავებული, მაგრამ დედამ სულიერი მხარდაჭერისა და რჩევების ნაცვლად სულ სხვა სახის „დახმარება“ მიიღო — აღნიშნულმა ორგანიზაციამ სამეურვეო სამსახურებს მიმართა.

ციხემდე ჯოშს სახლში ასწავლიდნენ, ციხეში კი მან ნამდვილი „განათლების“ მიღება დაიწყო — ვინაიდან სექსუალური მოძალადეების თერაპიის კურსი დაენიშნა, სხვა 10-დან 14 წლამდე ბავშვებთან ერთად პირველივე გაკვეთილიდან ასწავლიდნენ ტრადიციული და არატრადიციული სექსის სახეობებს და ეს ყველაფერი ძალიან შორს იყო მის მიერ ჩადენილი დანაშაულისგან. ბავშვებს აიძულებდნენ, აღმზრდელის თანდასწრებით ეჩვენებინათ, თუ როგორ მოექცნენ თავიანთ მსხვერპლთ. ჯოშის შემთხვევაში საქმე შედარებით იოლად იყო — მან სხვა ადამიანის მაგალითზე აჩვენა აღმზრდელს, თუ როგორ ეხებოდა დას სხეულზე, მაგრამ ციხეში იყვნენ სხვა ბავშვებიც, რომელთაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ საკუთარ დებთან და ძმებთან და ისინი იძულებულნი იყვნენ, მთელი პროცესი პირდაპირ საკლასო ოთახის იატაკზე ეჩვენებინათ.

**ჯოში იხსენებს, რომ ციხის მცველი მამაკაცები მხოლოდ იმისთვის იყვნენ იქ, რომ ბავშვები ეცემათ, მცველი ქალები კი — მათთან სექსუალური კავშირებისთვის;** თუმცა ციხეში ზოგიერთი კარგი თანამშრომელიც ახსოვს. ჯოში სექსუალური დამნაშავეების საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მათ პირდაპირ უწოდებდნენ სექსუალურ დამნაშავეებს. ყველაზე დადებითი მომენტი ის იყო, რომ ბავშვებს იქ კითხვა შეეძლოთ და კითხულობდნენ კიდეც მთელი დღეების განმავლობაში, რადგან დროის უმეტეს ნაწილს კამერებში მარტოდმარტო გამოკეტილნი ატარებდნენ.

ეს ნამდვილი კამერები იყო ორმაგი გისოსებითა და მავთულხლართებით, რომლებსაც პოლიციელთა სპეცრაზმები იცავდნენ. ერთხელ, როდესაც ბავშვები „აჯანყდნენ“ — საჭმლის სროლა და ვაშლის წვენის შესხმა დაიწყეს მცველებისთვის, ამ უკანასკნელთ წიწაკისა და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, ადგილზე მივარდა ფარებით აღჭურვილი სპეცრაზმი.

მართალია, ჯოში ახლა სექსუალური დამნაშავეების სიაში აღარ არის, მაგრამ მისი სახელი მხოლოდ საჯარო სიიდან ამოშალეს; არსებობს მეორე, კონფიდენციალური სია, რომლიდანაც სახელი არ იშლება და რომლის გამოც ოდესღაც დამნაშავე ბავშვები სამუდამოდ დაკავშირებულნი არიან სამართალდამცავ ორგანოებთან — მათთან, ვისაც სექსუალური დანაშაულის შემთხვევაში ლოგიკა და გონიერება არ მოეკითხებათ. სამართალდამცავნი, უბრალოდ, არ არიან მზად ამ ყველაფრისთვის, ისინი ბავშვებს ისევე ექცევიან, როგორც ზრდასრულ სექსუალურ დამნაშავეებს და ეს მართლაც საარაკო მოვლენაა.

**რაც შეეხება ჯოშის დას, მას ახლა ძმასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს და როგორც ამბობს, ყველაზე დიდი ტრამვა არა ძმისგან, არამედ იმ სისტემისგან მიიღო, რომელმაც მისი ძმა ციხეში გამოკეტა. რაც კიდევ უფრო უარესია, იგი ყველაფერში დამნაშავედ საკუთარ თავს მიიჩნევდა, რადგან მათ ოჯახს ტრაგედია სწორედ მას შემდეგ დაატყდა თავს, რაც მომხდარის შესახებ დედას უამბო.**

ახლა ჯოში იხსენებს, რომ სახლში მისი დაბრუნება სწორედ „დაზარალებულ“ დას გაეხარდა და შეუსრულდა თუ არა 18 წელი, გოგონამ თვითონ მიმართა სასამართლოს სექსუალური დამნაშავეების სიიდან ძმის ამოსაშლელად. ჯოში ტეხასში იზრდებოდა, როგორც ამბობს, მის ოჯახში ბავშვებს ბიბლიას ზეპირად ასწავლიდნენ. მის ირგვლივ სექსი სამარცხვინოდ ითვლებოდა და ყველა მალავდა.

ბავშვთა სექსუალობა დანაშაულად განიხილება და ცნობილია შემთხვევა, როდესაც ორი 12 წლის ბავშვი ერთმანეთთან სექსის გამო აიყვანეს აღრიცხვაზე და ერთმანეთის მსხვერპლად გამოაცხადეს.

ჯოში ახლა იმედოვნებს, რომ ოდესმე მისი ქვეყანა იტყვის: „თუ შენ ჯერ არ ხარ 18 წლის, არ შეგიყვანთ სექსუალურ დამნაშავეთა სიაში და არ აგიყვანთ აღრიცხვაზე. ეს სამართალდამცავების საქმე არაა“. მისივე განცხადებით, **„სექსუალური სამართალდამრღვევების თერაპია ანეკდოტია. ეს სფერო იქცა კერძო ბიზნესად და წარმატებით ვითარდება. ეს, უბრალოდ, ბიზნესია თავისი ანგარებიანი მოტივებით. და ყველაზე მთავარი აქ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, სიები და აღრიცხვები კი არა, სახლში, სკოლებში, ეკლესიაში, სინაგოგაში და ყველგან სწორი სექსუალური აღზრდაა.** მომხდარი მთელი სიცოცხლის მანძილზე თან მდევს, ამან გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ჩემზე, არამედ იმაზეც, თუ ვინ გავხდი“...

salon

# ფსიქიკურად დაავადებულ ბავშვებს ციხე ემუქრებათ

**ბრიტანეთში — ნორფოლკში, გემპშირსა და დევონში — არ არსებობს არანაირი საავადმყოფო ან ფსიქიატრიული კლინიკა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა 16 წლამდე ასაკის იმ ბავშვების დროებით განთავსება, რომლებიც, პოლიციის აზრით, ფსიქიკური პრობლემების გამო საფრთხეს წარმოადგენენ საკუთარი თავისთვის ან ირგვლივ მყოფთათვის, ამიტომ მათ ციხის კამერებში ან პოლიციის ავტომობილებში საათობით ამწყვდევენ.**

მართალია, ადგილობრივ ხელისუფლებებსა და პოლიციელებს უფლება აქვთ, ზემოხსენებული მიზნებისთვის ფსიქიატრიული კლინიკები ან ჩვეულებრივი საავადმყოფოები გამოიყენონ, მაგრამ იქ ან ადგილი არ კმარა, ან — მომსახურე პერსონალი. ადგილი რომც მოიძებნოს, ჩნდება სხვა პრობლემები, რადგან პაციენტები სახლიდან შორს არიან, გვერდით არ ჰყავთ ოჯახის წევრები, მეგობრები და ექიმები, რომლებიც იცნობენ მათ.

რუკები, რომლებზეც აღნიშნულია, თუ რომელ საავადმყოფოებსი შეიძლება 16-წლამდე ასაკის ფსიქიკურად კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მოთავსება, პირველად გამოქვეყნდა. ოფიციალური პოლიციური სტატისტიკა აჩვენებს, რომ გასულ წელს პოლიცია საკუთარ კამერებს იყენებდა ფსიქიური ჯანმრთელობის შესახებ კანონის 136-ე მუხლის საფუძველზე დაკავებული ბავშვებისა და მოზრდილებისთვის.

წლის დასაწყისიდან ორი თვის განმავლობაში დარეგისტრირებული 23 000 შემთხვევიდან ყოველი მეოთხე მთავრდებოდა დაკავებულთა პოლიციის კამერებში გამოკეტვით. 753 ინციდენტის მონაწილენი 18 წლამდე ასაკისანი იყვნენ და მათგან 236 პოლიციაში აღმოჩნდა „დაპატიმრებული“. ამასთან, კანონში აღნიშნულია, რომ ამგვარი ზომები მხოლოდ საგანგებო გარემოებების შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.



„კრიზისულ ფსიქიკურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები პრინციპში არ უნდა ხვდებოდნენ საავადმყოფოს ნაცვლად პოლიციის განყოფილებებში“, — ირწმუნება საავადმყოფოების მთავარი ინსპექტორის მოადგილე და მოვლის ხარისხის მაკონტროლებელი კომისიის მთავარი სპეციალისტი დოქტორი პოლ ლელიოტი.

ჯანდაცვის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი და საერთო პრაქტიკის ყოფილი ექიმი სარა უოლასტონი კიცხავს იმ საავადმყოფოებს, რომლებიც განკუთვნილნი არიან მოზრდილებისთვის და ამის გამო უარს აცხადებენ ბავშვების მიღებაზე. „ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება, რომ ვინმეს პოლიციის განყოფილების კამერა საავადმყოფოზე უფრო შესაფერის ვარიანტად მოეჩვენოს“, — განაცხადა მან.

ყოფილი პოლიციელის, ექსპერტ-კრიმიმალისტის განცხადებით, ბავშვები კამერებში მხოლოდ მათ შეიძლება გაამწესონ, ვინც ამ კამერებში არასდროს მოხვედრილან, განსაკუთრებით ღამით. იქ ყოფნა საშიშია და რას იგრძნობს ბავშვი, რომელსაც ისედაც მძიმე და სახიფათო ფსიქიური მდგომარეობა აქვს?

„ფსიქიკური დაავადებების ხელახალი გააზრების“ საკონსულტაციო სამსახური გმობს ჯანდაცვის სისტემის იმ დაწესებულებათა ქმედებებს, რომლებიც ავადმყოფებს არ იღებენ და ირწმუნებიან, რომ ისინი მთვრალები ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ არიან. ლელიოტი კი დასძენს, რომ ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ მსგავსი მოპყრობის შემთხვევაში მთელი ქვეყანა აღშფოთებული იქნებოდა.

TheGuardian



„კი, ხელისუფლება რესპუბლიკელების ხელში გადავიდა, მაგრამ კაპიტოლიუმის ბორცვის ფილოსოფია არ შეცვლილა. ხელისუფლება, რომელიც მილიტარისტულ-სოციალურ წყობას უჭერს მხარს, ამ დრომდეც მშვენივრად გრძნობს თავს ვაშინგტონში.“

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რონ პოლი: აშშ-ში მილიტარისტულ-სოციალური წყობა განმტკიცდება

**ყოფილი კონგრესმენი და „ჩაის სმის მოძრაობის“ ერთ-ერთი დამაარსებელი რონ პოლი მიიჩნევს, რომ აშშ-ის სენატის კონტროლის სტრუქტურაში ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ამას მასმედიის საშუალებები წარმოაჩენენ.**

შეგახსენებთ, აშშ-ის დემოკრატიულმა პარტიამ დამანგრეველი მარცხი განიცადა ამერიკის კონგრესის შუალედური არჩევნებისას და სენატზე კონტროლი დაკარგა წარმომადგენლობით პალატაში ადგილების დაკარგვის ფონზე.

8 წლის მანძილზე პირველად აშშ-ის კონგრესში კონტროლი სრულად რესპუბლიკური პარტიის ხელშია, პარტიისა, რომელმაც მოახერხა, მიეღო არა მხოლოდ სენატზე კონტროლისთვის აუცილებელი დამატებითი 6 ადგილი, არამედ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა და დააგროვა შვიდი ხმა, რაზეც კენჭისყრის წინასწარი მონაცემები მეტყველებს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, რონ პოლის შეხედულებით ეს ცვლილებები ვერ განაპირობებს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას ან მნიშვნელოვან ცვლილებებს შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაში.

„კი, ხელისუფლება რესპუბლიკელების ხელში გადავიდა, მაგრამ კაპიტოლიუმის ბორცვის ფილოსოფია არ შეცვლილა. ხელისუფლება, რომელიც მილიტარისტულ-სოციალურ წყობას უჭერს მხარს, ამ დრომდეც მშვენივრად გრძნობს თავს ვაშინგტონში.

ბევრი აკრიტიკებდა სოციალურ ქსელში ჩემს კომენტარს: „რესპუბლიკური კონტროლი სენატში აღნიშნავს არაკონსერვატიული ომების გაფართოებას სირიასა და ერაყში. ჯარისკაცების ჩექმების ხმა უკვე ისმის“. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდები იმაზე მალე დადასტურდა, ვიდრე მოველოდი. **შუალედური არჩევნების ჩატარებიდან სულ ცოტა ხანში პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ საჭიროა ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობის გაორმაგება სირიასა და ერაყში და კონგრესმენებს სთხოვა, სამხედრო ოპერაციის დაფინანსება 5,6 მილიარდით გაეზარდათ.**

ობამამ ასევე განაცხადა, რომ დაიწყებს საშუალებების ძებნას ერაყსა და სირიაში სამხედრო ძალის გამოსაყენებლად უფლებამოსილების გასაზრდელად. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიის შეცვლა საჭიროა არა მხოლოდ უახლოესი ორი თვის, არამედ გრძელვადიანი პერიოდისთვის. ეს ფრაზები უსასრულო ომისაკენ მიმავალ გზაზე ჯარისკაცების ჩექმების ხმასავით ჟღერს.




დემოკრატები სენატში ეჯიბრებოდნენ რესპუბლიკელებს, თუ ვინ უფრო ძლიერად დაიჟინებდა აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, მაგრამ რესპუბლიკელების გამარჯვება და ნეოკონსერვატორებს შორის ყველაზე საომარი განწყობის მქონეების — ჯონ მაკკეინის მსგავსების — საკვანძო თანამდებობებზე განლაგება განაპირობებს იმას, რომ პრეზიდენტის თხოვნაზე ისინი წამოაყენებენ ერაყში ახალი შეჭრის გეგმას დიდი რაოდენობით ჯარისკაცებისა და იარაღის მონაწილეობით.

**შუალედური არჩევნების ჩატარებიდან სულ ცოტა ხანში პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ საჭიროა ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობის გაორმაგება სირიასა და ერაყში და კონგრესმენებს სთხოვა, სამხედრო ოპერაციის დაფინანსება 5,6 მილიარდით გაეზარდათ**





უფრო მეტიც, რესპუბლიკელებმა სენატში გამოხატეს სურვილი, გაგრძელდეს ცივი ომის აღორძინება. ისინი მოითხოვენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შენარჩუნდეს იმის მიუხედავად, რომ მათი მიზეზი — მალაიზიური ლაინერის დაღუპვაში მონაწილეობის ბრალდება — ტყუილი აღმოჩნდა. მათ სურთ უკრაინაში იარაღის გაგზავნა ხელისუფლების მხარდასაჭერად, რომელიც უკრაინის აღმოსავლეთში დიდი რაოდენობით სამოქალაქო მსხვერპლს გამოიწვევს. რუსეთის მიმართ მათი სახიფათო პოლიტიკა გულისხმობს ცივი ომის ტრანსფორმირებას „ცხელ“ ომად, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

თუ ვისაუბრებთ საშინაო პოლიტიკაზე, არ მაქვს იმედი, რომ აშშ-ის განახლებული კონგრესი შეძლებს ხარჯების შემცირებას. უფრო სავარაუდოა, რომ რესპუბლიკელები მხარს დაუჭერენ სოციალური ხარჯების მკვეთრ გაზრდას, რადგან ის სამხედრო ხარჯების ექვივალენტურია. ეს არის ის, რასაც ვაშინგტონში კომპრომისს უწოდებენ.

tehnowar.ru

**აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, უცხოური ჯარების შეიარაღება იშვიათად ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კონფლიქტის საერთო შედეგებზე.**

# ცსს-ს შიდა ანგარიში: ინტერვენცია უეფექტოა

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათი სტრატეგიებიდან ერთ-ერთი უმთავრესი — უცხოური ჯარების შეიარაღება და მომზადება ქვეყანაში ინტერვენციისთვის — არაეფექტურია.

ანგარიში ამ დრომდეც გასაიდუმლოებულია, მაგრამ, NewYorkTimes-ის ინფორმაციით, ამ ანგარიშში წერია, რომ უცხოელი ამბოხებულების მომზადება მინიმალურ გავლენას ახდენს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგებზე.

შემოწმება პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაუკვეთა 2012-2013 წლებს შორის პერიოდში იმის გასარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილია აშშ-ისთვის სირიელი ამბოხებულების გაწვრთნა პრეზიდენტ ბაშარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2013 წლის აპრილში ობამამ ცსს-ს მისცა უფლებამოსილება, დაეწყოთ სირიელი ამბოხებულების მომზადება იორდანიის ბაზაზე. ბედის ირონიით, სირიული ჯარი ახლა იბრძვის ისლამური სახელმწიფოს ბოევიკების — ალ-ასადის მტრების წინააღმდეგ, თუმცა სამომავლოდ მათთვის გამიზნული როლი ჯერაც არაა საბოლოოდ ცნობილი.

NewYorkTimes-ი აქვეყნებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალი რანგის თანამშრომლის ციტატას: „ერთ-ერთი, რისი გაგებაც ობამას სურდა, არის, — მუშაობდა თუ არა ეს პრაქტიკა ოდესმე“.

ასევე ანონიმურმა ჩინოვნიკმა დასძინა, რომ კვლევის შედეგები საკმაოდ უიმედო იყო.




1947-ში, თავისი დაარსების მომენტიდან, ცსს-მ შეადგინა სხვა ქვეყნებში წარუმატებელი შეჭრის გრძელი სია და ამ ქმედების მიზეზი, ძირითადად, მემარცხენე ხელისუფლებების დამხობა იყო.

1946-დან 1984 წლამდე აშშ მართავდა ამერიკების სკოლას — პანამაში არსებულ სპეციალიზებულ დაწესებულებას, რომელშიც ლათინოამერიკელ ჯარისკაცებსა და პოლიციელებს პარტიზანებთან ბრძოლას ასწავლიდნენ.

ამ სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებული ცნობილია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულით ლათინოამერიკულ ქვეყნებში დიქტატურების პერიოდში.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინტერვენცია აშშ-ის მხრიდან კუბაში ჩატარებული ოპერაცია იყო სახელწოდებით „ღორების ყურე“. მაშინდელი პრეზიდენტის — ჯონ კენედის ხელისუფლებამ შეაიარაღა კუბელი ამბოხებულები, რათა ისინი თავს დასხმოდნენ ფიდელ კასტროს 1961-ში, მაგრამ კასტროს არმიამ მთლიანად გაანადგურა ამბოხებულები და ახლა ეს ოპერაცია ცსს-ს ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს წარუმატებლობად ითვლება.

რონალდ რეიგანი პრეზიდენტობისას შეიჭრა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ანგოლა, ავღანეთი, ნიკარაგუა და შედეგები, ერთი მხრივ, უმნიშვნელო იყო, მეორე მხრივ კი — სასიკვდილო.

ამერიკის შეჭრით კიდევ უფრო გაძლიერდა შეიარაღებული ძალები, რომლებიც შემდგომში თავად აშშ-ს დაუპირისპირდნენ. ავღანეთში იარაღი მოჯაჰედების ხელში აღმოჩნდა, მათ კი მოგვიანებით ჩამოაყალიბეს „ალ ქაიდას“ ბირთვი და ავღანეთი 11 სექტემბრის ტერაქტების დასაგეგმ ბაზად გამოიყენეს.

ასევე, მრავალი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ სირიული დაჯგუფებებისთვის განკუთვნილი იარაღი ამჟამად, დიდი ალბათობით, „ალ ქაიდასა“ და ისლამური სახელმწიფოს ბოევიკების ხელშია.

MixedNews

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანეთის არმია შემადგენლობის შემცირებას გეგმავს — 1990 წელს მისი რიცხოვნება 120 000 ადამიანს შეადგენდა, 2020 წელს კი მხოლოდ 82 000 იქნება. ფრანგული არმიის რიცხოვნება 1996 წელს 236 000 იყო, უკვე შემცირდა 119 000-მდე. სახმელეთო ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება გერმანიის არმიის შემადგენლობაში შეიმჩნევა — 1990 წლის 360 000-იანი მაჩვენებლიდან 62 000-მდე დავიდა.**

# პლანეტის ხუთი უძლიერესი არმია

**დედამიწის უძლიერესი სახმელეთო ჯარების რეიტინგის შედგენა არც თუ ისე იოლია. ყველა ქვეყანას თავისი უნიკალური სიტუაცია აქვს უსაფრთხოების სფეროში და სწორედ ეს განსაზღვრავს კიდეც მთლიანად შეიარაღებული ძალების, კერძოდ კი სახმელეთო ჯარების, შემადგენლობას. გეოგრაფიული, პოლიტიკური, დიპლომატიური და ფინანსური საკითხები განსაზღვრავს, ესა თუ ის ქვეყანა რამდენად არაკეთილსაიმედო გარემოშია.**

ცივი ომის დასრულებამ მოიტანა მძიმე სამხედრო ძალის აღმოსავლეთით გადანაცვლება. **ბრიტანეთის არმია შემადგენლობის შემცირებას გეგმავს — 1990 წელს მისი რიცხოვნება 120 000 ადამიანს შეადგენდა, 2020 წელს კი მხოლოდ 82 000 იქნება. ფრანგული არმიის რიცხოვნება 1996 წელს 236 000 იყო, უკვე შემცირდა 119 000-მდე. სახმელეთო ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება გერმანიის არმიის შემადგენლობაში შეიმჩნევა — 1990 წლის 360 000-იანი მაჩვენებლიდან 62 000-მდე დავიდა.**

ამავე დროს, აზიის ზოგიერთი ქვეყნის არმია მნიშვნელოვნად აჭარბებს ნახევარმილიონიან შემადგენლობას. მათ შორისაა ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთი კორეა და ჩინეთი. ხსენებას იმსახურებენ ასევე მიანმე, ირანი და ვიეტნამი, რადგან სამივე მათგანი ფლობს არმიებს, რომელთა შემადგენლობაში გერმანიის სახმელეთო ჯარის შემადგენლობაზე ხუთჯერ მეტი ადამიანია.

რიცხობრივი შემადგენლობა უმთავრესი მაჩვენებელი არ არის: ჩრდილოეთ კორეის სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში, ზოგიერთი შეფასებით, 950 000 ადამიანია, მაგრამ ჩრდილოკორეული არმია უკვე დაბერდა და არ შეუძლია კორეის ნახევარკუნძულის მიღმა სახმელეთო საომარი ძალის პროეცირება. მაგრამ ყველა პრობლემის გადაჭრას მხოლოდ ტექნოლოგიებიც ვერ უზრუნველყოფს.

შეუძლია თუ არა გერმანიის 62-ათასიან არმიას, დაამარცხოს ინდოეთის 1,1-მილიონიანი ჯარი? შესაძლოა, არ ღირდეს სახმელეთო ჯარების შეფასებისადმი ამგვარი მიდგომა. თუ ორ არმიას შევუცვლით ადგილს, მათი მფლობელი ქვეყნებიდან არც ერთის მოთხოვნები და საჭიროებები აღარ იქნება დაკმაყოფილებული. ყველაფერი ზემოხსენებულის გათვალისწინებით მაინც შეიძლება დასახელდეს ჩვენი პლანეტის ხუთი უმძლავრესი სახმელეთო ჯარი.

## ამერიკის შეერთებული შტატები

სახმელეთო ჯარების მხრივ აშშ ლიდერია. მისი არმიის შემადგენლობაში შედის 535 000 ჯარისკაცი, რომელთაგან ბევრს საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს. მათ ეხმარება თანამედროვე აღჭურვილობა, რომელიც უახლესი მიღწევების გამოყენებით მზადდება, ასევე, საიმედო ლოჯისტიკური სისტემა. ამერიკას ჰყავს მსოფლიოში ერთადერთი სახმელეთო ჯარი, რომელსაც შეუძლია, რამდენიმე დივიზიის შემადგენლობით ჩაატაროს საომარი ოპერაცია საკუთარი ნახევარსფეროს საზღვრებს მიღმა.

აშშ-ის სახმელეთო ჯარების საფუძველს წარმოადგენს ათი საბრძოლო დივიზია, რომელთაც ზურგს უმაგრებს სამხედრო ბრიგადების უმნიშვნელო რაოდენობა. ყველა დივიზიის შემადგენლობაშI შედის სამი ჯავშანსატანკო ბრიგადა, მექანიზებული ქვეითთა ბრიგადა, მსუბუქ ქვეითთა ბრიგადა, საბრძოლო ჯავშანმანქანების ბრიგადა, საჰაეროსადესანტო ბრიგადა და საჰაერო-საშტურმო ბრიგადა, ასევე, ერთი საავიაციო და ერთი საარტილერიო ბრიგადა. საერთო შემადგენლობით დივიზიაში შედის 14 000-დან 18 000-მდე სამხედრო მოსამსახურე.

აშშ-ის სახმელეთო ჯარები ჯერ კიდევ ემყარება შეიარაღების სისტემას სახელწოდებით „დიდი ხუთეული“ (Big 5), რომელიც კარტერი-რეიგანის მმართველობის წლებში შემუშავდა. მის შემადგენლობაშია ძირითადი საბრძოლო ტანკი „M1 Abrams“, ქვეითთა საბრძოლო მანქანა „M2 Bradley“, დამრტყმელი ვერტმფრენი „AH-64 Apache“, ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემები „M 270“ და საზენიტო-სარაკეტო დანადგარი „Patriot“ — ყველა მათგანი, უკვე 30 წელია, მწყობრშია და გამანადგურებელი შესაძლებლობების შენარჩუნება ღრმა მოდერნიზაციის საშუალებით ხორციელდება.


აშშ

ამერიკული ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სპეცდანიშნულების ძალები და „კომანდოსის“ ტიპის დივერსიულ-სადესანტო ტიპის ქვედანაყოფები. აშშ-ის არმიის სპეცდანიშნულების ძალებში გაერთიანებულია რეინჯერების სამი დივერსიულ-სადაზვერვო ბატალიონი, სპეცდანიშნულების შვიდი ჯგუფი, შემადგენლობით ბრიგადის მსგავსი სპეციალური ოპერაციების 160-ე საავიაციო პოლკი, ასევე სპეცდანიშნულების რაზმი „დელტა“. სპეციალური ოპერაციების მხოლოდ მეთაურობის საერთო რიცხოვნება აშშ-ის არმიაში 28 500 ადამიანს ითვლის.

## რუსეთის არმია

რუსეთის სახმელეთო ჯარი საბჭოთა არმიის ნაწილებისგან ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991-ში მრავალი ქვედანაყოფი პირდაპირ რუსეთის არმიის შემადგენლობაში გადავიდა. ახლა ეს ჯარი იღებს და, არსებული გეგმების თანახმად, მომავალშიც მიიღებს დიდი რაოდენობით ახალ და თანამედროვე აღჭურვილობას.

რუსეთის სახმელეთო ჯარის შემადგენლობაში 285 000 ადამიანია. ეს არმია საკმაოდ კარგადაა აღჭურვილი და მექანიზებული. მიუხედავად ამისა, რუსეთის ტერიტორიის სიდიდიდან გამომდინარე, ითვლება, რომ სახმელეთო ჯარების კონცენტრაცია არც თუ ისე დიდია.

მიუხედავად შედარებით მცირერიცხოვნებიდა, რუსეთის სახმელეთო ჯარს მნიშვნელოვანი საომარი გამოცდილება აქვს. მან საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიიღო საჰაერო-სადესანტო ნაწილები, ასევე საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფი, რომელშიც დივიზიების რაოდენობა 2000 წელს ექვსიდან ოთხამდე შემცირდა. დივიზიის შემადგენლობაში 6000 სამხედროა, ეს ბევრი არ არის, მაგრამ ქვედანაყოფები მაღალი მობილურობით გამოირჩევიან და დესანტის საბრძოლო მანქანებით არიან აღჭურვილნი. ძირითად რუსულ ფლოტებში გადანაწილებულია დაახლოებით 9000 საზღვაო ქვეითი და ფორმალურად ისინი სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში ითვლებიან.

რამდენიმე წელიწადში რუსეთის ჯარის განკარგულებაში იქნება უნივერსალური საბრძოლო დამრტყმელი პლატფორმები „არმატა“. ეს ტანკები შეიარაღების აბსოლუტურად ახალი ოჯახია, უნივერსალური პლატფორმა, რომელსაც შეეძლება, შეასრულოს ტანკის, ქვეითთა საბრძოლო მანქანის, საარტილერიო დანადგარისა და ტექნიკური მხარდაჭერის მანქანების ფუნქცია.

## ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია

ჩინეთის არმია — ოფიციალური სახელწოდებაა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სახმელეთო ძალები — აზიაში უდიდესია. მის შემადგენლობაში შედის 1,6 მილიონი სამხედრო მოსამსახურე. მისი ამოცანა კი ჩინეთის საზღვრებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე მეზობელ რეგიონებში სულ უფრო გლობალური მასშტაბით სამხედრო ძალების პროეცირებაა.

ბოლო ოცი წლის მანძილზე ჩინეთის არმია არსებითად შეიცვალა. პირადი შემადგენლობა რამდენიმე მილიონი ადამიანით შემცირდა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა საველე არმიებისა და დამრტყმელი დივიზიების რაოდენობა. ჩინეთს სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ საშუალება მისცა, მოკლე დროში გაეზარდა თავდაცვის ხარჯები, ასევე უხვად დაეფინანსებინა მოდერნიზაცია და მაღალი ტექნოლოგიები გამოეყენებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის არმია პრიორიტეტს ანიჭებს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-სა- ▶


ჩინეთი


ინდოეთი

მოკლედ



## ალ-ბაღდადი: მსოფლიოში ჯიჰადის ცეცხლი უნდა დავანთოთ

**„ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურმა აბუ-ბაქრ ალ-ბაღდადიმ მუსლიმანებს საყოველთაო ჯიჰადისკენ მოუწოდა.** 17-წუთიანი აუდიომიმართვა ალ-ბაღდადის გარდაცვალებაზე გავრცელებული ხმების შემდეგ გამოჩნდა ინტერნეტში. ალ-ბაღდადიმ განაცხადა, რომ აშშ-ის ანტიტერორისტული კამპანია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ერაყსა და სირიაში მარცხს განიცდის. მან მხარდამჭერებს მოუწოდა, „მსოფლიოში ჯიჰადის ვულკანური ცეცხლი დაანთონ“, ხოლო საუდის არაბეთი იმ ქვეყნად დაასახელა, რომელშიც ხალიფატის მმართველობა უნდა გავრცელდეს.



**მაგრამ ახლა ამერიკელები, და განსაკუთრებით, რესპუბლიკელები, მსოფლიოს შესახებ სხვაგვარად ფიქრობენ. ჰენრი კისინჯერი თავის ახალ წიგნში „მსოფლიო წესრიგი“ ოსტატურად უსვამს ამერიკას ბიპოლარული ფსიქიური აშლილობის დიაგნოზს საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აღნიშნავს, რომ ეს აშლილობა თანდაყოლილია.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


რუსეთი

◀ ჰაერო ძალებს, მან მაინც მიიღო მთელი რიგი თანამედროვე შეიარაღების სისტემებისა. ტანკები ბოლო პერიოდში რამდენჯერმე იქნენ მნიშვნელოვნად მოდერნიზირებულნი, დაიწყო პირველი ნამდვილად ჩინური დამრტყმელი ვერტმფრენის — „WZ-10“-ის მიწოდებეhბი. მიუხედავად ახალი შეიარაღებისა, ამ არმიის მოქმედ ნაწილებშიც ჯერ კიდევ რჩება დიდი რაოდენობით მოძველებული აღჭურვილობა. სრულ მოდერნიზებას კიდევ ათი ან, შესაძლოა, ოცი წელი დასჭირდება, მით უფრო, თუ ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები კვლავაც შენელდება.

სახმელეთო ჯარის საკვანძო ნაწილი სწრაფი რეაგირების ძალები არიან. ჯავშანსატანკო, მექანიზებულ და ქვეით ქვედანაყოფებზე დამატებით ჩინეთის არმიას ჰყავს სამი საჰაერო-სადესანტო დივიზია და საზღვაო დესანტის სამი ბრიგადა.

## ინდოეთის არმია

მის შემადგენლობაში 1,12 მილიონი ჯარისკაცია და აზიაში სიდიდით მეორე არმიაა. თავის ტრადიციულ მოწინააღმდეგეებს შორის განლაგებული ინდოეთი საჭიროებს სახმელეთო ჯარს, რომელიც დაიცავს საზღვრებს. გარდა ამისა, ქვეყანაში ადგილობრივი ამბოხებულები ბობოქრობენ, ამიტომაც ინდოეთი იძულებულია, მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა ჰყავდეს.

ინდოეთის არმიის საუკეთესო დივიზიები განაწილებული არიან ოთხ დამრტყმელ კორპუსში, რომელთაგან სამი პაკისტანთან საზღვარზეა განლაგებული, ერთი კი — ჩინეთთან საზღვარზე. ინდოეთს ასევე ჰყავს ორი საზღვაო-სადესანტო ბრიგადა, ქვეითთა ორი ბრიგადა, სამი სადესანტო ბატალიონი და სპეცდანიშნულების რვა ბატალიონი.

ამ ჯარში მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია ჩატარდა უკანასკნელ წლებში და ამის მიზანი, პაკისტანთან კონფლიქტის შემთხვევაში, ჩვეულებრივი შეიარაღების ეფექტურობის გაზრდა იყო. „ცივი სტარტის“ დოქტრინა ითვალისწინებს, რომ არმია მზად უნდა იყოს, დროის მოკლე მონაკვეთში დაესხას თავს პაკისტანს.

## ბრიტანეთის არმია

მართალია, რიცხოვნებით ეს არც თუ ისე დიდი არმიაა, მაგრამ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანია. ის კარგადაა ბალანსირებული და მოიცავს მსუბუქ ქვეითებს, სადესანტო ჯარებს, ჯავშანსატანკო, მექანიზებულ და საავიაციო ქვედანაყოფებს.

ბრიტანულ არმიაში ახლა სულ 120 000 ჯარისკაცია. 2020 წლისთვის განხორციელდება რეორგანიზაცია და რეგულარული სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 82 000-მდე შემცირდება, მაგრამ პარალელურად გაიზრდება რეზერვისტების როლი. 2020 წლისთვის განლაგებული ბრიტანული არმიის შემადგენლობაში იქნება შვიდი ბრიგადა — ერთი საჰაერო დესანტის, სამი ჯავშანსატანკო მექანიზებული და სამი ქვეითთა ბრიგადა.

ბრიტანეთის ჯარიც ცივი ომის დროინდელი მოდერნიზებული სისტემებითაა შეიარაღებული. ძირითადი ტანკი „ChallengerII“ და საბრძოლო მანქანა „Warrior“ გამოცდილი და საიმედოა, მაგრამ ისინი ძველდება და რაღაც მომენტში საჭირო გახდება მათი შეცვლა. ეს კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

**TheNationalInterest**


დიდი ბრიტანეთი

# ახალი დასაწყისი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში

**ბარაკ ობამას მოთხოვნა კონგრესში ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე კანონში შესწორებების შეტანის შესახებ ძალზე დელიკატური თემაა კონსტიტუციური თვალსაზრისით და პრეზიდენტის ქმედება აუცილებლად განაპირობებს დებატებს, რომელიც რესპუბლიკელების ბანაკში უთანხმოებებს გამოავლენს.**



მრავალმა მოვლენამ (ამერიკის სამხედრო ავანტიურები 2001 წლიდან ამ დრომდე, სამოქალაქო ომი სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერება, ბირთვული იარაღის შესაქმნელად ირანის მბრუნავი ცენტრიფუგები და ერთ-ერთი სენატორის — რენდ პოლის ქმედებები) რესპუბლიკურ პარტიაში დებატების განახლება განაპირობა. არადა, ეს დებატები შეწყდა დიდი ხნის წინათ — როდესაც 1953 წელს ამ პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა დუაიტ ეიზენჰაუერი. ეიზენჰაუერი დებატების შეწყვეტას იმის გამო ცდილობდა, როგორმე შეეჩერებინა სენატორი ოჰაიოს შტატიდან — რობერტ ტაფტი.

ტაფტის სკეპტიკური დამოკიდებულება ნატოსა და კოლექტიური უსაფრთხოების მიმართ მთლად იზოლაციონიზმიც არ იყო (ამ ტერმინს დღეს აბსოლუტურად დაუფიქრებლად იყენებენ განურჩეველი ინტერვენციონისტები), მაგრამ მისი აზრი ეწინააღმდეგებოდა მთელი ქვეყნის რესპუბლიკურ ომისშემდგომ ინტერნაციონალიზმს. ეიზენჰაუერის გამარჯვებამ (და ერთი წლის შემდეგ ტაფტის გარდაცვალებამ) საბოლოოდ გაამყარა ლამის ასპროცენტიანი რესპუბლიკური ერთსულოვნება, რომელმაც ფორმირება დაიწყო 1945 წლის იანვრიდან — როდესაც აზრი შეიცვალა სხვა სენატორმა-რესპუბლიკელმა არტურ ვანდენბერგმა.

ეს უკანასკნელი სენატორად მუშაობდა 1928 წლიდან და მუდამ იზოლაციონალისტი იყო. მოულოდნელად 1945 წლის 10 იანვარს მან სენატში წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც შეცვალა მისი და მისი პარტიის პოზიციები: „არ მგონია, რომ ამ დროიდან რომელიმე ნაცია შეძლებს საკუთარი თავის იმუნიტეტით უზრუნველყოფას ერთპიროვნული ქმედებების ხარჯზე“...

რესპუბლიკური განხეთქილება 1960-იან წლებში ბარი გოლდუოტერისა და ნელსონ როკფელერის ფრაქციებს შორის (რაც თავისთავად იყო 1912 წელს თეოდორ რუზველტსა და პრეზიდენტ უილიამ ჰოვარდ ტაფტს შორის განვითარებული შიდაპარტიული კონფლიქტის გამეორება) ძირითადად დაკავშირებული იყო მთავრობის სათანადო ზომის საკითხთან და შიდა საქმეებში მისი კომპეტენციის სფეროსთან. როკფელერის დამსახურებათა სია უნაკლო იყო სამხედრო ხარჯებიდან დაწყებილი, სამოქალაქო თავდაცვისათვის თავშესაფრების მშენებლობით დასრულებული.

**მაგრამ ახლა ამერიკელები, და განსაკუთრებით, რესპუბლიკელები, მსოფლიოს შესახებ სხვაგვარად ფიქრობენ. ჰენრი კისინჯერი თავის ახალ წიგნში „მსოფლიო წესრიგი“ ოსტატურად უსვამს ამერიკას ბიპოლარული ფსიქიური აშლილობის დიაგნოზს საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აღნიშნავს, რომ ეს აშლილობა თანდაყოლილია.** „თავდაჯერებულობა, რომ ამერიკის პრინციპები უნივერსალურია, — წერს კისინჯერი, — საერთაშორისო სისტემაში აჩენს გამოწვევის ელემენტს, რადგან იგულისხმება, რომ სახელმწიფოები, რომლებიც არ იზიარებენ ამ პრინციპებს, სრულად ლეგიტიმურნი არ არიან“. ეს „იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს უხარისხო, ექსპერიმენტული სქემით და ოდესმე გამოსწორდება მასზე უარის თქმით. მაგრამ ამ დრომდე ამ ქვეყნების ურთიერთობაში მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოსთან აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადგილი მტრობის რაღაც ფარულ ელემენტს“.

სწორედ ამის გამო არწმუნებდა ფრანკლინ რუზველტი მოსკოვში თავის ყოფილ ელჩს — უილიამ ბულიტს: „მეჩვენება, რომ, თუ სტალინს ყველაფერს მივცემ, რისი მიცემაც შემიძლია და სანაცვლოდ არაფერს ვთხოვ, იგი არ მოინდომებს არაფრის მიტაცებას და იბრძოლებს მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისთვის“.

ბოლო 11-მა წელმა არაერთი მკაცრი გაკვეთილი ჩაუტარა ამერიკას. 2003 წელს ერაყში შეჭრა, რაც ამერიკის ისტორიაში ყველაზე უარეს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებად იქცა, დროში დაემთხვა ავღანეთში რესურსების გაფანტვას. ამ ყველაფერმა გააძლიერა რესპუბლიკური ფრაქცია, რომელიც იზიარებდა ჯონ კუინს ადამსის შეხედულებებს (აშშ-ის მეექვსე პრეზიდენტი, სახელგანთქმული დიპლომატი). ეს უკანასკნელი ამბობდა: „ამერიკა არ გასცდება საკუთარ საზღვრებს გასანადგურებელი მონსტრების საძებნელად. ის ყველას თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უსურვებს, მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დაიცავს“.

## ობამა მართალია, ბევრი რამ არის შესაცვლელი და ხელახლა გასააზრებელი...

ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ კანონის ახალ ვერსიასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დებატები ჩაივლის კონტექსტში, რომელსაც განაპირობებს ობამას გაფართოებული წარმოდგენები საკუთარი აღმასრულებელი ვალდებულებების და მათი აგრესიული გამოყენების შესახებ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. მოლიოტული აგვისტოში Defense-One-ის ფურცლებზე აღნიშნავდა:

„კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ, რომელიც 2001 წელს იქნა მიღებული, კონგრესმა 11 სექტემბრის ტერაქტების შემდგომ საშინელ პერიოდში მიიღო და ის იქცა ყველაზე შორს მიმავალ და შეუზღუდავად გაფართოებულ უფლებამოსილებად აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის აშშ-ის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონის ძალიან მოკლე ტექსტში ნახსენები არ არის არც „ალ ქაიდა“ და არც ავღანეთი, მან პრეზიდენტ ჯორ ბუშს საკმარისი საფუძველი გაუჩინა იმისათვის, რომ დაეწყო ომი ავღანეთში და ომი „ტერორის“ წინააღმდეგ, ასევე მან შექმნა სამართლებრივი საფუძველი ამერიკის მიერ ბოლო 13 წლის განმავლობაში სამხედრო ძალის გამოსაყენებლად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დედამიწის სხვადასხვა კუთხეში“.

2001 წლის კანონში შეუძლებელი იყო დღევანდელი ცვლილებების გათვალისწინება. 2002 წელს მიღებულ იქნა ახალი საკანონმდებლო გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ. მანამდე, 1998 წელს, მიღებულ იქნა ერაყის განთავისუფლების აქტი, რომელსაც წარმომადგენელთა პალატაში 360-მა ადამიანმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი კი მხოლოდ 38 იყო. სენატში იგივე აქტი ერთსულოვნად მიიღეს. ამ აქტით გამოცხადდა, რომ ამერიკის პოლიტიკის მიზანია „სადამ ჰუსეინის რეჟიმის შეცვლა“.

**ობამა მართალია, ბევრი რამ არის შესაცვლელი და ხელახლა გასააზრებელი...**

**TheWashingtonPost**

მოკლედ



## პოლონეთში პოლიცია დემონსტრანტებს დაერია

**სულ მცირე, 50 ადამიანი დაშავდა ვარშავაში პოლონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ნაციონალურ მარშზე პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად.** დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ნიღბიანების ერთმა ჯგუფმა პოლიციას ქვები და ფილები დაუშინა. პოლიციამ ასობით დემონსტრანტის დასაშლელად წყლის ჭავლი გამოიყენა. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, 300-მდე ადამიანი დააკავეს. უკვე მეოთხე წელია, რაც ნაციონალური მარშის დროს სამართალდამცავებსა და მარშის მონაწილეებს შორის შეტაკებები ხდება.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვადა და ყავლგასული ე.წ. მოკლევადიანი ევროპული წამლები მეორადი ტანსაცმელივით თუ მეორადი საბურავებივით შემოაქვთ საქართველოში და განმკითხავი არავინ არის?!

# გაჩიანი პარიზში ხომ არ გეშლებათ, «ფარმადეპოს» ბოსებო?!

## ანუ ჯოჯუები და აბრამი(ძი)ს «ბატკნები» «ფარმადეპოში»

**„ფარმადეპო — უკეთესი ცხოვრებისათვის!“ — ამ სარეკლამო ლოზუნგით იწონებს თავს ქართული ფარმაცევტული კომპანია „ეი-ბი-სი ფარმაცია“ საქართველოს მოსახლეობის თვალში, მოსახლეობისა, რომელსაც, წლებია, მოკლევადიანი (როგორც „ფარმადეპოს“ ხელმძღვანელობა უწოდებს), ანუ, მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ვადაგასული და დაძველებული წამლებით „წამლობს“.**






ფარმაკოლოგია ბერძნული სიტყვაა და წამალთმცოდნეობას ნიშნავს. უფრო ზუსტად, ბერძნულში შევიდა გერმანულიდან, ხოლო გერმანულში შეიტანეს ეგვიპტური ენიდან, სადაც იეროგლიფი „ფარ-მაკი“ — განკურნების მომნიჭებელს ნიშნავს. **როგორ განკურნავს „ფარმადეპო“ გაუბედურებულ და დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს ისეთი ვადაგასული წამლებით, როგორიც მის ქსელში მამასისხლად იყიდება?** მაგალითად, ნოოტროპული საშუალება ლუცეტამი, რომელსაც ვადა გასდიოდა ოქტომბერში, დახლზე იდო 29 ოქტომბერს და იყიდეს, სხვათა შორის, დილის 10 საათსა 27 წთ-ზე. ესაა თქვენი ევროპული სტანდარტი და ფარმაციის განვითარების ევროპული გზა „მამა აბრამის ბატკანო“ მ. აბრამიძევ? თუ აზერბაიჯანიდან შემოზიდულ წამლებს შენი „კომპასი“ ევროპულად აღიქვამს? **იქნებ გაჩიანი პარიზში გეშლებათ, „ფარმადეპოს“ ბოსებო?!** გასაყიდად დახლზე, აგრეთვე, იდო ონკოლოგიური წამალი **ემტექსატი**, რომელსაც ვადა ასევე ოქტომბერში გაუვიდა. **რა „ბედნიერები“ იქნებოდნენ ის ონკოლოგიური ავადმყოფები, რომლებიც ამ წამლებს „ფარმადეპოს“ უკეთესი ცხოვრებისთვის“ შეიძენდა?!** „ფარმადეპოს“ აფთიაქების დახლებზე იდო მოკლევადიანი, ანუ ვადაგასული **დიპროსალიკის ლოსიონი** და ა. შ. აღარაფერს ვამბობ წამლებზე, რომლებზეც შტრიხკოდები ხელითაა დაწებებული! ესეც — ფარმაციის განვითარების ევროპული გზა საქართველოში, ანუ **ვადა და ყავლგასული ე. წ. მოკლევადიანი ევროპული წამლები მეორადი ტანსაცმელივით თუ მეორადი საბურავებივით შემოაქვთ საქართველოში და განმკითხავი არავინ არის?!** აი, ასეთი „წამლობით“ მდიდრდებიან „ფარმადეპოს“ ხელმძღვანელები **ე. ბერიძე** და **მ. აბრამიძე**, მათი კადრების უფროსი **თეონა ჯოჯუა**, რეგიონული სამსახურის უფროსი **მარი ნინიაშვილი,** ენრიკო ბერიძის „ყოვლისმცოდნე“ ნათესავი **თინათინ მამუჭაძე.** კარგად მოირგეს სააკაშვილის „ნაციონალური“ ხროვის მიერ 2009 წელს მიღებული კანონი მედიკამენტების პარალელური იმპორტის შესახებ და უცებ გამდიდრებულებს ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად.

აღსანიშნავია, რომ „ფარმადეპოს“ „ძვირფას“ ხელმძღვანელობას ქსელში მომუშავე, დაშინებულ-დაბეჩავებულ პროფესიონალ პერსონალთან, დაახლოებით ათას ადამიანთან, შრომითი ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული. ისინი არაფრად დაგიდევენ 2013 წლის 12 ივნისს პარლამენტის მიერ მიღებულ საქართველოს შრომის კოდექსს, რომელშიც წერია, რომ დამსაქმებელი ვალდებულია, სამი თვის ე. წ. გამოსაცდელი თუ ზეპირი ხელშეკრულების სამთვიანი ვადის გასვლისთანავე, დასაქმებულთან გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებაში კი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის ყველა ნიუანსი უნდა იყოს აღნუსხული. საქართველოს პარლამენტმა შრომის კანონმდებლობაში ცვლილებები, უპირველესად, იმიტომ შეიტანა, რომ სააკაშვილის „ნაციონალურმა“ ხროვამ მოსვლისთანავე გააუქმა შრომის ინსპექცია, რათა უფრო თავისუფლად შეძლებოდათ დასაქმებულთა მონური ექსპლუატაცია. როგორც ჩანს, **„ფარმადეპოს“ გაზულუქებული და უვიცი ხელმძღვანელობა ისევ „ნაცხროვის“ დეპოშია ჩარჩენილი და შუა საუკუნეების მონათმფლობელური მეთოდებითა და 21-ე საუკუნის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს დასაქმებულთა მონურ ექსპლუატაციას.** თუ „ფარმადეპოს“ რომელიმე თანამშრომელი მოითხოვს ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას ან თავისი კონსტიტუციური უფლებების დაცვას, მას სამსახურიდან ყოველგვარი რევერანსის გარეშე ათავისუფლებენ. კიდევ ერთი კრიმინალური კურიოზი „ფარმადეპოში“: **კომპანიის ხელმძღვანელთა დავალებით, სპეციალური ოპერატორები ფარული ვიდეოკამერებით (ეს არ არის დაცვის პოლიციის კამერები) უთვალთვალებენ აფთიაქების პერსონალს — ვინ რამდენი წუთის განმავლობაში იყო საწყობში ან ტუალეტში შესული და ა. შ. დიახ, ფარმადეპოს ბოსები საქართველოს მოქალაქეებს ფარულად და უკანონოდ უთვალთვალებენ**. სწორედ ასეთი ფარული მიყურადება-გადაღების შედეგად, ანუ უკანონოდ ათავისუფლებენ პროფესიონალ კადრებს სამსახურიდან — ჯოჯუებსა და ნინიაშვილებს ნინიას ბაღი ჰგონიათ აფთიაქი.

### «ფარმადეპოს» გაზულუქებული და უვიცი ხელმძღვანელობა ისევ «ნაცხროვის» დეპოშია ჩარჩენილი და შუა საუკუნეების მონათმფლობელური მეთოდებითა და 21-ე საუკუნის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს დასაქმებულთა მონურ ექსპლუატაციას









ორიოდე სიტყვა „ფარმადეპოს“ ე. წ. შიგა სამსახურებრივ სტანდარტზე, რომლითაც ხელმძღვანელობს ეს „ძვირფასი“ ფარმაქსელი: **ერთ-ერთ პუნქტში წერია, რომ „ფარმადეპოს“ აფთიაქის თანამშრომელმა სამუშაოს დაწყების წინ ხელები აუცილებლად უნდა დაბანოს, ეცვას თეთრი ხალათი, რომელიც ტუალეტში შესვლის წინ უნდა გაიხადოს და გამოსვლისას ჩაიცვას. არადა, დიღომში ე. წ. რკინიგზის საავადმყოფოს პირველ სართულზე განთავსებულ „ფარმადეპოს“ აფთიაქს არც ხელსაბანი აქვს და არც ტუალეტი!** ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ ჰქონდა და, თუ ახლა დაიწყეს „უბორნიის“ ამოთხრა მისმა ხელმძღვანელებმა, არ ვიცი. **ხელის დასაბანად კი „ბედნიერმა“ თანამშრომლებმა შინიდან უნდა მოიტანონ ტაშტი და წყალი!**

გარდა ამისა, მათი სტანდარტით, „ფარმადეპოს“ აფთიაქში მყიდველებს ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს 4-5 თანამშრომელი, რათა დარბაზი ცარიელი არ დარჩეს არც ერთი წუთით. მაგრამ ხელმძღვანელობა, ეკონომიის (ანუ ჯიბის გასქელების) მიზნით, ოთხი-ხუთი ფარმაცევტის ნაცვლად, ორს (ზოგჯერ ერთსაც) ამუშავებს, ხოლო ხელფასზე დანამატის გაცემისგან თავს იკავებს, პირიქით — ყოველთვიურად აკლებს.

მეგონა, ეს დარღვევები პირველმა მე აღმოვაჩინე „ფარმადეპოში“, მაგრამ ჩემამდე თურმე სხვებსაც გაუმახვილებიათ ყურადღება. მაგალითად, საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი პეტრიაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოში აქვს სარჩელი შეტანილი ფარმაცევტულ კომპანიებსა (მათ შორის, „ფარმადეპოში“) და ბანკებში არსებული კონსტიტუციური დარღვევების გამო.

სხვათა შორის, ასეთ დარღვევებზე არაერთხელ განაცხადა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამაც, რომელიც გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით სამართლებრივი რეფორმების მიმართულებებზე მუშაობს საქართველოში.

მივმართავ საქართველოს მთავრობას, უპირველესად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, წამლის ხარისხის კონტროლის სამსახურს, საგადასახადო ინსპექციას, ფინანსურ პოლიციასა და მთავარ პროკურატურას:

**1. როგორც ჩანს, საქართველოში ბობოქრობს ფარმამაფია, ქვეყანაში მასობრივად შემოედინება მოკლევადიანი თუ ვადაგასული მედიკამენტები, აპარატურა, რომელთა გასაღებასაც „ფარმადეპოს“ ხელმძღვანელები თავიანთი აფთიაქების ფარმაცევტებს აიძულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელფასებს აკლებენ, ამცირებენ, სამსახურიდან აგდებენ;**

**2. „ფარმადეპოში“ დარღვეულია შრომის კოდექსის მოთხოვნები და დაახლოებით ათას თანამშრომელთან წერილობით არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ამ ქსელში მომუშავე პერსონალი დამონებულია, მაგრამ ვერაფერს ამბობს სამსახურის დაკარგვის შიშით;**

3. „ფარმადეპოს“ ზოგიერთ აფთიაქში არ არის ტუალეტი და ხელსაბანი. ამით ირღვევა სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, მით უმეტეს, რომ მომსახურე პერსონალს შეხება აქვს ქიმიურ ნივთიერებებთან, ონკოლოგიურ წამლებსა და ავადმყოფებთან. მასობრივი სახე აქვს ევროპიდან იაფი, ე. წ. მეორადი წამლების შემოტანას და მამასისხლად, ხშირად 100, 200 და 300%-იანი ნამატით ავადმყოფებისთვის მიყიდვას;

4. დაუყოვნებლივ აღდგეს შრომის ინსპექცია. ამის შესახებ ბრძანა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში და დავალება მისცა ჯანდაცვის მინისტრს, რომელიც, როგორც ვიცი, ეთანხმება ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

დანარჩენი კი მოკვლევის, გამოძიების საქმეა. იმედია, ბოლო პერიოდში გააქტიურებული სამართალდამცავები წარმატებით გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

სიმართლისთვის ბრძოლა ყველა ბრძოლაზე წმიდათაწმიდაა. ვისთვის სიმართლისთვის ბრძოლაა ცხოვრების მიზანი და წამალი და ვისთვის — წამალი მხოლოდ ფულის შოვნა-დაგროვების საშუალება!

**ვაჟა ოთარაშვილი,**
**ილია ჭავჭავაძის, ლადო ასათიანის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი**

**ლაშა ტაბატაძეს, იმ შემთხვევაში, თუ მისგან ვერ მიიღებდნენ დანაშაულის აღიარებით ჩვენებას, ემუქრებოდნენ მის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე (სინამდვილეში არარსებულ) მაკომპრომეტებელი ჭორის გავრცელებითა და გაუპატიურებით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოცნების» მხარდამჭერი ახალგაზრდა კაცი სასჯელს იხდის საშინელი დანაშაულის გამო, რომელიც არ ჩაუდენია!



**2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა: საქართველოს მოსახლეობის მოთმინების ამოწურვამ და ნაციონალურ-ვამპირული რეჟიმის დამხობის სასიცოცხლო აუცილებლობამ; ქართველი „რობინ ჰუდის“ – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ და იმ სასიკეთო ცვლილებებისთვის ხორცშესხმის იმედმა, რომელიც ამ პიროვნებამ ჩაუსახა ხალხს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირება იყო ქვეყანაში ე. წ. სამართლიანობის აღდგენა. კერძოდ, პარლამენტში უნდა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლიდა „ნაცმოძრაობის“ ყმადქცეული პროკურატურის მიერ შეთითხნილ სისხლის სამართლის საქმეებსა და „ნოტარიუსებად“ ქცეული სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებს, რომელთა შემდეგაც გადაიხედებოდა შედეგები და სახელმწიფო (დაპირებისამებრ) გამოასწორებდა სადისტური რეჟიმის მიერ დაშვებულ აღმაშფოთებელ უსამართლობას. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, დაპირება დაპირებად დარჩა. ათასობით უსამართლოდ მსჯავრდადებული და მათი ოჯახები დღესაც იმედით შეჰყურებენ უკვე არახალ ხელისუფლებას, რომელიც დაკავებულია თავისი ხელფასების გაზრდითა და პრემიების განაწილებით, სამსახურებრივი კომფორტის გაუმჯობესებით, ნათესავ-მეგობრების დასაქმებით და ა. შ.**

**მაგრამ იმ საცოდავებმა რა ქნან, რომლებმაც თავის დროზე ხმა აიმაღლეს სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ, ოპოზიციის რიგებში ებრძოდნენ ფაშიზმს, მაგრამ დღესაც გამომწყვდეულნი არიან სატუსაღოებში? უამრავი მათგანი შიმშილობს, ვინაიდან სხვაგვარად ვერ აწვდენენ ხმას ხელისუფალთ და სახელმწიფოს მიერ დანიშნულ „უფლებადამცველებს“, მათ შორის, სახალხო დამცველს, რომლის საქმიანობა გაურკვეველია და მხოლოდ „კამპანიური“ ღონისძიებებით შემოიფარგლება გახმაურებულ საქმეებში ფიგურანტების მიმართ.**

ამ წერილით მინდა, ე. წ. უფლებადამცველების ყურადღება მივაპყრო ერთ გაუბედურებულ ახალგაზრდას, რომელიც განწირულია ხანგრძლივი სასჯელის მოსახდელად მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“. **მას ზურგი შეაქციეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ასეთი ახალგაზრდების თავდადებისა და თანადგომის წყალობით დღეს თანამდებობებზე არიან მოკალათებულნი და ისე გაძღნენ, სავარძელში ველარ ეტევიან.**

ახალგაზრდა ყმაწვილის, **ლაშა ტაბატაძის,** ტრაგედია დაიწყო 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, როცა წყდებოდა საქართველოს ბედი — დარჩენილიყო ნაციონალურ-კანიბალური რეჟიმი თუ დაწყებულიყო საქართველოში მცხოვრები ხალხისთვის შვების მომტანი ახალი ეპოქა.

2012 წლის გაზაფხულზე ქალბატონები — ქეთი დოლიძე და მანანა კობახიძე წინასაარჩევნო ღონისძიებას ატარებდნენ ხარაგაულის რაიონის სოფელ ხევში. მათ, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ წვიმდა, სოფლის იმჟამინდელმა თავკაცებმა კლუბის კარი დაკეტილი დაახვედრეს და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს უარი განუცხადეს კლუბში შეშვებაზე. სწორედ ამ მომენტში **ერთმა ყმაწვილმა კარს მოგლიჯა ბოქლომი, მოიტანა სკამები და ხელი შეუწყო ჩამოსულ სტუმრებს ღონისძიების ჩატარებაში.**

2013 წლის ივნისში თხოვნით მომმართა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა ლაშა ტაბატაძემ — ყმაწვილმა, რომელმაც 2012 წლის გაზაფხულზე თვითნებურად გააღო სოფლის კლუბის კარი და ასე გამოხატა „ქართული ოცნებისადმი“ თანადგომა — შემესწავლა მის მიმართ ჩატარებული წინასწარი გამოძიების, აგრეთვე, სასამართლოს მასალები და დავხმარებოდი სიმართლის დამტკიცებაში, ვინაიდან მსხვერპლია (მისი განცხადებით) „ნაციონალური“ რეჟიმისა და სასჯელს იხდის იმ სამარცხვინო ქმედების ბრალდებით, რომელიც არ ჩაუდენია. **ლაშა ტაბატაძეს ბრალი დასდეს უბინძურესი დანაშაულის ჩადენაში — მცირეწლოვანი ბავშვის (პოლიციის უფროსის ახლობლის შვილის) გაუპატიურების მცდელობაში.**

**ლაშა ტაბატაძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ მსხვერპლია სოფელ ხევის პოლიციის იმჟამინდელი უფროსის, მერაბ რიკაძის (საერთოდ, იმხანად მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის), მტრული დამოკიდებულებისა მისი ოჯახის მიმართ, რაც მერაბ რიკაძეს არაერთხელ გამოუხატავს თავისი ქმედებებითა თუ სიტყვიერად, და არაერთხელ დამუქრებია დაპატიმრებით.** სოფელ ხევის პოლიციის უფროსის ასეთი განწყობა ლაშა ტაბატაძისა და მისი ოჯახის მიმართ გაჩნდა 2012 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც სოფელ ხევში წინასაარჩევნო აგიტაციით ჩასულ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: მანანა კობახიძეს, ქეთი დოლიძესა და მათ თანმხლებ პირებს ლაშა ტაბატაძემ ხელი შეუწყო ღონისძიების ჩატარებაში.

**მერაბ რიკაძე და სხვა პოლიციელები ყოველდღიურად უმოწყალოდ სცემდნენ ლაშა ტაბატაძეს, შიშველ სხეულზე უქრობდნენ ანთებულ სიგარეტს, უმტვრევდნენ თითებს. ლაშა ტაბატაძე ამბობს, რომ ამ არაადამიანურ წამებას არაერთხელ დაესწრო ზესტაფონის რაიონულ პროკურატურაში დღესაც მოღვაწე პროკურორი გიორგი ხაჩიძე**

**საქმის მასალების გაცნობისას გამოჩნდა, რომ ლაშა ტაბატაძისთვის (ამჟამად სასჯელს იხდის ქსნის №19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში) წაყენებული ბრალდება არ არის გამყარებული უტყუარი მტკიცებულებებითა და სასამართლო განხილვაც საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით წარიმართა.**

ლაშა ტაბატაძეს თავდაპირველად წაუყენეს ბრალდება გაცილებით მსუბუქ დანაშაულზე, რომლის გამოძიებისას (მისი განმარტებით) მერაბ რიკაძე მორალური თუ ფიზიკური ზემოქმედებით აიძულებდა, ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. მერაბ რიკაძე და სხვა პოლიციელები ყოველდღიურად უმოწყალოდ სცემდნენ ლაშა ტაბატაძეს, შიშველ სხეულზე უქრობდნენ ანთებულ სიგარეტს, უმტვრევდნენ თითებს. ლაშა ტაბატაძე ამბობს, რომ **ამ არაადამიანურ წამებას არაერთხელ დაესწრო ზესტაფონის რაიონულ პროკურატურაში დღესაც მოღვაწე პროკურორი გიორგი ხაჩიძე.**

მერაბ რიკაძეც, რომელიც არ მალავდა, რომ ლაშა ტაბატაძის მიმართ ამოძრავებდა შურისძიება, კვლავ განაგრძობს საქმიანობას პოლიციაში.

**ზემოხსენებული პირები ლაშა ტაბატაძეს, იმ შემთხვევაში, თუ მისგან ვერ მიიღებდნენ დანაშაულის აღიარებით ჩვენებას, ემუქრებოდნენ მის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე (სინამდვილეში არარსებულ) მაკომპრომეტებელი ჭორის გავრცელებითა და გაუპატიურებით.**

ლაშა ტაბატაძის წამება გაათმაგდა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ. იქ მას ყოველდღიურად ცემდა და აწამებდა დაწესებულების **უფროსი ჯიჭონაია,** აგრეთვე, დაწესებულების სხვა თანამშრომლები აიძულებდნენ, ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია.

ეს ყველაფერი ხდებოდა იმის გამო, რომ 2012 წელს ლაშა ტაბატაძემ გაბედა და მხარში ამოუდგა ოპოზიციაში მყოფ „ქართულ ოცნებას“.

ქუთაისის ციხის ხელმძღვანელი პირების განკარგულებით, ლაშა ტაბატაძე მოათავსეს ე. წ. ორიენტაციაშეცვლილი პატიმრების საკანში, სადაც შეეცადნენ მის გაუპატიურებას და, რომ არ გაეწია ფიზიკური წინააღმდეგობა, აგრეთვე, რომ არ ეცადა თვითმკვლელობა (გადაიჭრა ვენები, რაც ასახული უნდა იყოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ 2013 წლის 8 თებერვალს შედგენილ დოკუმენტებში), ალბათ, აღასრულებდნენ ბინძურ ჩანაფიქრს.

ლაშა ტაბატაძეზე ფიზიკური თუ მორალური ზემოქმედება არ შეწყვეტილა სასამართლო პოცესის დაწყების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ განუცხადა მოსამართლეს, რომ მის მიმართ კვლავ გრძელდებოდა ცემა და წამება. მეტიც, **სასამართლომ უხეშად დაარღვია მთელი რიგი საპროცესო ნორმებისა: ბრალდებულს შეგნებულად არ ეძლეოდა შეკითხვების მიცემის თუ რეპლიკების წარმოთქმის უფლება მოწმეების დაკითხვის პერიოდში; სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი შუამდგომლობა იმ მოწმეების დაბარებისა და დაკითხვის შესახებ, რომელთა ჩვენებებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ჭეშმარიტების დადგენაში და რომლებიც უდავოდ დაადასტურებდნენ ტაბატაძის უდანაშაულობას.** სასამართლო ოქმში ასახული მოწმეთა ჩვენებები რადიკალურად განსხვავდება მათ მიერ სასამართლო განხილვისას მიცემული ჩვენებებისგან. სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ გამოძიება ჩატარდა ზერელედ და არაობიექტურად; არ იქნა ამოღებული და წარმოდგენილი ჩანაწერები იმ ვიდეოკამერებიდან, რომლებიც დამონტაჟებულია სოფელ ხევის გზის იმ მონაკვეთზე, რომელზეც თითქოს ჩადენილი იქნა დანაშაული. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ ლაშა ტაბატაძეს არ მიეცა საბოლოო სიტყვის თქმის უფლება, ხოლო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმში გაკეთებული ჩანაწერი — თითქოსდა ბრალდებულმა წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, არ შეეფერება სინამდვილეს.

**ზემოაღნიშნულ დარღვევებზე არაერთხელ მივმართეთ საჩივრით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ქალბატონ მანანა კობახიძეს,** პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველსა და მთავარ პროკურატურას, მაგრამ უშედეგოდ.

**პარადოქსულია, რომ საჩივარზე რეაგირება ყოველთვის ეკისრებოდა პროკურატურას, რომელსაც უჩივის მსჯავრდებული ლაშა ტაბატაძე და რომელშიც დღესაც მსახურობს პროკურორი გიორგი ხაჩიძე.**

ლაშა ტაბატაძემ ქუთაისის სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებს ახალგამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართა. ამასთანავე, წარუდგინა ადრე განუხილველი მტკიცებულებები (მოწმეთა ჩვენებები), რომლებიც საქმეში არსებულ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში იძლეოდა საკმარის საფუძველს, ტაბატაძის მიმართ განაჩენის გასაუქმებლად და ახალი, გამამართლებელი განაჩენის გამოსატანად, მაგრამ ასევე უშედეგოდ, რაც მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან არც პროკურატურაში და არც სასამართლოში საკადრო ცვლილებები არ განხორციელებულა და საქმეებს იხილავენ ის პირები, რომლებიც შემჩნეულნი არიან დანაშაულებრივ ქმედებებში თუ ამ ქმედებებზე თვალის დახუჭვაში.

გაუგებარია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარისა და სახალხო დამცველის პოზიცია, რომლებიც, მიუხედავად არა ერთი მიმართვისა (წერილობით, ტელევიზიებით თუ საგაზეთო სტატიებით), არ დაინტერესებულან უსამართლოდ მსჯავრდადებული ახალგაზრდა მამაკაცის ბედით და მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ ჩვენი საჩივრები და განცხადებები გაგზავნეს იმ პროკურატურაში, რომელშიც დღესაც მსახურობს პირი, რომელსაც უჩივის ლაშა ტაბატაძე. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხსენებული „უფლებადამცველები“ არც კი გასცნობიან ჩვენს გზავნილებს.

ასევე, გაუგებარია ქალბატონების — მანანა კობახიძისა და ქეთი დოლიძის გულგრილობა იმ ადამიანის ბედის მიმართ, რომელმაც მათთვის თავი გაწირა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მოგმართავთ თხოვნით და ვიტოვებთ იმედს, რომ თქვენ — ზემოთ ჩამოთვლილი ბატონები და ქალბატონები, რომლებსაც გაკისრიათ ადამიანის უფლებების დაცვა, დაინტერესდებით საქართველოს მოქალაქის, ლაშა ტაბატაძის, ბედით, რომელიც უდანაშაულოდ იხდის სასჯელს იმ სამარცხვინო ქმედების ბრალდებით, რომელიც არ ჩაუდენია, და გაუწევთ თანადგომას თუნდაც იმით, რომ შეაწევთ სიტყვას და უშუამდგომლებთ საქართველოს პრეზიდენტთან შეწყალების თაობაზე.

**ვლადიმერ კიკნაძე,**
ადვოკატი

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამა ჭკუას კარგავს მოხალული ნუშზე, ფისტზე, MET-RX-ის არაქისიან პროტეინის ბატონებზე, რძიან შოკოლადსა და ბოსტნეულზე, ხოლო მაიონეზს, ჩიფსებსა და სატაცურს პირს არ აკარებს; არ სვამს ლიმონათსა და სხვა უალკოჰოლო სასმელს; საკვებს, ჩვეულებრივ, წყალს ან ჩაის აყოლებს.**

# საპრეზიდენტო მენიუ

## რომელ კერძებს ანიჭებენ უპირატესობას მოქმედი და ყოფილი სახელმწიფო მეთაურები

**პოლიტიკური ლიდერების მენიუ იშვიათადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ყველაფერი, რაც ქვეყნის ხელმძღვანელის პირად ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, გასაიდუმლოებულია. რას მიირთმევენ სახელმწიფოს მეთაურები, პრეზიდენტები და მეფეები? — ამის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ მათი ნათქვამის მიხედვით შეიძლება და იმით, თუ რას აგემოვნებენ წვეულებებზე.**




### ჩუჩხეს* დიეტა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერ **კიმ ჩენ ინს** ძალიან ყვარებია ყველი „ემენტალი". კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური ისე გაერთო საყვარელი ყველის ჭამით, რომ ჯანმრთელობაც შეერყა და წონაც მოიმატა.

კიმების ოჯახის ყოფილმა შეფმზარეულმა, კენჯი ფუჯიმოტომ, მოყვა, რომ კიმ ჩენ ინს, აგრეთვე, ძალიან უყვარს ზვიგენის ფარფლისგან მომზადებული კერძები. სწორედ ზვიგენის სტეიკებით გაუმასპინძლდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერი 2012 წელს სამშობლოში ჩასულ ყოფილ მზარეულს.

კენჯი ფუჯიმოტო, რომელიც ჩრდილოეთ კორეიდან იაპონიაში 2001 წელს გაიქცა, აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 14 წლისა კიმ ჩენ ინი არაყს მიირთმევდა და მთელი ბოთლის დალევა შეეძლო. მათი ბოლო შეხვედრისას კი ჩრდილოეთ კორეის ლიდერი საკეს სვამდა.

### ფასტფუდი ამერიკულად

აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა,** როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი, უბრალო საკვებს — ფასტფუდს ანიჭებს უპირატესობას.

2010 წელს ობამამ რუსეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს არლინგტონში (ვაშინგტონის გარეუბანი), Ray's Hell Burger-ის სწრაფი კვების რესტორანში უმასპინძლა. ამერიკის პრეზიდენტმა მიირთვა ბურგერი ყველ „ჩედერით", სალათით, პომიდვრითა და მჟავე კიტრით. გარდა ამისა, სახელმწიფო მოღვაწეებმა კარტოფილი ფრი შეუკვეთეს, მართალია, ორ კაცზე მხოლოდ ერთი ულუფა. ობამა უარს არ ამბობს ლუდის დალევაზე. 2012 წელს მან თეთრი სახლის ტერიტორიაზე მოაწყო მინილუდსახარში, სადაც ლუდი, სახელად „თეთრი სახლის თაფლის ელი" (White House Honey Ale) იხარშება. გარდა ამისა, პრეზიდენტის მეუღლემ, მიშელ ობამამ, თეთრ სახლში გადასვლის შემდეგ რეზიდენციის გაზონზე ბოსტანი გააშენა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მან დაახლოებით 700 კილოგრამი ბოსტნეული მოიწია. მიშელის ბოსტანში განსაკუთრებით კარგად ხარობს ბროკოლი, ისპანახი, კომბოსტო, სალათა და სხვ.

2008 წელს, როდესაც ობამა ჯერ კიდევ შტატ ილინოისის სენატორი გახლდათ, The New York Times-მა გამოაქვეყნა მისი ყველაზე საყვარელი და საძულველი კერძების სია. აღმოჩნდა, რომ **ობამა ჭკუას კარგავს მოხალული ნუშზე, ფისტზე, MET-Rx-ის არაქისიან პროტეინის ბატონებზე, რძიან შოკოლადსა და ბოსტნეულზე, ხოლო მაიონეზს, ჩიფსებსა და სატაცურს პირს არ აკარებს; არ სვამს ლიმონათსა და სხვა უალკოჰოლო სასმელს; საკვებს, ჩვეულებრივ, წყალს ან ჩაის აყოლებს.**


2013 წელს პუტინმა ყუბანელ კომბაინერებთან ერთად ბორშჩით ისადილა




### რუსული სპეციფიკა

**ვლადიმერ პუტინის** გემოვნების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. რუსეთის პრეზიდენტმა ერთხელ თქვა, რომ საკვების მხრივ პრეტენზიული არ არის. **„თუ არჩევანია ხორცსა და თევზს შორის — თევზს ავირჩევ, ხორცეულიდან ბატკნის ხორცი მიყვარს. ტკბილეულის მიმართ გულგრილი ვარ, ნაყინს თუ არ ჩავთვლით. როდესაც სადმე მივემგზავრები, სიამოვნებით ვსინჯავ ადგილობრივ კერძებს. დიდი ხანია, მწვანე ჩაის სმას დავეჩვიე",** — განაცხადა პუტინმა.

2012 წელს რუსეთის ლიდერმა ტელეკომპანია ???-ს ჟურნალისტებთან ერთად ისაუზმა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის პრეზიდენტი დილაობით ფაფასა და თაფლიან ხაჭოს მიირთმევს, ხოლო შემდეგ — მწყრის უმ კვერცხს. გარდა ამისა, სვამს საკუთარი რეცეპტით მომზადებულ კოქტეილს. მის ინგრედიენტებს შორის ჭარხალი და პირშუშხაა.

სამუშაო ვიზიტების დროს პრეზიდენტს ადგილობრივი კერძების გასინჯვა უყვარს და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სადილობს. 2003 წელს კალინინგრადის კაფეში („გზასთან") მან უხა, ღვეზელი წითელი ხიზილალით, შებოლილი გველთევზა და მარწყვიანი ბლინი შეუკვეთა. 2008 წელს თათრეთში ყოფნისას განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის — „ალაბუგას" სასადილოში სალათა, ქათმის წვნიანი ატრიებით, საქონლის ხორცი ბრინჯით და პატარა ღვეზელი შეუკვეთა. საკვები პრეზიდენტს 37 რუბლი და 60 კაპიკი დაუჯდა.

**2013 წელს პუტინმა ყუბანელ კომბაინერებთან ერთად ბორშჩით ისადილა.** კიდევ რით გაუმასპინძლდნენ სახელმწიფოს მეთაურს, უცნობია — პუტინმა ჟურნალისტებს წასვლა სთხოვა, რაც იმით ახსნა, რომ კამერის წინ „მადიანად ვერ შეჭამ".

იმავე წლის აპრილში პეტროზავოდსკში პუტინმა განაცხადა, რომ მოსწონს კარელიური „კალიტკები" (ჭვავის ცომისგან მომზადებული პატარა ღვეზელები). მან ასევე აღნიშნა ოსური ღვეზელების, ჩაკ-ჩაკასა და თათრული ბელიაშების გემო.

პრეზიდენტის ყოფილი მეუღლე ლუდმილა პუტინა, პირიქით, ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტი საკმაოდ პრეტენზიულია ჭამის მხრივ და შეუძლია, უარი თქვას სადილზე, თუ კერძი ოდნავ არ მოეწონება. ამასთანავე, ლუდმილა პუტინა განიცდიდა, რომ სახელმწიფოს მეთაური არასოდეს შეაქებს კერძს, რომც მოეწონს.

2010 წელს კრემლის შეფმზარეულმა ანატოლი გალკინმა მოყვა, რომ ალკოჰოლიანი სასმელებიდან ვლადიმერ პუტინი ღვინოებს ან ლუდს ანიჭებს უპირატესობას. გარდა ამისა, გალკინმა ჟურნალისტებს გაუზიარა რეცეპტი საფირმო კოქტეილისა, რომელსაც პირველი პირები ოფიციალური მიღებების დროს მიირთმევენ: ბევრი ყინული, წვეთი ლიმონის წვენი, პიტნა, სიროფი და 50 გრამი შამპანური. მზარეულის აზრით, ასეთი სასმელი „კარგად კლავს წყურვილს". ▶

მოკლედ



## აზერბაიჯანმა სომხური საბრძოლო შვეულმფრენი ჩამოაგდო

**აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მისმა სამხედროებმა აგდამის რაიონში ჩამოაგდეს სომხური საბრძოლო შვეულმფრენი, რომელმაც ქვეყნის საჰაერო სივრცე დაარღვია. ეკიპაჟის სამი წევრი დაიღუპა.**

აზერბაიჯანი ამტკიცებს, რომ ჩამოგდებული სადესანტო-მოიერიშე შვეულმფრენი „მი-24" სომხეთის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა. სომხური მხარის განცხადებით, ვერტმფრენი სასაწავლო-საწვრთნელ გაფრენას ახორციელებდა. ილკინ მურადოვი, რომელმაც შვეულმფრენი ჩამოაგდო, უკვე დააჯილდოვეს მესამე ხარისხის მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის". ბრძანებას აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა მოაწერა ხელი.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის ყველაზე „დახვეწილი“ გემოვნებით ფრანსუა მიტერანი გამოირჩეოდა, რომლის ერთ-ერთი საყვარელი კერძი შემწვარი ბაღის ბელურები იყო. პატარა ჩიტები საფრანგეთში დელიკატესად ითვლება.





* რუსეთის პირველ პრეზიდენტ **ბორის ელცინს** ძალიან უყვარდა ხორცი, განსაკუთრებით — გარეული ფრინველის, ტახისა და ირმის. ძალიან აფასებდა ხბოს ძეხვს ფისტებით. ელცინი არც იმ ეგზოტიკური კერძებზე ამბობდა უარს, რომლებითაც რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს საზღვარგარეთ მიღებისას უმასპინძლდებოდნენ. სასმელებიდან, ძირითადად, არაყს ან ხარისხიან კონიაკს ამჯობინებდა. პრეზიდენტის ოჯახის წევრებს კი ძალიან მოსწონდათ პელმენი შავი ხიზილალით.

## სიდედრის „დრანიკები“

ეროვნული სამზარეულოს მოყვარულია ბელარუსის პრეზიდენტი **ალექსანდრე ლუკაშენკოც.** „ხორცს თევზი მირჩევნია, თეთრ პურს — შავი, მენიუში აუცილებლად შედის ხილი, წვენები... ძალიან მიყვარს ნამცხვრები და ნაყინი. მაგრამ ამ ბოლო სასუსნავის საქმე რთულადაა: უნდა შევზღუდო. შეჭამე ნამცხვარი? კეთილი ინებე, 3-4 კილომეტრი გორგოლაჭებზე ან თხილამურებზე გაიარე,“ — გვიზიარებს ხანგრძლივი სიცოცხლის რეცეპტს ლუკაშენკო.

პრეზიდენტის სიდედრი ელენა ჟელნეროვიჩი ყვებოდა, რომ ვიზიტებისას სიძეს ბლინებით, ერბოკვერცხით, რძიანი წვნიანითა და „დრანიკებით“ (კარტოფილის ალადები არაჟნით) კვებავს.

## ჰერკულესის ფაფა, თქვენო უდიდებულესობავ!

2014 წლის ივლისის ბოლოს ლონდონში ClubdesChefs-ის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა, რომელიც სახელმწიფოს მეთაურების შეფმზარეულებს აერთიანებს. შეხვედრის შედეგად ცნობილი შეიქნა, რომელი კერძები მოსწონს და რომელი — არა დიდი ბრიტანეთის დედოფალ **ელისაბედ მეორეს.**



გაირკვა, რომ ელისაბედ მეორეს არ უყვარს კრევეტები და ზღვის სხვა პროდუქტები. სამაგიეროდ, კარგი დამოკიდებულება აქვს ტრადიციულ ბრიტანულ კერძთან – შვრიის ფანტელთან, რომლითაც იწყებს დილას. ადრე, ყოფილი სამეფო შეფმზარეული მარკ ფლანაგანი ყვებოდა, რომ ელისაბედ მეორეს ძალიან უყვარს კარტოფილი.

ზოგჯერ ძილის წინ დედოფალი ერთ ჭიქა დიუბონეს (ალუბლის სასმელი, რომელიც აპერიტივის სახით მიიღება) სვამს. ძლიერი ალკოჰოლური სასმელებიდან კი უპირატესობას ჯინს ანიჭებს.

## არანაირი ბაყაყები

ამბობენ, რომ საფრანგეთის ამჟამინდელ პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდს,** მისი წინამორბედის — ნიკოლა სარკოზისგან განსხვავებით, არტიშოკი არ უყვარს.

**ნიკოლა სარკოზი** საყვარელ კერძად ასახელებდა მაკარონს არტიშოკით, შავი ტრიუფელებითა და ფუაგრათი. საკვებს ღვინოს აყოლებდა. სარკოზი პრეზიდენტობის პერიოდში სადილობდა სასტუმრო Le Bristol-თან არსებულ რესტორანში, რომელიც ელისეს სასახლის მახლობლად მდებარეობს. მისი საყვარელი კერძის ერთი ულუფის ფასი 82 ევროა. ამასთანავე, სარკოზი, კიმ ჩენ ინისგან განსხვავებით, ყველს ვერ იტანს.





საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის ყველაზე „დახვეწილი“ გემოვნებით **ფრანსუა მიტერანი** გამოირჩეოდა, რომლის ერთ-ერთი საყვარელი კერძი შემწვარი ბაღის ბელურები (ლათ.— Emberizia, ბელურებისნაირთა რიგიდან) იყო. პატარა ჩიტები საფრანგეთში დელიკატესად ითვლება. ამ ფრინველებს, იმისთვის, რომ მოსუქდნენ, ხორბლით სავსე ბნელ ყუთებში ათავსებენ, სადაც გაუჩერებლად ყლაპავენ საკვებს. შემდეგ მათ სპირტიან სასმელ არმანიაკში ახრჩობენ და წვავენ. ამ ჩიტებს დანა-ჩანგლის გარეშე ხელსახოცით მიირთმევენ, ამასთანავე, თავზე ქსოვილს იფარებენ. ითვლება, რომ ასე კერძის არომატი სრულად შეიგრძნობა. 1999 წელს ბაღის ბელურების საკვებად გამოყენება ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში აიკრძალა, მაგრამ იმავე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში რამდენიმე სახელგანთქმულმა ფრანგმა მზარეულმა აკრძალვის გაუქმება მოითხოვა.

## საუზმიდან ვახშამი ფრაუ მერკელთან

ანგელა მერკელი, ალბათ, ერთ-ერთია სახელმწიფოს მეთაურთა მცირე რიცხვიდან, რომელიც დეტალურად ყვება საყვარელ კერძებზე. გერმანიის კანცლერი თვითონაც სიამოვნებით ამზადებს კერძებს, როდესაც თავისუფალი დრო აქვს. განსაკუთრებით კარგად მერკელს კარტოფილის წვნიანი, შნიცელები და თევზის კერძები გამოსდის. შობას კარტოფილის სალათსა და შემწვარ ბატს ამზადებს.

ბუნდესკანცლერის საყვარელი კერძია ღორის ძეხვი კომბოსტოთი. მერკელს, აგრეთვე, მოსწონს პასტა ბოლონიეზე, წვნიანები და ყველი. ალკოჰოლური სასმელებიდან მერკელი, ისევე როგორც ბევრი სხვა პოლიტიკოსი, ღვინოს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა უარს კათხა ლუდზეც არ ამბობს.

*** ჩუჩხე — ჩრდილოეთ კორეული იდეოლოგია, რომელიც 1955 წელს კიმ ირ სენმა გამოაცხადა**

lenta.ru







# კუ-კლუქს-კლანში აფროამერიკელებს და გეებს მიიღებენ

**ამიერიდან ცნობილ ამერიკულ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციაში მიიღებენ შავკანიანებს, ებრაელებსა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს.**

ორგანიზაციამ განახორციელა რამდენიმე რეფორმა და ახალი დასახელებაც აქვს „კლდიანი მთების რაინდები“. ახლა კლანში გაწევრიანება შეუძლიათ 18 წელს ზემოთ ასაკის ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებლებს. განახლებული კუ-კლუქს-კლანის ლიდერის — ჯონ აბარის განცხადებით, ორგანიზაცია ძლიერი ამერიკის მხარდაჭერით გამოდის: „თეთრი რასის უპირატესობა ეს ძველი კლანის საქმეა. ჩვენ ახლა სულ სხვა კლანი გვაქვს“, — განაცხადა აბარიმ.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ყველაფერი პირსინგის შესახებ

**არც თუ ისე დიდი ხნის წინათ პირსინგი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ უცხო და ეგზოტიკურ მოვლენად ითვლებოდა, თუმცა მისი ერთ-ერთი სახეობა — ყურის გახვრეტა, ჩვენთანაც საყოველთაოდ იყო გავრცელებული. დღეს კი ის მოდური და პოპულარულია და მხოლოდ ყურის ბიბილოზე არ კეთდება. პირსინგი არის სამკაულის გაყრა კათეტერის მეშვეობით წინასწარ გახვრეტილ კანში და ეს ბოდი არტის ერთ-ერთი განშტოებაა. ეს სიტყვა ინგლისური pierce-დან მოდის და რამის გახვრეტას, გაბურღვას ნიშნავს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვაც ჰქონდა.**

პირსინგი პირველად ველური ტომების ბელადების სხეულებზე გაჩნდა და ეს მათ პრივილეგირებულობაზე მიანიშნებდა. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა პირსინგი აფრიკაში.

ეგვიპტეში ჭიპის გახვრეტვა აღნიშნავდა, რომ ადამიანი ფარაონთან იყო დაახლოებული, ძუძუს თავებზე სამკაულების გაკეთება კი იმ რომაელებმა დაიწყეს, რომლებსაც მაღალი სამხედრო წოდება ჰქონდათ. ისინი წარმოადგენდნენ ცეზარის პირად დაცვას. ძუძუსთავებში გაყრილ რგოლებზე მოკლე მოსაცმელები ჰქონდათ დამაგრებული.

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ იყო პირველი, ვინც ყურების დაგრძელება დაიწყეს და რატომ აკეთებდნენ ამას. ამჟამად ბევრი კულტურები მიმართავენ ყურების დაგრძელების ხელოვნებას სხვადასხვა მიზეზით (რელიგია; სრულწლოვანების მიღწევასთან დაკავშირებული რიტუალი; ბოროტი სულების განდევნა; სექსუალურობა და ფიზიკური სილამაზე). თუმცა, ეს მხოლოდ შესაძლო მიზეზების ნაწილია.

მსოფლიოს ხალხები დღემდე მიმართავენ ყურების კორექციას. დაგრძელებული ყურები დღესაც საკმაოდ გავრცელებულია. **ის ფაქტი, რომ დასავლეთის ახალგაზრდობას შეუძლია, შევიდეს პირსინგის სალონში და აირჩიოს თავისთვის სასურველი ტონელი თუ ყურის სხვა სამკაული, სწორედ უძველეს ხალხთა ტრადიციების თანამედროვე გამოძახილია.**

თანამედროვე პირსინგის კიდევ ერთი წინაპარი ინდოეთში იყო — აპატანის (Apatani) ხალხი, რომელიც ცხოვრობს ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში, შტატ არუნაჩალ პრადეშში. აპატანელი ქალები არუნაჩალის ტომში ითვლებოდნენ ყველაზე უფრო მიმზიდველებად, იმდენად ლამაზებად, რომ მათ უხდებოდათ თავის დაუშნოება, რათა სხვა ტომის დამპყრობლების გატაცებისგან ამ მეთოდით დაეცვათ თავი. ამ მიზნით ქალები ცხვირში ისვამდნენ დიდი ზომის ხის საცობებს.

ფირფიტა ტუჩებისთვის სხეულის მოდიფიკაციის კიდევ ერთი სახეობაა. ფირფიტა (ჩვეულებრივ მრგვალი, დამზადებული ხისგან ან თიხისგან) თავსდება გაჭრილ ზედა ან ქვედა (ხანდახან ორივე) ტუჩზე, რითაც აფართოებს მას. არქეოლოგიური გათხრები მიანიშნებს იმაზე, რომ ტუჩის საკიდები დამოუკიდებლად გამოგონილი იქნა არანაკლებ ექვსჯერ — სუდანში, ეთიოპიაში (8700 ჩვ.წ.აღ.), მოზამბიკში (1500 ჩ.წვ.აღ.). ამ მომენტისთვის ტრადიცია შემორჩენილია აფრიკისა და ამაზონის ზოგიერთ ტომში.

აფრიკაში ქვედა ტუჩზე ფირფიტის ჩასმის დროს, ამოაცლიან ხოლმე წინა ქვედა ორ კბილს, ხანდახან ოთხსაც. სარას (Sara) და ლობის (Lobi) ტომებში ფირფიტას დგამენ ზედა ტუჩზეც. ზოგიერთ ტომებში, ისეთში, როგორიცაა მაკონდე (Makonde), ფირფიტას ატარებენ მხოლოდ ზედა ტუჩზე. ფირფიტის ზომა ზოგიერთ ტომში არის სოციალური და ეკონომიური სტატუსის მაჩვენებელი.

ევროპაში მე-10 საუკუნის მეორე ნახევრიდან პირსინგმა უკვე, სილამაზისა და მრავალფეროვნების გამოხატვის გარდა, სხვა დატვირთვაც შეიძინა. მას აქტიურად იყენებენ პანკები და ანარქისტები.

პირსინგის მოყვარულთა ერთ დროს ვიწრო კასტა თანდათან ფართოვდება და სულ უფრო მეტი ადამიანი იხვრეტს არამხოლოდ ყურის ბიბილოს, არამედ ყურის ნიჟარებს, ტუჩებს, წარბს, ნესტოებს, ჭიპს, ლოყას და სამშვენისისთვის კიდევ უფრო უჩვეულო ადგილებს.

**ეს, ალბათ, უფრო საზიანოა ორგანიზმისთვის, ვიდრე უსაფრთხო, თუმცა თავისთავად კანის გახვრეტა განსაკუთრებულ საფრთხესთანაც არაა დაკავშირებული.**

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანები, რომელთაც გულის დაავადება აწუხებთ, ამით იმ ინფექციების შეყრის რისკს ზრდიან, რომლებიც გულზე მოქმედებს.

ალერგიის, კანის დაავადებების, დიაბეტის, იმუნური სისტემის ან ინფექციურ დაავადებათა დროს, ასევე ფეხმძიმე ქალებისთვის, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო და აუცილებელია ექიმთან წინასწარი კონსულტაცია.



თუ მაინც გადაწყვიტეთ გაკეთება, სასურველია აუცილებელი აცრები (განსაკუთრებით — ვირუსული ჰეპატიტისა და ტეტანუსის წინააღმდეგ); თუ ენის ან ლოყის გახვრეტა დააპირეთ, სტომატოლოგის ნახვა არ დაგეზაროთ. უნდა დარწმუნდეთ, რომ პირის ღრუში, კბილებსა და ღძილებზე პრობლემები არ გაქვთ.

თავისთავად პირსინგის პროცედურა არც ისე რთული და მტკივნეულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აქ მთავარია, მიმართოთ გამოცდილ პროფესიონალს. უპირველეს ყოვლისა, პროცედურა უნდა ჩატარდეს სტერილიზაციის ნორმების დაცვით. პირსინგი უსაფრთხო მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ მას პროფესიონალი აკეთებს. ამ პატარა ოპერაციების შესრულებისას აუცილებლად უნდა იყოს დაცული სტერილიზაციის ნორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია შანსი, სხეულს სავალალო ზიანი მიაყენოთ.

პირსერი (პირსინგის სპეციალისტი) ჯერ კარგად წმენდს გასახვრეტ ადგილს სპირტით ან სხვა სადეზინფექციო ხსნარით, შემდეგ ინიშნება გასახვრეტი 2 წერტილი და კეთდება ნახვრეტი ერთჯერადი სტერილური კათეტერით.

**პირსინგის გაკეთების შემდგომ მოშუშებამდე მისი მოვლაა საჭირო.** ზუსტად უნდა დაიცვათ პირსერის მიერ მოწოდებული მოვლის წესები. ნებისმიერი ნახვრეტის გაკეთების შემდეგ 2 კვირა თავი უნდა შეიკავოთ აუზის, საუნის, ტბის, მდინარის წყლისგან. დღეში 2-3 ჯერ უნდა დაიმუშავოთ მირამისტინის ხსნარით, შემდგომ მოიბანოთ ნელთბილი წყლით, შეიმშრალოთ სუფთა ხელსაწმენდით და წაისვათ ლევომიკოლის მალამო. მოვლა ხელს შეუწყობს თქვენს

ის ფაქტი, რომ დასავლეთის ახალგაზრდობას შეუძლია, შევიდეს პირსინგის სალონში და აირჩიოს თავისთვის სასურველი ტონელი თუ ყურის სხვა სამკაული, სწორედ უძველეს ხალხთა ტრადიციების თანამედროვე გამოძახილია





ნახვრეტს, მოშუშდეს გართულების გარეშე. მოშუშებული ნახვრეტი არ უნდა გაწუხებდეთ. თუ გრძნობთ, რომ რაღაც გაწუხებთ, აუცილებელია, მიმართოთ სპეციალისტს. გართულების პირველი სიმპტომია სიწითლე ნახვრეტის გარშემო.

ენის პირსინგის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ წყალში გაზავებული მირამისტინის ხსნარი. 1 წილ მირამისტინის ხსნარს უნდა დავასხათ 2 წილი წყალი და გამოვივლოთ ყოველი ჭამის ან სიგარეტის მოწევის შემდგომ მთელი კვირის განმავლობაში. ენის გახვრეტვისას იკრძალება ცივი, ცხელი, ცხარე, ძნელად საღეჭი საკვების მიღება. არ არის რეკომენდებული კოფეინის შემცველი სასმელის მიღება, იკრძალება ალკოჰოლური სასმელი, იგი ხელს უშლის ნახვრეტის მალე მოშუშებას, თან ერთვის არასასიამოვნო და შემაწუხებელი შეგრძნება ნახვრეტში. იმისათვის, რომ თქვენი პირსინგი არ გაღიზიანდეს, ყურადღება უნდა მიაქციოთ აუცილებლად სამკაულის ლითონის სახეობას. არ შეიძლება ახალ ნახვრეტზე ვერცხლის ან უბრალო ლითონის საყურის გაკეთება, ეს გამოიწვევს გაღიზიანებას და შეიძლება გართულდეს. პროფესიონალები იყენებენ ქირურგიულ მეტალს, ტიტანს, ოქროს, აკრილის და შუშის სამკაულებს.

პირსინგის მოვლის სტდანტარტული პროცედურაა „საყურიდან" ნადების მოშორება, რაც ყოველთვის თან ახლავს ახალ პირსინგს. პირსინგის (ნახვრეტის) შიგნიდან გაწმენდა არ ხერხდება და არც არის აუცილებელი, გარედან დამუშავება კი უნდა მოხდეს ძალიან ნაზად. არავითარ შემთხვევაში არ აიძროთ გამხმარი სისხლი ან ნადები. მის მოსაცილებლად პირსინგზე 5–10 წუთით მიიდეთ ანტისეპტიკით გაჟღენთილი ბამბა.

არავითარ შემთხვევაში არ ატრიალოთ და ამოძრაოთ „საყურე".

გახვრეტა (ანუ პირსინგი) სხეულის მიმართ ჩადენილი სასტიკი საქციელია. ძირითადი საფრთხე ადგილობრივი ინფექციაა. გახვრეტის შემდეგ კანი წითლდება, გახურებულია და ეს ნორმალურიცაა, რადგან მას უხეშად მოექცნენ,...მაგრამ, თუ ჭრილობიდან ჩირქი ჟონავს, ეს იმის ნიშანია, რომ კანზე ან გასახვრეტ იარაღზე არსებულმა მიკროორგანიზმებმა ჭრილობაში შეაღწიეს. ამ შემთხვევაში დროზე უნდა იმკურნალოთ, რათა მიკროორგანიზმების სისხლში მოხვედრა თავიდან აიცილოთ. ეს იშვიათად ხდება, მაგრამ, თუ ინფექცია მთელ ორგანიზმს მოედო და სეფსისი ჩამოყალიბდა, საფრთხე სასიკვდილოა.

არსებობს სხვა შესაძლო გართულებებიც: გამორიცხული არ არის, სისხლში მოძრაობისას მიკროორგანიზმებმა სხეულის სხვა ნაწილებშიც შეაღწიოს და სერიოზული დაზიანებები გამოიწვიონ. მაგალითად, გულში (ენდოკარდიტი) ან ძვლებში (ოსტეომიელიტი). ამის რისკი ნაკლებია, მაგრამ მაინც არსებობს. სხვათა შორის, თუ გასახვრეტი ინსტრუმენტები არ არის სათანადოდ სტერილიზებული, შეიძლება იმ ადამიანის ვირუსს ატარებდეს, რომელმაც თქვენამდე გაიკეთა პირსინგი. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ჰერპესი, ჰეპატიტი ან შიდსიც კი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ფერიმჭამელები და პირსინგი შეხმატკბილებულად ვერ თანაარსებობენ: გამონაყარი შეიცავს მიკროორგანიზმებს, რომლებმაც, შესაძლოა, ჭრილობის ინფიცირება გამოიწვიოს.

**შეხორცება კარგადაც რომ მიდიოდეს, გამორიცხული არ არის, ალერგიული რეაქცია გქონდეთ ლითონზე, რომლისგანაც სამკაულია დამზადებული** (ოქრო, პალადიუმი, ტიტანიუმი). სამომავლოდ კი შეიძლება მოწითალო ლაქები გაგიჩნდეთ, რომლებიც მოგექავებათ. ალერგიული ადამიანებისთვის პირსინგი მიზანშეწონილი არ არის — თუ ეგზემა გაქვთ, ასთმა ან თუნდაც ხილზე ალერგია, დიდია ალბათობა, რომ სამკაულის ლითონი ვერ აიტანოთ. ზოგადად, ექიმები ქადაგებენ პირსინგის აკრძალვას 16 წლამდე, გარდა ყურის ბიბილოებისა.

ზოგი ადგილი უფრო სათუთი მოსავლელია, ვიდრე სხვა ადგილები. მაგალითად, ჭიპის გახვრეტისას, შემ- ▶

# ნარკოლოგიური შემოწმებისას მამაკაცი ორსული აღმოჩნდა



**ეგვიპტეში ავტობუსის მძღოლმა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ცოლის შარდი მიიტანა და ასე შეიტყო, რომ მალე მამა გახდებოდა.** როდესაც მას სასჯელაღსრულების ორგანოს წარმომადგენლებმა ეს შეატყობინეს, მამაკაცი შეეცადა, გამომძვრალიყო სიტუაციიდან და დაიწყო მტკიცება, რომ ეს რეალურად მისი შარდი იყო და ხელახლა ჩაეტარებინათ შემოწმება. საბოლოოდ, მას უთხრეს: „გილოცავთ, თქვენ ფეხმძიმედ ხართ“.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თხვევათა 40% სერიოზული პრობლემებით მთავრდება. ჭიპის პირსინგი ყველაზე სახიფათოა, რადგან მისი ნოტიო ღრუ მოსახერხებელი ბუდეა მიკრობებისთვის. ამ ადგილის შეხორცებას დიდი დრო სჭირდება. შემდეგ მოდის ცხვირი (სერიოზული ინფექციების 12%) და ძუძუს თავი (5%). დარჩენილი პროცენტები ნაწილდება ქუთუთოებსა და ენას შორის. ენაზე პირსინგი განსაკუთრებულ პრობლემას იწვევს. დღის განმავლობაში ის იმდენჯერ ხვდება კბილებს, რომ შეიძლება ლითონის პატარა ბურთულამ კბილებზე ბზარები გააჩინოს ან მოტეხოს კიდეც. რაც შეეხება ტუჩის პირსინგს, არც ესაა უსაფრთხო — სამკაული მუდმივად ღრძილებს ეხახუნება და შესაძლებელია, იმდენად გააღიზიანოს, რომ კბილების ღრძილებისგან გაშიშვლებაც კი გამოიწვიოს.

თუ გადაწყვიტეთ, რომ ჭიპზე „ჭრიჭინა“ თქვენთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს და უნდა წახვიდეთ პირსინგის გასაკეთებლად, შესაფერისი დრო მაინც შეარჩიეთ. დააკვირდით, ხომ არ შეიმჩნევა შეწითლებები ადგილებში, სადაც გეხებათ ელვა შესაკრავი ან ლითონის ღილები.

ექიმები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ნებისმიერი ნახვრეტის გაკეთების წინ გაიაროთ კონსულტაცია რეფლექსო თერაპევტთან, რომელიც რეზონანსული ტესტირების შემდეგ დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რომელი ლითონია უფრო შესაფერისი და უსაფრთხო თქვენთვის. თუ ამას არ გაითვალისწინებთ, შეიძლება დიდ უსიამოვნებას გადაეყაროთ. ლითონის საგანმა შეიძლება გამოიწვიოს სისხლჩაქცევა, ანთება, ჰიპერტონია. უკუნაჩვენებია პირსინგი ბრონქული ასთმის, გულის მანკის დროს. თირკმლის უკმარისობის დროს ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, რომელიც გავლენას ახდენს ქსოვილთა შეხორცებაზე პროცედურების შემდეგ.

გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ჰაიმორიტი, კანისა და სისტემური დაავადებანი — თუ თქვენ გაწუხებთ რომელიმე ამ ჩამონათვალიდან, პირსინგი სახიფათოა.

**არავითარ შემთხვევაში არ სცადოთ ნახვრეტის გაკეთება საკუთარი ხელით. სახესა და ყურებზე განლაგებულია ბიოლოგიურად აქტიური წერტილები, სისხლძარღვები, ნერვული დაბოლოებები და უეცრად შეიძლება რომელიმე დააზიანოთ.**

თუ დედობას აპირებთ, დაიმახსოვრეთ, რომ ძუძუს პირსინგმა შეიძლება ლაქტაციაზე იმოქმედოს, ხოლო ჭიპზე გაკეთებულმა პირსინგმა შეიძლება პრობლემა შეგიქმნათ ორსულობის პერიოდში.

დასასრულ, ხდება ისეც რომ ადამიანს სამკაული ბეზრდება, ამ დროს, უბრალოდ, მოიხსენით, ნახვრეტი დროთა განმავლობაში დავიწროვდება, მის ადგილას კი შეუმჩნეველი წერტილის ზომის შრამი დარჩება.

**P.S. ბრაზილიელი ქალი ილეინ დევიდსონი გახლავთ მსოფლიო რეკორდსმენი და შესულია გინესის რეკორდების წიგნში. მას ყველაზე მეტი პირსინგი აქვს.**

**1997 წელს ილეინი ატარებდა სულ რაღაც 280 პირსინგს და მაშინ ის ჯერ კიდევ ჰგავდა ადამიანს. ამის შემდეგ მის ტანზე თანდათანობით ემატებოდა და ემატებოდა რკინის ნაწილები. 2001 წელს ის უკვე გახდა გინესის რეკორდსმენი 462 პირსინგით, რომელთაგან 192 მარტო სახეზე ჰქონდა, მაგრამ ილეინი ამაზე არ გაჩერებულა.**

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ილეინი ერთ-ერთ ინტერვიუში გამოტყდა, რომ არ უყვარს პირსინგები და ეს ყველაფერი მხოლოდ რეკორდისთვის გააკეთა.**





# სოციალური ქსელი მდიდრებისთვის



**ინტერნეტში გამოჩნდა ახალი სოციალური ქსელი სახელწოდებით The netropolitian club, რომელიც სპეციალურად შეძლებული ადამიანებისთვისაა შექმნილი. საიტზე დარეგისტრირებისთვის საჭიროა 9 000 დოლარი, ამის შემდეგ კი აუცილებელია ყოველდღიურად 3000 დოლარის გადახდა.**

რესურსის შემქმნელები პირობას იძლევიან, რომ მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მკაცრ საიდუმლოდ შეინახება და არსად გავრცელდება. ისინი სოციალურ ქსელს, როგორც დახურულ კლუბს, ისე აღწერენ და თვლიან, რომ აქ შეიკრიბებიან ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტი ფული აქვთ, ვიდრე თავისუფალი დრო.

საიტს ასაკობრივი ზღვარი გააჩნია. მასზე დარეგისტრირება არ შეეძლებათ 21 წლამდე ადამიანებს, რეგისტრაციისას კი აუცილებელია ნამდვილი მონაცემების მითითება, ამიტომ შემქმნელები ქსელის მოტყუებას გამორიცხავენ.

პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ არანაირი რეკლამები საიტზე არ იქნება, თუმცა მომხმარებლებს ჰპირდებიან, რომ მათ შეეძლებათ თავად შექმნან ჯგუფები და იქ მოყვნენ, რას საქმიანობენ და დააინტერესონ სოციალური ქსელის სხვა წევრები. ოღონდ ესეც კონკრეტული წესების დაცვით უნდა მოხდეს.

აგრეთვე, რესურსი საშუალებას იძლევა, გამოააშკარაოს მომხმარებლის ზუსტი ადგილმდებარეობა, უახლოეს მომავალში კი შემქმნელები აპირებენ სოცქსელის აპლიკაციის შექმნას ანდროიდზე და iOS სისტემის სმარტფონებზე.







# ბაღები ჩიკაგოს სახურავებზე

**ოდესღაც ჩიკაგო განგსტერებით იყო ცნობილი. დღეს ეს ქალაქი ცნობილია ბაღებით, რომლებიც სახურავებზეა გაშენებული.**



ამჟამად მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქს ერთნაირი გასაჭირი აქვს — სიმწვანის დეფიციტი. რთულია, ამ ასფალტისა და ბეტონის სამყაროში ადგილი მოიძებნოს ყვავილებისთვის; რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

მაგალითად, ჩიკაგოში, აქტიურად აშენებენ ბაღებს სახურავებზე. პირველად ასეთი ბაღი ქალაქში 10 წლის წინათ შექმნეს. მაშინ სპეციალისტებმა მუნიციპალიტეტის ორი ათასი კვ მ ფართობის სახურავი გაამწვანეს.

როგორც აღმოჩნდა, სახურავის გამწვანება საკმაოდ ძვირადღირებული საქმეა. „მწვანე სახურავის“ ყოველი კვადრატული მეტრი 270-2000 დოლარამდე ჯდება.

ვინაიდან მცენარეებს სიმაღლეზე უწევთ არსებობა, აუცილებელია, მათ მზის სხივებს, ქარსა თუ სხვა ბუნებრივ მოვლენებს გაუძლონ, ამიტომ თითოეული ყვავილი, ბუჩქი თუ ხე ძირფესვიან დამუშავებას საჭიროებს.

ექსპერიმენტის სახით მუნიციპალიტეტის სახურავის არჩევა სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. გამწვანების ინიციატორი, ამ შენობის მაშინდელი გამგებელი, ქალაქის მერი რიჩარდ დეილი გახლდათ. იგი ახლაც ყველაზე „მწვანე“ მერად ითვლება შეერთებულ შტატებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მისი ოცწლიანი მმართველობის დროს ჩიკაგოში ნახევარ მილიონზე მეტი ხე დარგეს, ხოლო ბაღებისა და სკვერების რაოდენობა ექვსასამდე გაიზარდა.

„მინდა, ჩიკაგო ბაღნარად ვაქციო,“ — სიამაყით აცხადებდა მერი თავის ყველა საჯარო გამოსვლაში. და ვინაიდან მისი სურვილის ასასრულებლად, ქალაქში საკმარისი მიწა არ მოიძებნა, მერმა თვალი სახურავებს დაადგა.

ამ დროისთვის ქალაქში გამწვანებულია 60 ათასი კვ კმ ფართობის სახურავები და უახლოეს მომავალში ამ ციფრის გაათმაგება იგეგმება. ყველაფერი ეს, არა მხოლოდ ესთეტიკური, პრაქტიკულიცაა.

სახურავზე დარგულ მცენარეებზე ქალაქის ხმაური და გამონაბოლქვი ნაკლებად მოქმედებს, რაც ხელს უწყობს მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას.

სახლში, რომლის თავზეც ბაღია გაშენებული, ზაფხულში არ ცხელა, ხოლო ზამთარში — არ ცივა. ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებში, როდესაც ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევს, ასეთ სახლში ტემპერატურა მხოლოდ 25 გრადუსია. ასე რომ, საჭირო აღარ არის მთელი დღის განმავლობაში კონდიციონერით სარგებლობა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სიკვდილით დასჯა სერიალისთვის

**ჩრდილოეთ კორეაში ქრთამის აღებისა და სამხრეთ კორეული სერიალების ყურების გამო, უმაღლესი რანგის 50 ჩინოვნიკი სიკვდილით დასაჯეს. სამხრეთ კორეული მედია ამ „წმენდას“ აკავშირებს კიმ ჩენ ინის ბიძასთან, რომელიც შარშან დასაჯეს სიკვდილით.** გავრცელებული ინფორმაციით, მოკლული ჩინოვნიკები სწორედ ჩან სონ თხეკის მომხრეები იყვნენ. დღემდე სამხრეთ კორეის მედია ავრცელებდა ინფორმაციას, რომ კიმ ჩენ ინმა დაახლოებით 200 ჩინოვნიკს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ მოკლული პოლიტიკოსების ოჯახის წევრების ბანაკებში გაგზავნა იგეგმება.



# მილიარდერები, რომლებიც უცებ გაღატაკდნენ



## ბიორგოლფურ გუდმუნდსონი

ისლანდიის რიგით მეორე ყველაზე მდიდარი კაცი ბიორგოლფურ გუდმუნდსონი 2009 წელს გაკოტრდა. ლუდის მხარშავი მილიონერი გახდა „ლენდსბანკის“ მეწილეობით და საფეხბურთო კლუბ „ვესტ ჰემის“ ფლობით. ისლანდიური საბანკო სისტემის კოლაფსის გამო მისი აქციები გაუფასურდა და გუდმუნდსონიც გაკოტრდა.



## ალან სტენფორდი

ტეხასელი ალან სტენფორდი ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო 2.2 მილიარდი დოლარის ქონებით. 2009 წელს სტენფორდი კლიენტებს ყალბ დეპოზიტებს აძლევდა თავის ოფშორული ბანკიდან. 20 000-ზე მეტი ინვესტორი დღემდე ელოდება ფულის დაბრუნებას. სტენფორდს 110 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.



## ეიკე ბატისტა

ბრაზილიელი ეიკე ბატისტა მსოფლიოში სიმდიდრით მერვე ადამიანი იყო. როდესაც ნავთობკომპანია, რომლის მფლობელიც ბატისტა იყო, გაკოტრდა, მან 16 თვეში 33 მილიარდი დოლარი დაკარგა.



## შონ ქუინი

2008 წელს შონ ქუინი ირლანდიის ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო 6 მილიარდიანი ქონებით. 2007 წელს ქუინმა ქონების ნაწილი ანგლო-ირლანდიულ ბანკში ჩადო. რამდენიმე თვეში ბანკმა დიდი დანაკარგი განიცადა. ირლანდიამ მომავალი კოლაფსის ასარიდებლად ბანკის ნაციონალიზაცია მოახდინა და ქუინის ინვესტიცია დაიკარგა. ახალმა ბანკმა ძველი მფლობელები საქმიდან გაიყვანა და ქუინს და მის ოჯახს მხოლოდ 15 000 დოლარი დაუტოვა საბანკო ანგარიშზე.




## მასაიოში სონი

მასაიოში სონმა 70 მილიარდი ამერიკული დოლარი დაკარგა, მაგრამ იაპონიაში მაინც რიგით მეორე უმდიდრეს ადამიანად ითვლება. 1981 წელს „იაპონელმა ბილ გეითსმა“ დააარსა „სოფთბანკი“, ინტერნეტისა და ტელეკომუნიკაციების უმსხვილესი კომპანია. 2004 წელს ინტერნეტის კრახის გამო, „სოფთბანკის“ აქციები 98%-თ გაიაფდა და სონმა ისტორიაში ყველაზე დიდი ოდენობის ფული დაკარგა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელიწადში „სოფთბანკი“ ისევ მოწინავე კომპანია გახდა და სონმა თითქმის მთლიანად დაიბრუნა დაკარგული მილიარდები.





## გაზიანი სასმელები აბერებს

**თუ ხშირად სვამთ გაზიან სასმელებს, თავს ნაადრევად იბერებთ.** ასეთია ახალი მეცნიერული კვლევის დასკვნა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 5 309 მოზარდმა, რომლებიც გაზიან სასმელს, ხილის წვენებსა და დიეტურ გაზიან სასმელებს სვამდნენ. შემდეგ მეცნიერებმა შეადარეს ტელომერები — ქრომოსომები, რომლებიც დაბერების პროცესზე არიან პასუხისმგებლები.

სხვადასხვა ფაქტორის შეფასების შედეგად მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ყოველდღიურად 200 მილიგრამზე მეტი გაზიანი სასმელის მიღება ტელომერის შემცირებას იწვევს. თუ ყოველდღე ნახევარ ლიტრიან გაზიან სასმელს იღებთ, თქვენი ბიოლოგიური ასაკი 4,6 წლით უფრო დიდი იქნება, ვიდრე მათი, ვინც გაზიან სასმელებს არ ეტანება. ზუსტად იმავე შედეგს იძლევა სიგარეტის მოწევაც.



## ავადმყოფი ჭარბთმიანობის გამო გაწირეს

**ბორტგამცილებელმა უარი თქვა ავტომატიზირებული დეფიბრილატორის გამოყენებაზე, რათა მამაკაცი სიკვდილისგან ეხსნა, მიზეზად კი მისი ჭარბთმიანობა დაასახელა.** 62 წლის ჯეკ ჯორდანს თვითმფრინავში გულის შეტევა დაემართა, მის გადარჩენას მედდა და ფიზიოთერაპევტი ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ; ერთადერთი გამოსავალი დეფიბრილატორის გამოყენება იყო, რომელზეც ბორტგამცილებელმა კატეგორიული უარი განაცხადა. საკუთარი ქცევა ქალმა იმით ახსნა, რომ მამაკაცი ჭარბთმიანი იყო. **„მსგავსი სიტუაციების დროს, პირველი, რაც ექიმმა უნდა გააკეთოს, დეფიბრილატორის გამოყენებაა“,** — აცხადებენ ექსპერტები და აღნიშნავენ, რომ სამედიცინო დანადგარს სპეციალური ხელსაწყოებიც მოჰყვება, რომლებიც მსგავსი სიტუაციების დროს გამოიყენება.

# მეცნიერმა აღიარა, რომ უცხოპლანეტელები უნახავს

**ბოიდ ბუშმანმა აღიარა, რომ პირადად უნახავს უცხოპლანეტელები. მომაკვდავმა მეცნიერმა სიკვდილის წინ გადაიღო უცნაური ვიდეო, რომელშიც ამტკიცებს, რომ იცის, რა ხდება საიდუმლოებით მოცულ ზონა 51-ში, რომელიც ნევადის შტატში მდებარეობს. მან აღნიშნა, რომ ამ ზონაში უცხოპლანეტელები და მათი საფრენი აპარატია.**



თვითონ ბუშმანი კორპორაცია Lockheed Martin-ის მეცნიერ-მკვლევარი იყო და მრავალი გამოგონების ავტორადაა მიჩნეული. 2014 წლის 7 აგვისტოს გადაღებულ ვიდეოში იგი ყვება, რომ ამოუცნობ მფრინავ ობიექტს სპეციალისტების ჯგუფი 24-საათიან რეჟიმში აკვირდება.

მეცნიერის თქმით, არსებობს უცხოპლანეტელების ორი ჯგუფი. „წარმოვიდგინოთ რანჩო. ერთი ჯგუფი მოგვაგონებს მორჩილ მუშებს, ხოლო მეორე — საქონლის ქურდებს. ზოგიერთი უცხოპლანეტელის ასაკი 230 წელია. აღსანიშნავია, რომ ე. წ. მუშები ჩვენს მიმართ უფრო მეგობრულად არიან განწყობილები“, — აცხადებს ვიდეოში ბუშმანი.

გარდა ამისა, ბოიდი უცხოპლანეტელებსაც აღწერს. მისი თქმით, ისინი დაახლოებით, 1,3-1,5 მეტრის სიგრძისანი არიან და აქვთ სამი ხერხემალი, რომელიც ხრტილებისგან შედგება. მათი თითები ადამიანისას ჰგავს, თუმცა გაცილებით უფრო გრძელია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კორპორაცია Lockheed Martin-ის თანამშრომლები აღიარებენ, რომ ფირმა უცხოპლანეტელების კვლევით არის დაკავებული. კორპორაციის თანამშრომელმა ბენ რიჩმა განაცხადა, რომ Lockheed Martin-ი ფლობს სუპერ ტექნოლოგიებს, რომელთა დახმარებითაც გალაქტიკათშორის მოგზაურობებს აწარმოებენ.



## ყველაზე უცნაური ზოოპარკი

**Safari Lion Zoo-ი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ზოოპარკია ჩილეში. იქ გალია 2 ჰექტარზეა გადაჭიმული და მასში 6 ლომი ბინადრობს.** საქმე ისაა, რომ ამ ზოოპარკში ყველაფერი პირიქითაა — ლომები თავისუფლად დასეირნობენ კუთვნილ 6 ჰექტარზე, მათი მნახველები კი სპეციალურად არჭურვილ „გალია-მანქანაში“ არიან მოკალათებულნი და ისე ათვალიერებენ მათ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ ებრძვის მსოფლიო ნაბახუსევს

**ამ სიტყვის გაგონებაც კი ბევრ ადამიანში თავის ტკივილსა და არასასურველ შეგრძნებებს იწვევს. ადამიანების უმეტესობა მხიარულად გატარებული ღამის შემდეგ ძილსა და ასპირინს არჩევს, ზოგი მათგანი დილით ლუდს ან ხაშს ეძალება, ზოგი კიდევ არყით აგრძელებს დღეს. ბევრგან თურმე ნაბახუსევთან ბრძოლის ისეთი უცნაური ხერხები აქვთ, რომ მათ გამოყენებას ყველაზე საშინელი ნაბახუსევის დროსაც კი არამც და არამც არ ისურვებდით.**



## ნამიბია

ამ ქვეყნის მცხოვრებლები ნაბახუსევთან ბრძოლის ნაცად 100%-იან ხერხს იყენებენ — ესაა კამეჩის რძის კოქტეილი. ეს სასმელი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: აჭრილი ნაღები, შავი რომი, სანელებლებიანი რომი, ნაღების ლიქიორი და ნაღები. ალბათ, ამ საშინელი ნარევის დალევა, მას შემდეგ, რაც მთელი ღამე სპირტიან სასმელს სვამდით, არცთუ ისე სასიამოვნო იქნება. გამოდის, რომ განთავისუფლდეთ ნაბახუსევისგან, ისევ უნდა დათვრეთ.



## ბანგლადეში

ბანგლადეშელები გვირჩევენ, ნაბახუსევის დროს დავლიოთ ქოქოსის რძე. მასში ძალიან ბევრი კალიუმია, ის კი სპირტიანი სასმელის მოქმედებას ანეიტრალებს.




## ჰაიტი

ჰაიტიზე მიაჩნიათ, რომ ნაბახუსევთან ხუმრობა არ შეიძლება. მისგან რომ თავი დაღწიონ, ნასვამი ადამიანები ვუდუს მაგიას მიმართავენ. საკმარისია, მხოლოდ 13 ცალი შავთავიანი ქინძისთავი ჩაარჭოთ იმ ბოთლის სახურავში, რომლიდანაც სვამდით სასმელს, და თქვენი ტანჯვა უკვალოდ გაივლის.



## პერუ

პერუელებს ძალიან უყვართ ღამღამობით ხმაურიანი წვეულებები და გართობა, შესაბამისად, მათ იციან ამ ხმაურიანი ღამეების შედეგის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები: დილით ჭამენ განსაკუთრებული ჯიშის თევზისგან დამზადებულ სუპს, რომელსაც დამატებული აქვს ლიმონის წვენი, ლაიმას წვენი, ნიორი და იმბირი.




## ავსტრალია

ავსტრალიელებს ძალიან უყვართ ვეჯიმაითი, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ნაბახუსევის დროს ხსნას მასში ეძებენ. თავად ვეჯიმაითი არის საფუარზე დამზადებული სქელი პასტა, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ნუტელას, მაგრამ განსხვავებული გემო აქვს და სულაც არაა ტკბილი.



## უნგრეთი

როგორც ჩანს, უნგრელები ძალიან კატეგორიული ხალხია. თუ თქვენ ამ ქვეყანაში დალევა მოგიხდათ და გსურთ, ნაბახუსევისგან თავი დაიხსნათ, უნგრელი მასპინძელი აუცილებლად შემოგთავაზებთ, დალიოთ ბრენდი, რომელშიც ბეღურის სკინტლია დამატებული.





## ველური დასავლეთი

ლაღი და უშიშარი კოვბოების ველურ დასავლეთში ამ მაგარი ბიჭებისთვის ნაბახუსევთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებები, რაღა თქმა უნდა, ხელმიუწვდომელი იყო. როგორ აღწევდნენ თავს ისინი ვისკით სავსე ღამის შედეგად გამოწვეულ უსიამოვნებებს? — სვამდნენ გრანულირებულ ჩაის. ჩაი პირობითად ჰქვია, თორემ რეალურად კოვბოები კურდღლის ექსკრიმენტებს ასხამდნენ ადუღებულ წყალს.



## კანადა

თუ კანადელმა გუშინ საკმარისზე მეტი დალია, დღეს ის აუცილებლად მიირთმევს კარტოფილ ფრის ყველის ნაჭრებითა და ცხელი სოუსით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კერძს არც ნაბახუსევის გარეშე დაიწუნებდა ადამიანი, რადგან ის ძალიან გემრიელია.



## პუერტო-რიკო

პუერტო-რიკოელებს მშვენიერი საშუალება აქვთ ნამთვრალევთან საბრძოლველად. მანამ, სანამ სპირტიანი სასმელის დალევას დაიწყებთ, ხელისგულზე უნდა გასრისოთ ლაიმის ან ლიმონის ნაჭერი და მორჩა, სასმელი აღარ მოგეკიდებათ. რა თქმა უნდა, ამ მეთოდს მეცნიერული მტკიცებულება არ გააჩნია, მაგრამ ცდად ნამდვილად ღირს.

## ისლანდია

ისლანდიური ტრადიციის თანახმად, ნაბახუსევთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მდინარის პირას სილაში კისრამდე ჩაფლვა. რა თქმა უნდა, მეცნიერება ამ მეთოდის ეფექტურობასაც ეჭვის ქვეშ აყენებს, მაგრამ, ერთი მხრივ, ეს ცივი შხაპის ალტერნატივაა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, მან შვება მოგანიჭოთ ნაბახუსევის დროს.



# ემზარ კვიციანს თავისუფლება 12 წლით აღუკვეთეს

**მოსამართლემ კოდორის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხის მოწყობასა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების შექმნაში დამნაშავედ ცნო და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. კვიციანის ადვოკატის — რევაზ კახნიაურის განცხადებით, მოსამართლემ მიიღო ზუსტად ის განაჩენი, რომელსაც პროკურატურა ითხოვდა.**



**„შოთა ბიჭიას დღევანდელი გადაწყვეტილება არის სამარცხვინო. მან „გააპრავა“ სააკაშვილის ხელისუფლება. ის ადამიანები, რომლებმაც კოდორი დაკარგეს, დღეს თავისუფლები არიან. ის კი, ვინც სახელმწიფოს 15 წელი ეს ხეობა შეუნარჩუნა, გაასამართლეს“,** — განაცხადა რევაზ კახნიაურმა. ადვოკატი ამბობს, განაჩენი უახლოეს დღეებში გასაჩივრდება.

ემზარ კვიციანის ოჯახმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და გმირთა მოედნის მემორიალთან შიმშილობა დაიწყო. ამ აქციით ისინი ცდილობენ, ხმა მიაწვდინონ ხელისუფლებას და დაპატიმრებულ ემზარ კვიციანს სოლიდარობა გამოუცხადონ, რომელსაც ზუგდიდის სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ემზარ კვიციანი 2006 წლიდან იძებნებოდა. ის საქართველოში მიმდინარე წლის თებერვალში ჩამოვიდა და სამართალდამცველებმა აეროპორტშივე დააკავეს.

# პუტინმა დასავლეთი ახალი ცივი ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა

**რუსეთის პრეზიდენტმა გერმანულ ტელეარხ ARD-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ დასავლეთის რეაქცია ყირიმის რუსეთთან მიერთებაზე არაადეკვატური იყო.**

„როდესაც ვისმენთ პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, გაკვირვების გარდა, არაფერს იწვევს. რუსეთს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართალი. ჩვენ არასდროს დაგვიმალავს რუსული არმიის როლი ყირიმის შემოერთების პროცესში. პირდაპირ ვაცხადებ: ჩვენი შეიარაღებული ძალები ყირიმში განლაგებული უკრაინის შეიარაღებული ძალების ბლოკირებას ახდენდნენ, მაგრამ არა ვინმესთვის ხმის მიცემის იძულების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ სისხლისღვრა არ დაგვეშვა“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

მისი თქმით, დასავლეთი პასუხისმგებელია იმ ქმედებების გამო, რომლებიც ცივი ომის პერიოდს გვახსენებს. „2001 წლიდან ნატოს გაფართოების ორი ტალღა იყო. ეს არსობრივად ცვლის გეოპოლიტიკურ სივრცეს. გარდა ამისა, იზრდება ბაზების ოდენობა. განა რუსული ბაზები მსოფლიოშია მოფენილი?! — არა. ეს ნატოს, ამერიკის ბაზებია ყველგან, მათ შორის, ჩვენს საზღვრებთან ახლოს“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

# 4 წლის ბავშვის მკვლელობაში ოჯახის ახლობელია ბრალდებული

**სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში 4 წლის ბავშვი მოკლეს. ბრალდებულია ახალგაზრდა ქალი, რომელმაც დანაშაული აღიარა.**

**მკვლელობის მოტივის შესახებ ოფიციალური ვერსია უცნობია.** სოფელში ამბობენ, რომ ოჯახის ახლობელმა ქალმა მცირეწლოვანი თავისთან წაიყვანა და ბალიშით გაგუდა.

წინასწარი ინფორმაციით, ბრალდებულს ფსიქიკური პრობლემები მას შემდეგ დაეწყო, რაც შვილი გარდაეცვალა.

მოკლულის ოჯახის წევრები დამნაშავის უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩევენების გარეშე.**

**ტელ: 599-913-765; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

# Mercedes S500 — საჩუქარი საპატრიარქოს ბაჩო ახალაიასგან

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოწმება დაასრულა და 122-გვერდიანი დასკვნა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა. დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ 2012 წელს, წინასაარჩევნოდ, შს სამინისტროში განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყეს ავტომანქანების შესყიდვა და სხვა უწყებებისთვის გადაცემა.**



2012 წლის 4 ივლისს შს მინისტრად ბაჩანა ახალაია დაინიშნა. 5 დღის შემდეგ მინისტრმა საპატრიარქოს ძვირფასი საჩუქარი გადასცა. 2012 წლის 9 ივლისს შს სამინისტრომ, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შპს „აკასთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „მერსედეს S500“-ის შესყიდვაზე ხელშეკრულება გააფორმა. მანქანის ღირებულება შეადგენდა 110 ათას ევროს. აუდიტორული მტკიცებულებით, აღნიშნული მანქანა საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა.

2012 წლის 19 ივლისს შს სამინისტრომ, ასევე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ინდმეწარმე „კოტე ჩხეიძესთან“ 2 ავტომანქანის შესაძენად გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულება გააფორმა.

გათვალისწინებული იყო 2007 და 2008 წლებში გამოშვებული „ტოიოტა პრადოს“ მარკის მიწოდება, რომლებსაც 136.0 და 125.0 ათასი კმ ჰქონდათ გავლილი. შს სამინისტრომ თითოეული მანქანა 27.15 ათას აშშ დოლარად იყიდა, რაც საბაზრო ფასთან შედარებით მაღალია.

გარდა ამის, შს სამინისტროს მიერ მხოლოდ 2012 წლის 1-იდან 6 აგვისტოს ჩათვლით, ძირითადად, ფიზიკური პირეhბისგან შესყიდულია 19 ერთეული ავტომანქანა. ცხრამეტივე ხელშეკრულება გაფორმებულია გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, თუმცა შესაბამისი არგუმენტაცია აუდიტის სამსახურს ვერ წარუდგინეს. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 6 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით, შს სამინისტროს საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის გადაცემული აქვს მის საკუთრებაში არსებული 1 608 ათასი ლარის ღირებულების 29 მაღალი კლასის ავტომანქანა, რაც ლოგიკას არ ექვემდებარება, რადგან ამავე პერიოდში სამინისტრო, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, სასწრაფოდ აწარმოებდა სხვა ავტომანქანების შეძენას.

ბაჩო ახალაიას შს მინისტრობა 2 თვეზე მეტხანს გაგრძელდა, ამ ხნის განმავლობაში მან შს სამინისტროს ბიუჯეტიდან ათობით მანქანის ყიდვა და გაჩუქება მოასწრო.

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

**გახდომა-გასუქება** — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეგობარსა და კოლეგას რუსლან რუსიას დედის, სათნო ქალბატონის

**ნორა ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ფოფხაძე, ირაკლი თოდუა, არმაზ სანებლიძე თანაუგრძნობენ მეგობარსა და კოლეგას რუსლან რუსიას დედის, სათნო ქალბატონის

**ნორა ჩარკვიანი-რუსიას**

გარდაცვალების გამო.

ირაკლი თოდუა, არმაზ სანებლიძე თანაუგრძნობენ ბაკურ გულუას ძმის

**კობა გულუას**

გარდაცვალების გამო.

# ევროპელი პოლიტიკოსები ევროზე უარის თქმისკენ მოუწოდებენ

**მემარცხენე ევროპელი პოლიტიკოსები თავიანთი ქვეყნების მთავრობებს ნაციონალური ვალუტის დაბრუნებისკენ მოუწოდებენ, რათა ევროკავშირის ჩაურევლად გააკონტროლონ თავიანთი ეკონომიკა.**

საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა **მარინ ლე პენმა** განაცხადა, რომ „ქვეყანამ უნდა დაიბრუნოს თავისი ვალუტა, ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნების 95-მა პროცენტმა“.

„ათასობით საწარმო ილუპება ევროს გამო“, — განაცხადა მარინ ლე პენმა ფრანგულ ტელეარხ France 3-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ანალოგიურ თვალსაზრისზეა იტალიური ოპოზიციური პარტიის „იტალიის ძმები — ნაციონალური ალიანსი“ ლიდერი **ჯორჯინა მელონიც**. მისი აზრით, ევროკავშირის წევრობა და ევროს გამოყენება ხელს არ უწყობს იტალიის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას.

„უარი ვთქვათ ევროზე, ამ ავადმყოფ ვალუტაზე, და დავუბრუნდეთ საკუთარი ეკონომიკის დამოუკიდებლად გაკონტროლებას“, — მოჰყავს მელონის ფრაზა იტალიურ სააგენტო ASCA-ს.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

**პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება** (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) **ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.**

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009